პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან დ. მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელარმიელების, მოწ-ფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— უმუშევრობა ინგლისში იზრდება.—10 ივნისისათვის იყო 1.112.000 უმუშევარი.
— რეინბაბენი გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ.
— ამერიკა არ ამტკიცებს იუნგის გეგმას.
— გერმანიის რევოლიუციონურ ფაბკარხკომების კონფერენცია.
— რიგაში მივიდა ინგლისის ესკადრა.
— ახალი საბინაო კანონი ავსტრიაში.
— ივლისში მოსკოვში ჩამოვა ამერიკელ მეცნიერთა კომისია.

პარასკევი, 21 ივნისი 1929 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 140 (2486)

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ)

მე-VI ყრილობა

დანიშნულია

1 ივლისს, საღამოს 6 საათისათვის მელითონეთა კლუბში (პლეხანოვის პრ. № 128)

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას მდივანი: მიხ. კახიანი.

---

25 ივნისს, საღამოს 6 საათზე, თბილისის მუშათა თეატრის შენობაში (ყორესის ქუჩა)

მოწვეულია

თბილისის მე-X პარტიული კონფერენცია

დღის წესრიგი:

1) სოფლის მეურნეობის განვითარების გზები და სოფლად მუშაობა (ამხ. ლ. ლოლობერიძის მოხსენება)
2) კულტურული მშენებლობის ხუთწლიანი გეგმა (ამხ. ჭანდელაკის მოხსენება)
3) დელეგატების არჩევა პარტიის მე-6 სრულიად საქართველოს ყრილობისთვის.

კონფერენციის დელეგატები ბილეთებს მიიღებენ რაიკომებში 22 ივნისიდან.

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომ. პრეზიდიუმი.

განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი

საბჭოების მეხუთე საკავშირო ყრილობაზე ამხ. ლარინის მიერ წამოყენებულმა წინადადებამ განუწყვეტელი საწარმოო წლის შემოღების შესახებ უდიდესი ინტერესი გამოიწვია. იგი გადაიქცა როგორც სამეურნეო მუშაკების, ისე მუშათა ორგანიზაციების გაცხოველებულ მსჯელობის საგნად. ყველანი ერთხმად აღიარებენ ამ წინადადების უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი სამრეწველო განვითარებისათვის, სოციალისტური მშენებლობის გაფართოება-დაჩქარებისათვის. კერძოდ ჩვენმა გაზეთმა სათანადო კამპანია დაიწყო განუწყვეტელი წარმოების იდეის პოპულარიზაციისათვის და ამასთან დაკავშირებულ საკითხების გასაშუქებლად. უკვე გამოქვეყნებული გვქონდა მთელი რიგი ადგილობრივი სამეურნეო და პროფკავშირის მუშაკების აზრი; ისინი მტკიცედ იცავენ განუწყვეტლად მთელი წლის განმავლობაში მუშაობის საჭიროებას.

საკითხი სცილდება საერთო მსჯელობის ფარგლებს და პრაქტიკულ ნიადაგზე დგება. სახალხო მეურნეობის საკავშირო საბჭომ გასცა ბრძანება ქვემდებარე დაწესებულებებისადმი, რომ ისინი დაუყოვნებლივ შეუდგნენ განუწყვეტელ საწარმოო წელზე გადასვლის შესაძლებლობათა შესწავლას და მზადებას მისი შემოღებისათვის. ჩვენში, როგორც გამოქვეყნებული გვქონდა, საქართველოს კომპარტიის ცკას პრეზიდიუმმა დაადგინა „დაევალოს საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, პროფკავშირთა საბჭოს და სახელმწიფო საგეგმო კომისიას დაამუშაონ საკითხი მრეწველობის გადასვლის შესახებ განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე და უახლოეს დროში-კი გამოარკვიონ,—არის თუ არა შესაძლებელი ასეთი გადასვლა მრეწველობის ზოგიერთ დარგში და განსაკუთრებით ამომღებ მრეწველობაში (მარგანეცი)". რუსეთში ზოგიერთი ფაბრიკა-ქარხნები უკვე გადავიდნენ განუწყვეტელ წარმოებაზე და ენერგიული მზადება სწარმოებს სხვების გადასაყვანად.

ასეთი დაინტერესება განუწყვეტელი წარმოების ლოზუნგით სავსებით გასაგებია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ უდიდეს შედეგებს, რომლებსაც მისი გატარება მოგვცემს. ახლა საწარმოო წელი 300 დღეს უდრის. ამას განუწყვეტელ წარმოების დროს მიემატება ახალი 60 დღე. ამის მიხედვით გადიდდება მრეწველობის პროდუქცია და იმატებს სახელმწიფო შემოსავალიც (წმინდა მოგების და გადასახადის სახით). განუწყვეტელი წარმოების განხორციელება გამოიწვევს ახალ მუშახელის დაბანდებას და უმუშევრობის საგრძნობ შემცირებას, რაც თავის მხრივად შეამცირებს ხარჯებს, რომლებიც ახლა უმუშევართა უზრუნველყოფაზე მიდის. ამასთან ხაზგასასმელი ისაა, რომ ყოველივე ეს მოხდება უმეტესად არსებულ ტექნიკურ მოწყობილობის ფარგლებში, ისე რომ ამ მხრივ არ დაგვჭირდება მნიშვნელოვან საშუალებების გაღება. აშკარაა, რომ განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა მთელ გადატრიალებას ნიშნავს ჩვენს სამრეწველო მშენებლობაში და იძლევა მეტად თვალსაჩინო დამატებით წყაროებს მის გასაშლელად. ამიტომაა, რომ ამ ლოზუნგმა ასეთი ცხოველი გამოხმაურება ჰპოვა სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციებში, მთელ ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრიობაში.

საკითხი პრინციპიალურად სავსებით გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს. მუშაობის ცენტრი გადატანილ უნდა იქნას მის პრაქტიკულ მოწესრიგებაზე. რა თქმა უნდა, არსებულ მდგომარეობის და შესაძლებლობათა ყოველმხრივ შესწავლის გარეშე, საფუძვლიანი წინასწარ მომზადების გარეშე განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა ზიანის მეტს არაფერს მოგვიტანს. რა ამოცანები დგანან ამ მხრივ ჩვენს წინაშე? პირველ ყოვლისა, უნდა იქნას გამორკვეული, რამდენად შევსძლებთ ჩვენ განუწყვეტელი წარმოების უზრუნველყოფას ნედლეულით და სათბობი მასალით. შემდეგ უნდა შევისწავლოთ, გვეყოფა თუ არა ამ ღონისძიებების გასატარებლად კვალიფიციური მუშა ხელი. პირველ ხანებში, ცხადია, განუწყვეტელი წარმოება უნდა შემოვიღოთ ისეთ დარგებში, რომლებისათვის მოსახერხებელია ნედლეულის და მუშახელის საკითხის მოგვარება, ამავე დროს, განუწყვეტელი წარმოების გაფართოებისათვის, ე. ი. ახალ-ახალ დარგებში მისი შემოღებისათვის, რა თქმა უნდა, საჭირო იქნება მრეწველობის ნედლეულის ბაზის გადიდება და კვალიფიციური მუშათა კადრების მომზადება. გარდა ამისა, დიდ მუშაობას მოითხოვს საწარმოთა ტექნიკური შეგუება განუწყვეტელ წარმოების ორგანიზაციასთან.

როგორც ვხედავთ, იჩენს უდიდესი საკითხები განუწყვეტელ წარმოების შემოღებასთან დაკავშირებით. სამეურნეო ორგანოები, მუშათა ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით, უნდა შეუდგნენ მათ დამუშავებას და ხელსაყრელი პირობების შექმნას განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლისათვის. საქმეს ხელი უნდა მოვკიდოთ ამ ლოზუნგის გატარების უდიდესი შედეგების და მნიშვნელობის სრული შეგნებით.

გერმანიის ბოლშევიკების ყრილობა

გერმანიის კომპარტიის ახლად დამთავრებულ მე-XII ყრილობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობისათვის. გერმანიის კომპარტია ყველაზე უფრო მასიური და ბოლშევიკურად მომწიფებულია კაპიტალისტურ ქვეყნების სხვა კომპარტიათა შორის. ის არის კომპარტია ისეთი ქვეყნის, სადაც ყველაზე უფრო სწრაფად სწარმოებს კაპიტალისტური სტაბილიზაციის რყევა და მუშათა მასების გარევოლიუციონერების პროცესი. იმპერიალიზმის დამხობისა და მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობის საქმეში გერმანიის კომპარტია სხვა კომპარტიათა შორის ყველაზე უფრო ახლო მიუდგა უმნიშვნელოვანესი ისტორიული ამოცანის განხორციელებას, თუმცა მას უხდება ბრძოლა საერთაშორისო რეფორმიზმის უძლიერეს რაზმთან.

გერმანიის კომპარტიის გამოცდილება მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობისა და რეფორმიზმთან ბრძოლაში ანაყოფიერებს კაპიტალისტური ქვეყნების სხვა კომპარტიათა მუშაობას და ბრძოლას. გაუკეთა რა ჯამი პარტიის ორი წლის მუშაობას და, შეამოწმა რა მე-VI კონგრესის დადგენილებანი გერმანიისა და მთელი კაპიტალისტური მსოფლიოს მაგალითზე, გერმანიის კომპარტიის მე-XII ყრილობამ ჩაატარა დიდი საერთაშორისო მნიშვნელობის მუშაობა, რომელსაც მთლიანად გამოიყენებს კომინტერნის აღმასკომის მომავალი პლენუმი. ყრილობის საერთაშორისო მნიშვნელობა აღნიშნეს ძმურ კომპარტიათა დელეგაციებმა და კომინტერნის აღმასკომის წარმომადგენელმა ამხ. სემარმა..

გერმანიის კომპარტიის მე-XII ყრილობა გაიხსნა იმ დღეებში, როდესაც მაგდებურგში დაამთავრა თავისი მუშაობა გერმანელ სოციალ - ფაშისტების ყრილობამ. სოციალფაშისტებმა თავიანთი ყრილობის ადგილად აირჩიეს მაგდებურგი — ფაშისტური „ფოლადის მუზარადი"-ს და სოციალ - ფაშისტური რესპუბლიკანური დროშის ცენტრი. გერმანიის ბოლშევიკებმა სხდომები ჩაატარეს ვედდინგში, ბერლინის ამ წითელ პრესნაში, სადაც ჯერ კიდევ ერთი თვის წინად გაიმართა ბარიკადები და დაიღვარა მუშების სისხლი. ყრილობების ადგილის არჩევა და ორივე ყრილობის მუშაობის პროგრამა ყველაზე უფრო ნათლად აშუქებენ გერმანიის თანამედროვე განწყობილებას კლასთა ბრძოლის პერსპექტივებს ამ ქვეყანაში.

სოციალ - ფაშისტების ყრილობა და ბოლშევიკების ყრილობა შეიკრიბა გერმანიაში მომხდარ საპირველმაისო ხოცვაჟლეტის შემდეგ. საპირველმაისო ხოცვაჟლეტა ახალი უმაღლესი განვითარების ეტაპის მაჩვენებელი იყო გერმანიის კლასთა ბრძოლაში და მუშათა მოძრაობის წინსვლაში. ცერგიბელების საპირველმაისო ხროლა, რომელიც ბურჟუაზიის ბრძანებით მოხდა, პასუხი იყო გერმანიის პროლეტარიატის აქტივობაზე, კომპარტიის გავლენის ზრდაზე. ცერგიბელების სამაისო სროლა იყო იმის ხმამაღალი აღიარება, რომ გერმანიის ბურჟუაზიამ აიღო კურსი დიქტატურის რეჟიმისაკენ. ცერგიბელების სამაისო სროლა იყო რეფორმისტების სისხლიანი ხელწერილი იმის შესახებ, რომ ისინი მომწიფებული არიან დიქტატურის რეჟიმის საორგანიზაციოდ.

სოციალ-დემოკრატიის ყრილობა მაგდებურგში თავის თავზე ღებულობს დიქტატურის შექმნის ამოცანას. ამ ყრილობამ გვიჩვენა, რომ სოციალ - ფაშისტებისთვის დიქტატურა უკანასკნელი საშუალებაა მუშათა კლასზე გავლენისათვის ბრძოლაში. ერთ და იმავე დროს ამ ყრილობამ მიიღო იმპერიალისტური ომის, პირველ ყოვლისა, საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ომის მზადების გაშლილი პროგრამა.

კომპარტიის ყრილობა, როგორც სოციალ ფაშისტების ყრილობაც ჩატარდა მუშათა კლასის უმრავლესობისათვის ბრძოლის პირობებში. განსხვავება „მხოლოდ" იმაში იყო, რომ იმ დროს, როდესაც სოციალფაშისტები ბჭობდნენ იმაზე, თუ როგორ შეენარჩუნებინათ თავიანთი გავლენა მუშათა კლასის უმრავლესობაზე, კომპარტიის ყრილობამ თავისი ყურადღება მიაპყრო ამოცანას, თუ როგორ ჩაიგდოს ხელში მუშათა კლასის უმრავლესობის ხელმძღვანელობა და გამოგლიჯოს ეს ხელმძღვანელობა რეფორმისტებს.

5 წელმა კაპიტალისტური სტაბილიზაციისა, რომელიც რეფორმისტებმა მშვიდობიანობის ახალ ხანად გამოაცხადეს, არა თუ მტკიცე მშვიდობიანობა არ მოგვცა, არამედ მთელი მსოფლიო დააყენა ახალი ომების საფრთხის წინაშე, საბჭოთა კავშირის საწინააღმდეგო ახალი ინტერვენციის საფრთხის წინაშე. კაპიტალისტური სტაბილიზაციის ხუთმა წელმა და კოალიციის წლებმა, რომლებიც რეფორმისტებმა მასების კეთილდღეობის ხანად და სოციალიზმში გარდამავალ საფეხურად აღიარეს, საქმით მხოლოდ ძირს დასწიეს მასების საცხოვრებელი დონე, შექმნეს უმუშევართა ორმილიონიანი არმია და საფრთხის წინაშე დააყენეს ნოემბრის რევოლიუციის „დემოკრატიული" მონაპოვრები (ორგანიზაციის თავისუფლება, დემოკრატიზაცია და სხვ.). კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების ტემპის თანდათანმა გაძლიერებამ სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში კლასობრივი ბრძოლა ეკონომიური დარგიდან პოლიტიკურ დარგში გადაიყვანა. ბერლინის ამბებმა გვიჩვენეს, რომ მუშათა კლასი გადადის კონტრშეტევაზე არა მარტო ეკონომიურ ბრძოლებში, არამედ პოლიტიკურ ბრძოლებშიც. ბერლინის ამბებმა გვიჩვენეს, რომ კლასობრივი ბრძოლა გერმანიაში გადავიდა თავისი განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე. ფხიზლად შეაფასა რა მდგომარეობა (ტელმანმა თავის მოხსენებაში აღნიშნა, მაგალითად, რომ „პარტია უნდა მოერიდოს არა მარტო რევოლიუციონურ ძალთა შეუფასებლობას, არამედ რევოლიუციონური განვითარების რომელიმე ეტაპზე გადახტომის ყოველგვარ ტენდენციასაც"), გერმანიის კომპარტიის მე-XII ყრილობას სრული საფუძველი ჰქონდა მიეცა სიგნალი ახალი დიდი გადამწყვეტი ბრძოლების მოახლოების შესახებ.

რა ძირითადი ამოცანები აღნიშნა მე-XII ყრილობამ? ყრილობამ პარტიის წინაშე მთელი თავისი შინაარსით დასვა მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობის ამოცანა. მაგრამ, დასვა რა ეს ამოცანა, როგორც აქტუალური, ყრილობამ ბოლშევიკური გარკვეულობით სთქვა, რომ ეს დაპყრობა შეიძლება მოხდეს მხოლოდ კლასობრივი ბრძოლების გაშლის გზით, როგორც ეკონომიურ დარგში, ისე პოლიტიკურში. ილუზია იქნებოდა იმის ფიქრი, რომ კომპარტიას ხელმძღვანელობის გამოგლეჯა სოციალ - ფაშისტების ხელიდან შეუძლია მხოლოდ აგიტაციით და პროპაგანდით. მუშათა მოძრაობაში გეგმიანად კომპარტიას შეუძლია გახდეს იმდენად, რამდენადაც ის ჩაუდგება სათავეში მასების ეკონომიურ ბრძოლას სოციალ - ფაშისტების წინააღმდეგ, რამდენადაც იგი მოახდენს მასების მობილიზაციას სამხედრო საფრთხის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დაცვისათვის ბრძოლაში. რურის ლოკაუტი, ანტი-ჯავშნოსნური კამპანია, ბერლინის ხოცვაჟლეტა და ბარიკადები — აი მასების გარევოლიუციონერების უმნიშვნელოვანესი ფაქტორები.

გერმანიის კომპარტიის ყრილობამ გაშალა მუშათა კლასის და მისი კომუნისტური ავანგარდის ბრძოლის ფართე პროგრამა. ეკონომიური ბრძოლის გაშლა - განვითარება, დამოუკიდებელი ორგანოების შექმნა (რომლებსაც თვით მასები ამოირჩევენ), ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობა (ბრძოლის კომიტეტი და სხვ), ბრძოლა რეფორმისტულ პროფბიუროკრატიასთან, რომელიც აშკარა შტრეიკბრეხერად გადაიქცა, გააფთრებული მუშაობა სოციალფაშისტური ბიუროკრატიის მხილებისათვის და პროფკავშირების მასების დაპყრობისათვის, პროფორგანიზაციების დამოუკიდებელი გამოსვლები ყველა დიდ საქმეებში (საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნები და სხვ.), რეფორმისტული წესდების მიერ შექმნილი ყველა ზღუდეების გადალახვა, დაუნდობელი ბრძოლა საპროფკავშირო ლეგალიზმის სულისკვეთებათა წინააღმდეგ, —ასეთია ყრილობის მთავარი დირექტივები პროფესიონალური მუშაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხებში.

ყრილობამ კაპიტალისტურ რაციონალიზაციასთან ბრძოლის ამოცანებს მჭიდროდ დაუკავშირა ბურჟუაზიისა და რეფორმისტული ლაქიების ფაშისტურ კურსთან ბრძოლის ამოცანები. ყრილობამ გაითვალისწინა ბერლინის ამბების გამოცდილება და წამოაყენა პრობლემა მასიური პოლიტიკური გაფიცვისა, რომელიც ბრძოლის იარაღი უნდა იყოს ფაშიზმის გზაზე დამდგარი დამქირავებლებისა, სახელმწიფო აპარატისა და რეფორმისტების კავშირის წინააღმდეგ. დღევანდელ საფეხურზე მასიური პოლიტიკური გაფიცვა წარმოადგენს მასების შემჭიდროების საშუალებას იმ ბრძოლისათვის, რომლის მიზანიც იქნება ხელისუფლების დაპყრობა.

გერმანიის კომუნისტური პარტიის მე-XII ყრილობა გერმანიის პროლეტარიატის ავანგარდის რევოლიუციონური ინტერნაციონალიზმის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო. ყრილობამ ამხილა გერმანიის ბურჟუაზიის პოლიტიკის იმპერიალისტური ხასიათი, მან პაციფისტური ნიღაბი ჩამოჰგლიჯა სოციალ-ფაშისტებს და ნათელჰყო მათი ნამდვილი სახე: გერმანიის იმპერიალისტური შეიარაღების პროგრამა, რომლის მახვილი მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ყრილობამ უახლოესი თვეების ცენტრალურ ამოცანად წამოაყენა მასების მობილიზაცია 1 ავგვისტოს წითელი დღისათვის შემდეგი ლოზუნგებით: ბრძოლა იმპერიალისტურ შეიარაღებათა წინააღმდეგ, დაცვა საბჭოთა კავშირისა, მასიური გაფიცვები და დემონსტრაციები.

გერმანიის კომპარტიის მე-XII ყრილობამ გააცამტვერა სოციალ - ფაშისტებისა და მათი დამქაშ - ბრანდლერელების ცრუ წუწუნი კომპარტიის „გახრწნის", მასებისაგან მისი იზოლიაციის შესახებ და სხვ. ყრილობის დიდ უმრავლესობას შეადგენდნენ მუშა-კომუნისტები, დიდ საწარმოთა დელეგატები. ყრილობას არა ერთხელ მიესალმნენ დიდ საწარმოთა დელეგაციები. ვედინგის მუშების მიერ გერმანიის კომპარტიის ყრილობის აღსანიშნავად გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათი-ათასმა პროლეტარმა - კაცმა და ქალმა. მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის კომპარტიის ყრილობა გრძნობდა ფართო მასების დახმარებას და სიმპატიას, იგი მაინც არ მიეცა კმაყოფილებას. მან ბოლშევიკური პირდაპირობით გამოამჟღავნა პარტიის სისუსტე მასების ორგანიზაციის საქმეში. საწარმოებისაკენ, პირველ ყოვლისა, მსხვილი საწარმოებისაკენ — ასეთი იყო ყრილობის მთავარი ლოზუნგი.

ყრილობამ ამასთანავე დაგვანახვა გერმანიის კომპარტიის ნამდვილი ბოლშევიკური შემჭიდროება. მემარჯვენეებისა და შემარიგებლების წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის წლიური შედეგები მათთვის კატასტროფიული გამოდგა. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პროცესში კომუნიზმისა და ოპორტუნიზმის გამიჯვნა არაჩვეულებრივი სისწრაფით მოხდა. მაისის ამბებმა ერთმანეთს დაუპირდაპირა კომპარტია, როგორც პროლეტარიატის რევოლიუციონური ავანგარდი, და მემარჯვენეები, როგორც სოციალ - ფაშიზმის აგენტურა. მემარჯვენეები პარტიის გარეთ აღმოჩნდნენ და თან გაიყოლიეს ოპორტუნისტ - ობივატელების უმნიშვნელო ჯგუფი. მათი როლი ამ ჟამად — სოციალფაშიზმის აგენტურის როლს წარმოადგენს პარტიის გარეთ. მათი მთავარი ამოცანაა — შეაფერხონ მასების დენა კომუნიზმის ბანაკში. საქსონიის არჩევნებმა დაგვანახვეს, რომ ბრანდლერელები სოციალ - ფაშისტებს ვერავითარ სერიოზულ დახმარებას ვერ გაუწევენ. „თვით უმშვენიერესი ასული იმაზე მეტს ვერ გაიღებს, რაც გააჩნია".

მემარჯვენე პარტიების ადგილი ახლა შემარიგებლებმა დაიჭირეს. ევერტი და მეიერი ბრანდლერის მემკვიდრენი არიან. შემარიგებლები — ყველა ოპორტუნისტული ელემენტების მიზიდულობის ცენტრს წარმოადგენენ. შემარიგებელთა ბრანდლერობა ყველაზე ნათლად გამოაშკარავდა იმ შეფასებაში, რომელიც მათ მისცეს სოციალ - ფაშისტურ საფრთხეს. შემარიგებლები უარჰყოფენ რეფორმიზმის სოციალ - ფაშისტური გადაგვარების ფაქტს, მექანიკურად უპირისპირებენ ერთმანეთს დემოკრატიასა და ფაშიზმს და სიტყვა - სიტყვით იმეორებენ ბრანდლერების არგუმენტებს. მაგრამ ვინც უარჰყოფს რეფორმიზმის სოციალ - ფაშისტური გადაგვარების ფაქტს, ის პარტიას სოციალ-ფაშიზმთან ბრძოლის იარაღს აყრევინებს, ის ხელს უწყობს სოციალ - ფაშიზმს, რომ შეინარჩუნოს მასები. ყრილობა ბოლშევიკურად მოიქცა, როცა შემარიგებლებს დილემა დაუსვა: ან დამორჩილებოდნენ პარტიას, ან წასულიყვნენ.

ყრილობა პარტიის მომავალი რევოლიუციონური ბრძოლისათვის მზადების თვალსაზრისით მიუდგა პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობის საკითხსაც. ც. კ.— პარტიის შტაბია. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პერიოდში ეს შტაბი მონოლიტური უნდა იყოს. მისი მცირედი მერყეობაც კი რევოლიუციის მთელ საქმეს დაღუპავს. გერმანიის კომპარტიის მე-XII ყრილობამ ბოლშევიკური დასკვნა გამოიტანა წარსული წლების გაკვეთილებიდან და მეტადრე უკანასკნელი წლის დიდი გამოცდილებიდან. ყრილობამ შექმნა მონოლიტური ბოლშევიკური შემჭიდროებული ც. კ.

გერმანიის კომპარტიის მე-XII ყრილობა მომავალ ბრძოლისათვის მზადების ყრილობა იყო. გერმანიის კომპარტიის მე-XII ყრილობამ გაშალა და განავითარა პროგრამა ბრძოლისა, რომლის მიზანია მუშათა კლასის უმრავლესობის დაპყრობა. გერმანიის კომპარტიის მე-XII ყრილობამ დაგვანახვა, რომ გერმანიის რევოლიუციის ძალები იზრდება, რომ მისი ავანგარდის გაძლიერება და გაკაჟება ხდება.

სალამი კომინტერნის მებრძოლ რაზმს — გერმანიის ბოლშევიკებს!

„პრავდა", 20 ივნისი.

ბრიანი მოითხოვს კონტროლის განაზღვებას ავსტრიის განიარაღებაზე

პრესის აზრით ბრიანის მემორანდუმი მანევრია რეინის ოლქის ევაკუაციის წინააღმდეგ

დაიწყო შტრეზემანის და ბრიანის მოლაპარაკება იუნგის გეგმის შესახებ

მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის კოოპერაციის დელეგაცია

პრესა ბრიანის მემორანდუმის შესახებ

ვენა, 19 ივნისი. ავსტრიის პრესა აქვეყნებს ბრიანის მემორანდუმს ავსტრიის განიარაღების საკითხის შესახებ.

ამასთან ავსტრიის დეპეშათა სააგენტო აქვეყნებს ოფიციოზურ კომენტარიებს, სადაც ნათქვამია, რომ მოკავშირეთა კონტროლი ავსტრიის განიარაღებაზე მოისპო 1929 წლის 1-ლ იანვარს და ბრიანის მიერ მოხსენებული დოკუმენტები მოძველდნენ. პრესა დასძენს: „ეს დოკუმენტები გვაგონებენ მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის ძველ ცდას—რაც შეიძლება განეხანგრძლივებია თავისი არსებობა".

ბურჟუაზიული გაზეთები, აგრეთვე სოციალისტური „არბეიტერ ცეიტუნგ"-ი აცხადებენ, რომ ბრიანის მემორანდუმი არ იძლევა ავსტრიის მდგომარეობის სწორ შეფასებას.

ბერლინი, 19 ივნისი. როგორც ვოლფის სააგენტო იუწყება, „დეიჩე დიპლომატიშ - პოლიტიშე კორესპონდენც"-ი (საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციოზი) დაწვრილებით იხილავს მემორანდუმს, რომელიც ბრიანმა როგორც ელჩთა კონფერენციის თავმჯდომარემ, 1929 წლის 23 მაისს გაუგზავნა ერთა ლიგის გენერალურ მდივანს.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ბრიანის მემორანდუმი ეხება იმ კომისიის მუშაობას, რომელიც იხილავდა მოკავშირეთა სამხედრო საკონტროლო კომისიის გაუქმების საკითხს (კომისია კონტროლს უწევდა ავსტრიის განიარაღებას). ბრიანის მემორანდუმი აღნიშნავს, რომ **ავსტრია არ არის სავსებით განიარაღებული და რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია სამხედრო მასალის დამზადების განახლება.** მემორანდუმის სიტყვით, ავსტრიისა და გერმანიის გენერალურ შტაბებს შორის არსებობს საიდუმლო თანამშრომლობა.

ამის გამო გაზეთი სწერს:

„მემორანდუმის გამოქვეყნება წყალს ასხამს იმ წრეების წისქვილზე, რომელნიც გამოდიან რეინის ოლქის განზრახული ევაკუაციის წინააღმდეგ. მემორანდუმის მიზანია გააძლიეროს უნდობლობა გერმანიისადმი, რომლის განიარაღების ფაქტი ოფიციალურად ცნობილია". (ადს).

შტრეზემანის და ბრიანის მოლაპარაკება

პარიზი, 19 ივნისი. როგორც ჰავასის სააგენტო იუწყება, მოლაპარაკება ბრიანსა და შტრეზემანს შორის უკვე დაიწყო. მოლაპარაკებაში მონაწილეობას იღებს პუანკარე. ბრიანმა პრესის წარმომადგენლობას განუცხადა:

„მოსაუბრეებმა შეისწავლეს ის საკითხი, თუ რა პირობებში უფრო უკეთესად შეუძლიათ მთავრობებს დაიწყონ მოლაპარაკება იუნგის გეგმის განხორციელების შესახებ". (ადს).

ამერიკა არ ამტკიცებს იუნგის გეგმას

ნიუ-იორკი, 19 ივნისი. როგორც ჰუვერმა გამოაცხადა **ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების რესპუბლიკა ხელს არ მოაწერს შეთანხმებას რეპარაციების შესახებ.** კონგრესმა უნდა დაამტკიცოს შეთანხმების მხოლოდ ერთი მუხლი. ეს მუხლი შეეხება იმ თანხების შემცირებას, რომლებიც გერმანიამ ამერიკას უნდა გადაუხადოს საოკუპაციო ჯარის შესანახი ხარჯების დასაფარავად.

ხმებია, ამ საკითხის გამო ჰუვერი ცალკე შეთანხმების დადებას აპირებს გერმანიასთან.

ამგვარად, ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების რესპუბლიკა მხარს დაუჭერს იუნგის გეგმას, მაგრამ მის რატიფიკაციას არ მოახდენს, რადგან კონგრესზე არსებობს გავლენიანი ჯგუფი, რომელიც წინააღმდეგია იმისა, რომ ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების რესპუბლიკამ ოფიციალური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო ანგარიშების გამსწორებელ ბანკში. (ადს).

გერმანიის კომპარტიის ყრილობის მანიფესტი

ბერლინი, 19 ივნისი. გამოქვეყნებული იქნა გერმანიის კომპარტიის ყრილობის მანიფესტი გერმანიის მშრომელი მასებისადმი. მანიფესტი ახასიათებს თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას და აღნიშნავს:

„პარიზში სარეპარაციო მოლაპარაკებაზე გერმანიის იმპერიალიზმმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგა იმისათვის, რომ შეუერთდეს მილიტარისტულ ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. გერმანიის კომპარტია, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი მუშათა ფართო ფენებში და რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული პროლეტარულ მასიურ ორგანიზაციებთან, იცავს ჩაგრულთა ინტერესებს და დაუნდობლად ებრძვის ყოველგვარ ოპორტუნიზმს,—**ეს კომპარტია იქნება გერმანიის პროლეტარიატის მტკიცე დასაყრდენი, საბჭოთა კავშირის შეუპოვარი გუშაგი და მსოფლიო პროლეტარიატის შეურყეველი სიმაგრე.** ყველა ქვეყნის რევოლიუციონური მუშები 1-ლ აგვისტოს იკრიბებიან კომინტ. დროშის ქვეშ ძლიერი მასიური დემონსტრაციის მოსაწყობად მშვიდობიანობისათვის, საბჭოთა კავშირის დასაცავად, სოციალ-ფაშისტების მიერ იმპერიალისტური ომის მომზადების წინააღმდეგ, კაპიტალის შეტევის წინააღმდეგ და პროლეტარიატის დიქტატურისათვის.

ყრილობა მოუწოდებს გერმანიის მშრომელ მასებს—გამართონ მასიური გამოსვლები". (ადს).

„ზავი სამთამადნო მრეწველობაში"

რეფორმისტები მრეწველებთან შეთანხმებას ცდილობენ

ლონდონი, 19 ივნისი. სამთომადნო მუშათა საერთაშორისო ფედერაციის აღმასკომის სესიამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც საჭიროდ სთვლის საერთაშორისო შეთანხმებების დადებას ქვანახშირის პროდუქციისა და ქვანახშირის ბაზრების საკითხების შესახებ.

აღმასკომმა საჭიროდ სცნო აგრეთვე საერთაშორისო კომიტეტის დაარსება, რომელშიაც შევლენ მრეწველთა, სამთომადნო მუშათა და სხვადასხვა მთავრობის წარმომადგენელნი.

აღმასკომმა დაადგინა, მოწვეულ იქნას საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მოაწესრიგებს სხვადასხვა ქვეყნის სამთომადნო მუშების შრომის საერთო პირობებს და სამუშაო დღის ხანგრძლივობას. (ადს).

ლონდონი, 19 ივნისი. კარდიფში მოხდა სამხრეთ - უელსის ქვანახშირის მრეწველობის გაერთიანებული მომრიგებელი პალატის სხდომა. განხილულ იქნა საკითხი მრეწველებსა და მემაღაროებს შორის ახალი შეთანხმების დადების შესახებ.

სამხრეთ-უელსის სამთომადნო მუშათა ფედერაციის წარმომადგენლები მოითხოვდნენ სრულიად ინგლისის ნაციონალური შეთანხმების დადებას და არა შეთანხმებას ოლქების მიხედვით.

მრეწველებმა გამოაქვეყნეს განცხადება, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ მათ შეუძლებლად მიაჩნიათ მოლაპარაკების დაწყება ნაციონალური შეთანხმების შესახებ. (ადს).

გამოძახილი მაკდონალდის წერილზე

რომი, 19 ივნისი. მაკდონალდის წერილმა იტალიაში დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. იტალიის გაზეთების ზოგიერთი კორესპონდენტი, აღნიშნავს რა, რომ მაკდონალდი ამ წერილით თავის წინააღმდეგ ამხედრებს იტალიას, საფრანგეთს, პოლონეთს, რუმინეთს და სამხრეთ-სლავიას, გესლიანად კითხულობს—როგორ უყურებს მაკდონალდი ინდოეთის, ბალტიის და სხვა კოლონიების ეროვნულ უმცირესობებს (ადს).

პარიზი, 19 ივნისი. მაკდონალდის წერილს ეროვნულ უმცირესობათა შესახებ სასტიკი კრიტიკით შეხვდა საფრანგეთის მთელი ბურჟუაზიული პრესა.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ მაკდონალდმა „უდიდესი შეცდომა" ჩაიდინა. გაზეთები გაოცებულნი არიან, რომ ასეთი წინააღმდეგობა არსებობს მაკდონალდის თეზისებსა და იმ პოზიციის შორის, რომელზედაც იდგა ინგლისის წარმომადგენელი, მადრიდში ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე (ადს).

საფრანგეთი არ გაილაშქრებს მაკდონალდის წინააღმდეგ

ლონდონი, 19 ივნისი. „მანჩესტერ გარდიენ"-ის პარიზელი კორესპონდენტი სწერს: მარტო იმ ფაქტმა, რომ ინგლისში ხელისუფლებას დაეპატრონა მუშათა პარტიის მთავრობა, „სასიკეთოდ შესცვალა მდგომარეობა ევროპაში, მეტადრე საფრანგეთში". კორესპონდენტი იუწყება: საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ ფრანგულ გაზეთებს მიუთითა, რომ საჭიროა თავი შეიკავონ და არ გაილაშქრონ მაკდონალდის წინააღმდეგ იმის გამო, რომ „სენდეი ტაიმს"-მა გამოაქვეყნა მისი ძველი წერილი ეროვნულ უმცირესობათა შესახებ.

„ალბად,—სწერს კორესპონდენტი,—საფრანგეთი აშკარად არ გაილაშქრებს ინგლისის კაბინეტის წინააღმდეგ და ეცდება მოურიგდეს მას ან როგორმე აუხვიოს გვერდი" (ადს).

რევოლიუციონურ ფაბკარხკომების კონფერენცია

ბერლინი, 19 ივნისი. გაიმართა დიდ საწარმოთა რევოლიუციონური ფაბკარხკომების მიერ მოწვეული კონფერენცია. მოხსენება ფაბკარხკომების ამოცანების შესახებ გააკეთა კომპარტიის ცკას წარმომადგენელმა მერკერმა. მან აღნიშნა საწარმოებში რევოლიუციონურ რწმუნებულთა კორპუსის შექმნის დიდი მნიშვნელობა და ფაბკარხკომების ხელმძღვანელი როლი პროლეტარიატის ეკონომიურ ბრძოლაში.

კონფერენციამ აირჩია ფაბკარხკომების ბერლინის კომიტეტი 15 წევრის შემადგენლობით. კომიტეტს დაევალა შეუდგეს ფაბკარხკომების გაერთიანებას საწარმოო პრინციპის მიხედვით და მოაწყოს ფაბკარხკომების მუდმივი სამდივნო (ადს).

რეინბაბენი გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ბერლინი, 19 ივნისი. „დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-მა მოათავსა სახალხო პარტიის დეპუტატის, შტრეზემანთან დაახლოვებული რეინბაბენის წერილი გერმანიის საგარეო პოლიტიკის შესახებ. რეინბაბენის აზრით „გერმანიამ უნდა გამოიყენოს ოთხი ფაქტი: კელოგის პაქტის გავლენა, ჰუვერის არჩევა ჩრდ. ამერ. შეერთებული შტატების პრეზიდენტად, ინგლისის არჩევნების შედეგი და შეთანხმება სარეპარაციო საკითხში".

რეინბაბენი ყველაზე დიდ მნიშვნელობას აძლევს სარეპარაციო შეთანხმებას და ამბობს, მან შეიძლება გამოიწვიოს გერმანიის, საფრანგეთის, ინგლისის და შეერთებული შტატების პოლიტიკური შეთანხმება. (ადს).

გაფიცვების ტალღა ამერიკაში

გაფიცულია 14.000 მექურქე

ნიუ-იორკი, 19 ივნისი. მკერავთა მემარცხენე კავშირმა გამოაცხადა მექურქეების გაფიცვა და მოითხოვა 40 საათის სამუშაო კვირა, ხელფასის გადიდება, დაზღვევა უმუშევრობისაგან, ნარდად მუშაობის გაუქმება და მემარცხენე კავშირის ცნობა.

ამერიკის შრომის ფედერაციამ გაფიცვა უკანონოდ გამოაცხადა. **გაფიცულია 14.000 მექურქე.**

მკერავთა კავშირი მექურქეთა მემარჯვენე კავშირს დამქირავებლებთან თანამშრომლობას აბრალებს. (ადს).

მელითონეთა გაფიცვა

ნიუ-იორკი, 19 ივნისი. კლივლენდში გაიფიცა რამდენიმე ასი მელითონე, რომლებიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას, პოლიციამ დააპატიმრა პროფკავშირების დაცვის ლიგის 8 წარმომადგენელი, რომლებიც გაფიცულთა მიტინგებზე გამოდიოდნენ (ადს).

მუშების სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან

ვარშავა, 19 ივნისი. პაბიანიცეში კრუშეს და ენდერის საფეიქრო ფაბრიკაში მოხდა მუშების სისხლისმღვრელი შეტაკება პოლიციასთან. შეტაკების მიზეზი იყო შემდეგი: ორი კვირის წინად ფაბრიკის მუშებმა გამართეს საპროტესტო დემონსტრაცია წარმოების შემცირების წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ ადმინისტრაციამ დაითხოვა რამდენიმე მუშა, რომლებსაც იგი სთვლიდა დემონსტრაციის მეთაურებად. მუშები სოლიდარობის ნიშნად გაიფიცნენ და დაიჭირეს ფაბრიკის ეზო. ადმინისტრაციამ პოლიცია გამოიწვია. მაშინ მუშებმა ფაბრიკის ეზოში გამართეს ბარიკადები. ცხენოსანმა პოლიციამ იერიში მიიტანა ბარიკადებზე. მუშებმა პოლიციას დაუშინეს ქვები. პოლიციამ დიდის გაჭირვებით გასწმინდა ეზო. შეტაკების დროს დაშავდა ექვსი მუშა, ოთხი პოლიციელი, აგრეთვე პოლიციელების რამდენიმე ცხენი.

გაფიცული მუშების გარეკვის შემდეგ ფაბრიკის ადმინისტრაციამ გამოაცხადა, რომ ფაბრიკა დახურული იქნება გაურკვეველ დრომდე. უმუშევრად დარჩება 4.000 მუშა, (ადს).

საფრანგეთის კოოპერაციის დელეგაცია მოსკოვში

მოსკოვი, 20 ივნისი. 19 ივნისს მოსკოვში ჩამოვიდა საფრანგეთის კოოპერაციის დელეგაცია. დელეგაციის თავმჯდომარემ პუასონმა საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს დელეგაციის ამოცანების შესახებ განუცხადა:

„დელეგაციის მიზანია საბჭოთა კოოპერატიული მოძრაობის შესწავლა. ჩვენ განზრახული გვაქვს სამი კვირის განმავლობაში ვინახულოთ რაც შეიძლება მეტი ადგილი".

დელეგაცია ესტუმრა „ცენტროსოიუზ"-ს, სადაც მას მიესალმა „ცენტროსოიუზ"-ის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ლიუბიმოვი. ამხ. ლიუბიმოვს უპასუხა დელეგაციის თავმჯდომარემ პუასონმა, რომელმაც განაცხადა:

„იმედი გვაქვს, რომ ჩვენი დელეგაციის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს უფრო მჭიდრო და მეგობრული კავშირის შექმნას საფრანგეთის და საბჭოთა კოოპერაციას შორის. (ადს).

საღამო ადმირალ საიტოს პატივსაცემად

ტოკიო, 19 ივნისი. იაპონია-საბჭოთა კავშირის დაახლოვების საზოგადოებამ „ნიცირო კიოკაიმ" გამართა საღამო საზოგადოების გარდაცვალებული საზოგადოების ბარონ ტოგოს მაგიერ არჩეული ახალი თავმჯდომარის ადმირალ საიტის პატივსაცემად. საღამოს დაესწრო იაპონიის ოფიციალური სავაჭრო წრეების მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე საბჭოთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წევრები ტროიანოვსკის მეთაურობით.

საიტომ და ტროიანოვსკიმ წარმოსთქვეს სიტყვები იაპონია-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის შემდეგი განვითარების შესახებ (ადს).

უკანასკნელი ცნობები

უმუშევართა მღელვარება ლოძში

ვარშავა, 20 ივნისი. გაზეთები იუწყებიან უმუშევართა ახალ მღელვარების შესახებ ლოძში. რამოდენიმე ასეული უმუშევარი შეიკრიბა ქალაქის გამგეობასთან, რომლისაგან მოითხოვდენ საზოგადოებრივ სამუშაოების ორგანიზაციას. როცა უარი მიიღეს, უმუშევრები შეეცადნენ გამგეობის შენობაში შეჭრას. გამგეობას პოლონეთის სოციალისტური პარტიის წევრები ხელმძღვანელობდენ. მათ მიერ გამოწვეულმა პოლიციამ უმუშევრები გაფანტა. უმუშევრები ხელმეორედ შეიკრიბნენ და მათ აირჩიეს დელეგაცია, რომელიც არ იქნა მიღებული. მაშინ უმუშევრები კიდევ ორჯერ შეეცადნენ ხელთ ეგდოთ ქალაქის გამგეობის შენობა, მაგრამ ცხენოსანმა პოლიციამ ისინი გარეკა. ერთი მუშა მძიმედაა დაჭრილი და რამოდენიმე კი მსუბუქად. მრავალი დემონსტრანტი დაპატიმრებულ იქნა. (ადს).

4.000 კაცი ქუჩაში გაყარეს

ვარშავა, 20 ივნისი. კრუშე ბენდერის საფეიქრო ფაბრიკამ პაბიანიცეში, სადაც მუშებსა და პოლიციას შორის სისხლის მღვრელ შეტაკებას ჰქონდა ადგილი, დაითხოვა ყველა მუშა 4.000 კაცის რაოდენობით. ქალაქში დემონსტრაციები გრძელდება (ადს).

„წარჩინებული სტუმრები"

ლოძი, 20 ივნისი. ჩამოვიდნენ „წარჩინებული სტუმრები" მეორე ინტერნაციონალიდან. მათი ჩამოსვლა მაშინ მოხდა, როცა ქალაქის გამგეობის წინ პოლიცია მუშებს ცემა-ტყეპით უმასპინძლდებოდა (ადს).

დეპუტატის „ხელშეუხლებლობა"

ბერლინი, 20 ივნისი. ჰამბურგის პარლამენტმა მიიღო დადგენილება კომუნისტური ფრაქციის 25 წევრისათვის დეპუტატის ხელშეუხლებლობის უფლების ახდის შესახებ. კომუნისტ დეპუტატებს პროკურორმა წარუდგინა ბრალდება ხელისუფლების წარმომადგენელთა შეურაცყოფის შესახებ, რაც იმაში [illegible] მდგომარეობდა, რომ დეპუტატებმა წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციელებს, რომლებსაც ისინი გაჰყავდათ სხდომის დარბაზიდან (ადს).

იაპონია საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის შესახებ

ტოკიო, 20 ივნისი. მაკდონალდსა და ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის—დაუესს შორის საზღვაო შეიარაღების შეზღუდვის საკითხის გარშემო გამართულ მოლაპარაკების შესახებ, იაპონიის პრესა აცხადებს, რომ „იაპონია ყოველთვის მზადაა მიიღოს მონაწილეობა საკითხის გამო მოწვეულ დიდ სახელმწიფოთა კონფერენციის მუშაობაში" (ადს).

ჩეხო-სლოვაკია და საბჭოთა კავშირი

პრაღა, 19 ივნისი. ჩეხო-სლოვაკია-საბჭოთა კავშირის სავაჭრო პალატის განცხადებამ, რომელიც აბათილებს ვაჭრობის მინისტრის ნოვაკის იმ მტკიცებას, ვითომ ვაჭრობა საბჭოთა კავშირთან უმნიშვნელოა, ძალიან ააშფოთა ნაციონალ-დემოკრატთა პარტიის ორგანოები (ნოვაკი ნაციონალ-დემოკრატია).

გაზეთი „ნაროდნი ლისტ"-ი სცდილობს სახელი გაუტეხოს პალატის ხელმძღვანელ პირებს. (ადს).

უმუშევრობა იზრდება

ლონდონი, 19 ივნისი. რეიტერი იუწყება:

„უმუშევართა რიცხვი 10 ივნისისათვის 112.000 კაცს უდრიდა. გასულ კვირასთან შედარებით, უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 12.675 კაცით, გასულ წელთან შედარებით — 3.748 კაცით. (ადს).

მზადება იმპერიალიზმთან ბრძოლის ლიგის მეორე კონგრესისათვის

ბერლინი, 19 ივნისი. მიღებული ცნობების მიხედვით, ყველა კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში ემზადებიან იმპერიალიზმთან და კოლონიალური ხალხთა დაჩაგვრასთან ბრძოლის ლიგის მეორე კონგრესისათვის, რომელიც მოხდება 20 ივლისს პარიზში. (ადს).

ახალგაზრდების დაპატიმრება

ვარშავა, 20 ივნისი. კრაკოვში დააპატიმრეს რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთაც ბრალდებათ კომკავშირელობა. (ადს).

შტრეზემანი ბერლინში წავიდა

პარიზი, 19 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება: გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრი შტრეზემანი, რომელიც პარიზში მოლაპარაკებას აწარმოებდა ბრიანთან და პუანკარესთან, ბერლინში წავიდა. (ადს)

პირველ აგვისტოს მანიფესტაციები აკრძალული იქნება

ბერლინი, 20 ივნისი. შვეიცარიის პარლამენტის სხდომაზე მთავრობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 1-ლ აგვისტოს კომუნისტების მიერ დანიშნული იმპერიალისტური ომის საწინააღმდეგო მანიფესტაციები აკრძალული იქნება. (ადს).

ერთა ლიგის საბჭოში

მადრიდი, 19 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს სხდომაზე ჩილის დელეგატმა ვილეგასმა ოფიციალურად განაცხადა, ჩილისა და პერუს რესპუბლიკებს შორის მოგვარდა კონფლიქტი იმის შესახებ, თუ ვის უნდა ეკუთვნოდეს ტაკნ არიკის ტერიტორია. საბჭოს ყველა წევრმა დიდი კმაყოფილება გამოსთქვა. ერთა ლიგა ცდილობს თავის აქტივში ჩასწეროს დამთავრება კონფლიქტისა, რომელიც მის გარეშე მოგვარდა. (ადს).

დაპატიმრებანი ზაგრებში

ვენა, 19 ივნისი. ბელგრადიდან იუწყებიან: ზაგრებში დააპატიმრეს რამდენიმე კაცი, რომელთაც ბრალდებათ კომუნისტური პროკლამაციების გავრცელება. დაპატიმრებულია ცნობილი გენერალი მიროსლავ კრლეჟა და 5 სხვა. ხმებია, კრლეჟა დაკითხვის შემდეგ განთავისუფლეს. (ადს).

ახალი საბინაო კანონი ავსტრიაში

ვენა, 19 ივნისი. სოციალ-დემოკრატებსა და ბურჟუაზიულ პარტიებს შორის ხანგრძლივი საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ ავსტრიის პარლამენტმა მიიღო ახალი საბინაო კანონი, რომელიც ითვალისწინებს ბინის ქირის თანდათან გადიდებას მახლობელი ორი წლის განმავლობაში. კანონი მიღებულ იქნა ორი წლით. ფიქრობენ, რომ ამას შედეგად მოჰყვება ყველა იმ შეზღუდვის გაუქმება, რომლითაც განსაზღვრული იყო სახლის პატრონის უფლება ქირის დაწესების საქმეში.

კომპარტიამ გააჩაღა ფართო მასიური საპროტესტო კამპანია ახალი კანონის წინააღმდეგ. მან გამართა სარაიონო მიტინგები. მიტინგები პოლიციამ გარეკა. მოხდა შეტაკებანი. დააპატიმრეს 20 მუშა, მათ შორის კომპარტიის ცკას წევრი ცოგლერი (ადს).

სამხედრო მოქმედება მაროკოში

პარიზი, 19 ივნისი. რაბატიდან მოსული ცნობების მიხედვით, ფეციდან მაროკოში გადაგზავნილი დამხმარე ჯარი მიემართება აიტ-იაკუბისაკენ. ჯარმა დაიკავა ტანგრიფი. მეორე კოლონამ აიტ-აკუბს აღმოსავლეთით მოუარა და დაიკავა გაბატონებული მაღლობები. (ადს).

სხვადასხვა

● **მუშათა მატარებლის დაჯახება.** გრამონში (ბელგია) მოხდა მუშათა ორი მატარებლის დაჯახება. დაჯახების დროს მოკვდა 8 კაცი. დაშავდა ბევრი მგზავრი (ადს).

● **მომქმედი ვულკანის ამოხეთქა.** 16 ივნისს დაიწყო მომქმედი ვულკანის — კომაგ ატაკეს ძლიერი ამოხეთქა. ეს ვულკანი მდებარეობს კუნძულ ხოკაიდოს (იაპონია) გემთსადგომ მორორანის ნაპირზე. ცნობები ადამიანთა მსხვერპლის შესახებ ჯერ არ არის მიღებული. (ადს).

● **ინგლისის ესკადრა რიგაში.** რიგაში მივიდა ინგლისის ესკადრა (ადს).

● **პილსუდსკი რუმინეთის კურორტზე მოგზაურობს.** რუმინელი გაზეთის „ადევერულ"-ის ცნობით ივლისის პირველ რიცხვებში რუმინეთის კურორტ ტრგოვიშოში ჩავა პილსუდსკი (ადს).

● **მეწყერი.** სავიდაში (კოლუმბია) მეწყერისაგან დაიღუპა 40 კაცი, ხოლო დაშავდა 100 კაცზე მეტი. (ადს).

● **სიცხის მსხვერპლნი.** ნიუ-იორკში სიცხისაგან მოკვდა 14 კაცი. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ჭიათურის მარგანეცი იპყრობს უცხოეთის ბაზარს

მოსკოვი, 21 ივნისი. „ექსპორტმარგანეცი"-ს თავმჯდომარემ ამხ. ა. სვანიძემ თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ჭიათურის შავი ქვის უცხოეთის ბაზარზე გასაღების პერსპექტივების შესახებ შემდეგი განაცხადა:

მსოფლიო ბაზარზე მეტად სკეპტიკურად უყურებდნენ ჭიათურის მარგანეცის გასაღების საქმეს. ეეჭვებოდათ ჩვენი შესაძლებლობანი ამ დარგში. მაგრამ საბჭოთა მარგანეცი თანდათან იპყრობს უცხოეთის ბაზარს და პირვანდელი განწყობილებაც ქარწყლდება. მარგანეცის ფასების დაცემა უცხოეთის ბაზარზე საზღვარს უახლოვდება, **თუ ფასები დარჩა იმ დონეზე, რომელიც ეხლა არის, ჩვენი კონკურენტი ფირმების მნიშვნელოვანი რიცხვი იძულებული იქნება წავიდეს ბაზრიდან, რადგან ეხლანდელი ფასები მათთვის რენტაბელური არ არის. საბჭოთა მარგანეცის მრეწველობას კი შეუძლია მოგებით იმუშაოს ეხლანდელ ფასების პირობებშიაც.**

მომავალი სამეურნეო წლისათვის საბჭოთა კავშირის მარგანეცის მრეწველობას (ჭიათურა, ნიკოპოლი) შეეძლება ყოველი სახის სამრეწველო დავალების შესრულება და ბაზრის ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

შავი-ზღვის რკინის-გზის მშენებლობის დაჩქარება

მოსკოვი, 20 ივნისი. საკითხი შავიზღვის რკინის-გზის დამთავრების დაჩქარების შესახებ უახლოეს ხნის განმავლობაში იქნება დასმული საკავშირო საგეგმო კომისიის სხდომაზე. გზათა სახალხო კომისარიატმა გადასწყვიტა დააჩქაროს შავი-ზღვის რკ.-გზის დასრულება. მტკიცედ არის გადაწყვეტილი, რომ მთელ გზაზე მოძრაობა დაიწყოს მახლობელ ხუთი წლის დასრულებამდე.

პუანკარეს ანტი-საბჭოთა გამოსვლა

მოსკოვი, 21 ივნისი. „იზვესტია"-ს ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება, რომ ინგლისის გაზეთები თვალსაჩინო ადგილას ათავსებენ პუანკარეს წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო ამერიკულ ჟურნალში.

პუანკარეს წერილი მთლიანად მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, თუმცა აღსანიშნავია, რომ არსად მთელ წერილში არ არის ნახსენები საბჭოთა კავშირის სახელი. ევროპა არც თუ სახარბიელო მდგომარეობაშია,—სწერს პუანკარე, რომელსაც მხედველობაში აქვს ამერიკის პირობები,—ევროპას აღმოსავლეთით აკრავს უდიდესი საიდუმლოებით მოცული სახელმწიფო, რომლის პოლიტიკურ რეჟიმსაც არაფერი აქვს საერთო ცივილიზაციის ქვეყნების სახელმწიფოებრივ წყობილებასთან. ამ რეჟიმის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის პროგრესიულ იდეების საფარველ ქვეშ მისწრაფვის ყველაზე საშინელ რეაქციონურ ვნებათა გაღვიძებისაკენ.

იმ სახელმწიფოებმაც კი, რომლებთანაც ამ სახელმწიფოს ოფიციალური კავშირი აქვს, ის ამყარებს კონტაქტს ყველა იმათთან, ვისაც არევ-დარევა შეაქვს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამნისტია" ბულგარეთში

სოფია, 19 ივნისი. ბულგარეთის პარლამენტმა პირველი წაკითხვის შემდეგ მიიღო მთავრობის კანონპროექტი ამნისტიის შესახებ. კანონპროექტით, ამნისტია ეხება თითქმის მარტო სისხლის სამართლის დამნაშავეებს. პოლიტიკურ საქმეთა შორის ამნისტია ეხება მხოლოდ იმ პოლიტიკურ პატიმრებს, რომელთა საქმეც აღძრულია 1925 წლამდე.

მუშათა სოციალისტური პარტიის დეპუტატებმა კამათის დროს აღნიშნეს, რომ კანონპროექტი წარმოადგენს მხოლოდ მანევრს, რომლის მიზანია პოლიტიკურ პატიმართა ნამდვილი ამნისტიის თავიდან აცილება. პროექტის საწინააღმდეგოდ მუშათა სოციალისტურმა პარტიამ მოითხოვა პოლიტიკურ პატიმართა საყოველთაო და სრული ამნისტია. ამ მოთხოვნას შეუერთდა გლეხთა კავშირის მემარცხენე ფრთის წარმომადგენელი დრაგნევი. (ადს).

პოლიციის ბრძოლა კომპარტიის წინააღმდეგ

პრაღა, 19 ივნისი. პოლიცია განაგრძობს სისტემატიურ ბრძოლას კომპარტიის წინააღმდეგ. პრაღაში მომხდარი მასიური ჩხრეკის შემდეგ ასეთივე ჩხრეკა მოხდა მორავიის ცენტრალურ ქალაქ ბრნოში. ფორმალური საბაბი იგივე იყო, რაც პრაღაში: ძებნა წიგნაკის — „ლიკვიდატორული ლეგალიზმიდან ბოლშევიკური აქტიობისაკენ". პოლიცია ცდილობს გამოიყენოს ეს საბაბი იმისათვის, რომ პარტიაში შეიტანოს არევ-დარევა და რაც შეიძლება მეტი ცნობა ჩაიგდოს ხელში მისი მოქმედების შესახებ, განსაკუთრებით 1 აგვისტოს მზადებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, პოლიცია რიგ ღონისძიებებს მიმართავს, რომელნიც ნიადაგს უმზადებენ კომუნისტური პარტიის სრულ აკრძალვას.

დაიხურა მრავალი გაზეთი და ჟურნალი, მრავალსაც დახურვის საფრთხე მოელის. ამავე დროს პრეზიდენტ მასარიკთან და გარეშე საქმეთა მინისტრ ბენეშთან ახლო მდგომი წვრილ - ბურჟუაზიული სოციალისტური პრესა მკაცრად ილაშქრებს კომპარტიის წინააღმდეგ. (ადს).

პროვოკაციის ზრდა

ბერლინი, 19 ივნისი. ჰანოვერში რემედასის ადგილობრივმა ორგანიზაციამ აღმოაჩინა, რომ არსებობდა ორგანიზაციის პროვოკაციის ქსელში გაბმის ცდა. რემედასის ჰანოვერის ორგანიზაციის მდივანმა მარშალმა რემედასის კანცელარიაში აღმოაჩინა დიდი ყუთი, რომელიც არ იციან, ვის ეკუთვნის. მარშალმა იფიქრა, რომ ის ერთ-ერთ ამხანაგს ეკუთვნის, მაგრამ დღის განმავლობაში ეს ყუთი არავინ წაიღო და არც მოიკითხა. ამან მარშალს ეჭვები აღუძრა და საქმის ვითარება აცნობა კომუნისტ დეპუტატ აზელს, რომელიც გამოცხადდა კანცელარიაში. აზელმა და მარშალმა ყუთი გახსნეს და ძალზე გაოცდნენ, როდესაც შიგ ასაფეთქებელი ნივთიერება ნახეს. მათ დაუყოვნებლივ აცნობეს პოლიციას, რომელიც, მიუხედავად მრავალჯერ გამოძახებისა, მხოლოდ ერთი საათის შემდეგ გამოცხადდა. სრული სიფრთხილის დაცვით ყუთი მთლად გახსნეს და შიგ აღმოჩნდა ყუმბარები, დინამიტი და სხვ.

ყუთი ისე იყო შეკრული და ასაფეთქებელი ნივთიერებაც ისე კარგად ჩალაგებული, რომ, ეტყობოდა, ყუთი სპეციალისტის მიერ იყო შემზადებული.

გამოძიებამ დაამტკიცა, რომ ყუთი რემედასის შენობაში დასტოვა ვიღაც უცნობმა. ამ შემთხვევის აშკარა პროვოკაციული ხასიათის მიუხედავად, ბურჟუაზიული გაზეთების ნაწილი იყენებენ მას რემედასის და კომპარტიის საწინააღმდეგო კამპანიისათვის (ადს).

პროფინტ. აღმასრულებელ ბიუროს რეზოლიუცია

ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გამო

მოსკოვი, 20 ივნისი. პროფინტერნის აღმასრულებელ ბიუროს სხდომაზე ამხ. ლოზოვსკიმ გააკეთა მოხსენება საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს მეორე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ. მოხსენების გამო აღმასბიურომ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ „საბჭოთა პროფმოძრაობა გადაჭრით გამოვიდა ოპორტუნისტული მერყეობის, მემარჯვენე ტენდენციებისა და ოქტომბრის რევოლიუციის შემოქმედი ძალებისადმი რწმენის უქონლობის წინააღმდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა პროფმოძრაობის ხელმძღვანელ ფენებში. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ პლენუმის გადაწყვეტილებანი ბოლოს მოუღებენ საბჭოთა პროფკავშირების დემაგოგიურ დაპირისპირებას პროფინტერნთან. დასასრულ, პროფინტერნის აღმასბიურო იზიარებს საკავშირო ცენტრალური პროფსაბჭოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ საბჭოთა პროფკავშირები, საერთაშორისო რევოლიუციონურ პროფმოძრაობასთან ერთად, მომავალშიაც ენერგიულად შეებრძოლებიან ყოველგვარ ცდას, რომელიც მიზნად ისახავს მსოფლიო საბჭოთა პროფმოძრაობის ჩათრევას ოპორტუნიზმის ჭაობში. (ადს)

ამერიკელ მეცნიერთა კომისიის ჩამოსვლა

მოსკოვი, 20 ივნისი. ივლისის პირველ რიცხვებში ამერიკიდან მოსკოვში მოემგზავრება ებრაელთა მიწათმოწყობის დამხმარე ამერიკული მუშათა ორგანიზაციის მიერ დაარსებული კომისია, რომელშიაც შედიან ცნობილი ამერიკელი მეცნიერნი. მათი ჩამოსვლის მიზანია ტეხნიკური დახმარების გაწევა ებრაელთა კოლონიისათვის ბირო - ბიჯანში (შორეული აღმოსავლეთი).

კომისიას მეთაურობს იუტის შტატის აგრიკულტურული ინსტიტუტის რექტორი, ბრინჯის თესვის საქმის ცნობილი მცოდნე პროფესორი გარიი. კომისია მოსკოვში გამართავს თათბირს საბჭოთა სამეცნიერო მუშაკებთან და შემდეგ გაემგზავრება ბირობიჯანში.

1929 წლის განმავლობაში ებრაელთა მიწათმოწყობის დამხმარე ამერიკულმა მუშათა ორგანიზაციამ ბირო-ბიჯანში გაგზავნა 120.000 დოლარის სხვადასხვა მანქანები, (ტრაქტორები და სხვ.).

განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა

მოსკოვი, 20 ივნისი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს სამშენებლო კომიტეტთან მოხდა თათბირი განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლის შესახებ. თათბირმა განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა მიზანშეწონილად სცნო მშენებლობის დარგებისათვის და გაიაფების მიზნებისათვის. სამშენებლო ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ — აღნუსხონ კონკრეტიულად ის მშენებლობანი, რომელთაც მიმდინარე წელსვე შეუძლიათ განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა. (ადს).

მოსკოვი, 20 ივნისი. სამთო-მადნო მუშათა კავშირის ცეკა ემხრობა იმას, რომ სამთო-მადნო მრეწველობის ზოგიერთი დარგი (ნავთის ამოღება და გადამუშავება, ოქროს და პლატინის ამოღება, მადნეულის ძებნა) 1929—30 წელსვე გადავიდეს განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე. (ადს).

დნეპროპეტროვსკი, 20 ივნისი. ადგილობრივ საწარმოთა მუშები სიხარულით ეგებებიან განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლას. პეტროვსკის სახელობის სალითონო ქარხანაში განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე უკვე გადაყვანილია რამდენიმე ცეხი. ამის გამო მარტენის ღუმელმა საგრძნობლად გაადიდა ლითონის გამუშავება, ბესემერის ცეხის წარმოება გაიზარდა 15 პროცენტით, მილების ჩამომსხმელი ცეხის —20 პროცენტით. (ადს).

საწარმოო-სავაჭრო თათბირის დელეგაცია ამხ. სტალინთან და მოლოტოვთან

მოსკოვი, 20 ივნისი. 18 ივნისს სატყეო მრეწველობის საწარმოო - სავაჭრო თათბირის მიერ გამოყოფილმა დელეგაციამ ინახულა ამხ. სტალინი და მოლოტოვი. დელეგაციასთან საუბარში ამხ. სტალინმა და მოლოტოვმა აღნიშნეს, რომ საჭიროა მკვდარი წერტილიდან დაიძრას საკითხი იმის შესახებ, რომ სატყეო მრეწველობა უზრუნველყოფილ იქნას სათანადო ნედლეულით, რომელიც საშუალებას მოგვცემს შევასრულოთ როგორც ჩვენი საექსპორტო გეგმა, ისე საშინაო მშენებლობის გეგმა.

მ. ცხაკაია და ს. თოდრია ახალქალაქის მაზრაში

ახალქალაქი, 20 ივნისი. (საკ. კორესპ.) 19 ივნისს ხიზაბავრის თემში, ამხ. მიხა ცხაკაიას და ს. თოდრიას მოსვლის გამო, გაიმართა დიდი კრება. ცხაკაიამ და თოდრიამ ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს. ხალხიდან გამოსულები თავიანთ სიტყვებში შეეხნენ საძოვრებს, ტყეებს, სარწყავ არხებს, კოლმეურნეობებს.

ჩამოსული სტუმრები ხიზაბავრიდან გაემგზავრნენ ალასტანის თემში, სადაც სოფლის საჭიროებას შესახებ მრავალი სიტყვა წარმოითქვა.

საღამოთი ბარალეთის თემში სტუმრებს დიდძალი ხალხი შეეგება. სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ცხაკაიამ და თოდრიამ. შინაარსიანი და საქმიანი სიტყვა წარმოსთქვა ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. აკოფოვმა. ხალხიდან გამოსულები შეეხნენ ადგილობრივ საჭიროებებს, ტყის და მიწის საკითხებს, კოოპერაციას.

გავაძლიეროთ ჯგუფური აგიტაცია წარმოებებში

> „უნდა ვესწრაფოთ, რომ პარტიის თვითეული რიგის წევრი — მუშა და მუშა - ქალი პარტიის აქტიურ აგიტატორად გავხადოთ"
> (მე-XIII პარტყრილობის რეზოლიუციიდან).

ჯგუფური აგიტაცია სააგიტაციო სისტემის ერთი სახეთაგანია. სააგიტაციო მუშაობის მთელი სისტემა კი, პარტიის მასიური მუშაობის ერთ მნიშვნელოვან დარგად ითვლება. ის პარტიულ მუშაობის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ საგიტაციო მუშაობაც პარტიის ხალდეისო საჭირბოროტო ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება. საგიტაციო მუშაობის ყველა ფორმები მხოლოდ ფართო მასებზე ხელმძღვანელობისათვის გვეხაჭიროება. მასებზე ხელმძღვანელობა უპირველესად მასების დარწმუნებას მოითხოვს. ამიტომ სწორად აღნიშნავს ამხ. სტალინი, რომ „დარწმუნების მეთოდი — კლასზე — პარტიის ხელმძღვანელობის ძირითადი მეთოდია"-ო. („ლენინიზმის საკითხში"). მაგრამ თვით საგიტაციო მუშაობის სისტემა, როგორც საშუალება მასებზე გავლენის მოსახდენად, სხვადასხვა ფორმებისაგან შესდგება: მიტინგები, მოხსენებები, კითხვა - პასუხის საკითხები, საღამოები და სხვ. ესენი მასიური აგიტაციის სახეებია, გაზეთები, მოწოდებები, ფურცლები — ბეჭდვითი აგიტაციის, თეატრალურ დადგმანი, პლაკატები, ინსცენიროვკები, კინო, და სხვა, მხატვრულ აგიტაციას ეკუთვნიან. და, ბოლოს არსებობს ჯგუფური და ინდივიდუალური აგიტაცია. საგიტაციო მუშაობის ხსენებულ დარგებს შორის ყველაზე პოპულიარულია მიტინგები, მოხსენებები და მასიური აგიტაციის სხვა ფორმები. მაგრამ თანამედროვე გარდამავალ რთულ პერიოდში მასიური აგიტაციის ეს ფორმები ვერ აკმაყოფილებენ ყველა იმ მოთხოვნებს, რომელიც საჭიროა პარტიის ყოველდღიურ გავლენისათვის ფართო მასებზე, ამიტომ ჯგუფური აგიტაციის მნიშვნელობა საერთო პარტიულ მუშაობაში თანდათანობით იზრდება და ჯგუფური აგიტატორის როლი კი უფრო მეტი ხაპასუხისმგებლო ხდება. ჯგუფური აგიტაციის მნიშვნელობა იმდენად უფრო დიდია, რამდენადაც საქმე გვაქვს ადამიანთა განსაზღვრულ ჯგუფთან მასზე უშუალოდ პარტიულ გავლენის მოსახდენად.

ამ სახის აგიტაციის ღირსებულება იმაში მდგომარეობს, რომ ის საშუალებას გაძლევს მუშათა კლასის სხვადასხვა ფენების მოთხოვნილებას სხვადასხვაგვარად მიუყენო შენი საგიტაციო მუშაობა. ამხანაგები, რომელთაც საკმაო გამოცდილება აქვთ ამ დარგში, ჯგუფური აგიტაციის შემდეგ ამოცანებს აყენებენ: 1. მუშათა მასებში საფუძვლიანად დამუშავება ყველა იმ საკითხებისა, რომლებსაც პარტია აყენებს; 2. პარტიული გავლენის გავრცელება მასებზე; 3. ადგილობრივი საინტერესო საკითხების დამუშავება და მათი შეფარდება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების საერთო პოლიტიკურ საკითხებთან; 4. ძველი ყოფაცხოვრების დაძლევა; 5. მუშათა მასების პოლიტიკურ აქტიობის ამაღლება და სხვა.

ჩვენს ქვეყანაში მრეწველობის სწრაფი განვითარების გამო თითქმის ყველა წარმოებებში შევხვდებით მუშების ახალ კადრს, რომელიც ეხლახან მოვიდა სოფლიდან და ქალაქის წარმოებას ჯერაც არ შესჩვევია. ბევრი ქარხანა - ფაბრიკების მუშები სოფლად სცხოვრობენ. სეზონურად მომუშავეთა რაოდენობაც საგრძნობ რიცხვს აღწევს. ესენი სოფლის პროლეტარული ან ნახევრად პროლეტარული ელემენტებია. ისინი ჯერ კიდევ ვერ დაუბრტყიათ წვრილ - ბურჟუაზიული შეხედულებანი. ისინი ჯერ კიდევ ვერ გაჟღენთილან წმინდა პროლეტარული სულისკვეთებით. ისინი ხშირად შეუგნებლად უყურებენ წარმოებას, მათ არ ესმით საწარმოო დისციპლინა. ხშირად ამგვარ მუშებში იბუდებს ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის საქმისადმი ურწმუნოება. ამიტომ სწორედ აქ არის საჭირო ჯგუფური აგიტაციის ფორმის გამოყენება. ჯგუფური აგიტაციის გაღრმავებით საჭიროა მუშათა კლასის ეს ჩამორჩენილი მასსა დავაწიოთ მის მოწინავე ნაწილს, ავსწიოთ მისი პოლიტიკური და კულტურული მომზადების დონე, რომ მათგან სოციალისტურ საზოგადოებისათვის მტკიცე მშენებლები მივიღოთ. ეს არის მუშების ერთი ნაწილი, მისი ახალი კადრი. მაგრამ ამავე ქარხანა-ფაბრიკებში ჩვენ ვხვდებით მუშებს, რომელთაც გავლილი აქვთ ცხოვრების გამოცდილების მდიდარი სკოლა, მათ მონაწილეობა მიუღიათ არალეგალურ რევოლიუციონურ საქმიანობასა და სამოქალაქო ომებშიაც. მათი პოლიტიკური და კულტურული მომზადების დონე საკმაოდ მაღალია— და ლოღიკურია, კულტურული მოთხოვნებიც უფრო მეტი. ამიტომ ეს მომზადებული პოლიტიკური მუშები ჩვენგან უფრო მეტ კვალიფიციურ მოვლას მოითხოვენ. ამ მოთხოვნილებებს კი ჩვენი აგიტატორები საკმაოდ ვერ აკმაყოფილებენ. ამ მიზეზით უკვე საჭირო ხდება ჯგუფური აგიტაციის თვისებისა და იდეური შინაარსის ამაღლება. ამ მხრივ არ იქნება ინტერესს მოკლებული თუ გავეცნობით მოსკოვის ერთ-ერთ რაიონულ კონფერენციის (სოკოლნიკის რაიონი) მიერ გამოცდილებათა საფუძველზე მიღებულ დადგენილებას ჯგუფური აგიტაციის შესახებ:

„ძირითად საწარმოებში ჯგუფური აგიტაცია უკვე შევიდა პარტმუშაობის საერთო სისტემაში, როგორც მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი და სერიოზული იარაღი პარტიულ გავლენისათვის უპარტიო მასებზე."

ჯგუფური აგიტაციის მოგვარება და არსებულ დეფექტების აღმოფხვრა ისევ რჩება პარტორგანიზაციის მნიშვნელოვან ამოცანად აგიტპროპმუშაობის უკეთ დასაყენებლად.

მიმდინარე პერიოდში საჭიროა:

1. მსხვილ საწარმოებში ჯგუფური აგიტაციის გაღრმავებასა და გამაგრებასთან ერთად მიღებულ იქნას ზომები გასატარებლად წვრილ წარმოებებშიაც. საჭიროდ იქნას ცნობილი ჯგუფური აგიტაციის გატარება აგრეთვე საბჭოთა უჯრედებშიაც.

2. გამოიყოს ყველა უჯრედებში, როგორც წესი, ჯგუფურ აგიტატორთა სპეციალური კადრი და მიღებულ იქნას ზომები მათ განსანთავისუფლებლად სხვა პარტიულ დავალებათაგან.

3. გაღრმავდეს ჯგუფური აგიტაციის შინაარსი, საკამპანიო საკითხების ეპიზოდურ განმტკიცებასთან ერთად საჭიროა პარტიის ძირითად ამოცანებზე პოპულიარიზაცია მუშათა მასებში.

გაღრმავდეს ბრძოლა მუშებს შორის უარყოფითი განწყობილების წინააღმდეგ (ანტისემიტიზმი, სპეცჭამიობა და სხვ.), აგრეთვე გაღრმავდეს ადგილობრივ საჭირბოროტო საკითხების განმარტება საერთო პოლიტიკურ საკითხებთან შეფარდებით.

ჯგუფურ აგიტატორების მუშაობა უფრო მეტად უნდა დაუკავშირდეს დაზგის მუშების პარტიაში ჩაბმის ამოცანებს.

ფართედ განვითარდეს ე.-წ. „ჩამოუყალიბებელი" ჯგუფური აგიტაცია და შემოღებულ იქნას სისტემაში კითხვა - პასუხის საათები.

უფრო ორგანიზაციულად, ვიდრე ეხლანდელ მომენტში, იქნეს დაყენებული აღრიცხვისა და მუშათა განწყობილებების შესწავლის საქმე.

4. მიღებულ იქნას ზომები აგიტატორთა წრეების ქსელის გასაფართოვებლად, აღმოფხვრილ იქნას წრეების მნიშვნელობის შეუფასებლობა და მათი პარტსწავლების სხვა სახით შეცვლის ტენდენცია, რაც შემჩნეულია ზოგიერთ უჯრედებში.

ეს ამონაწერი ნათლად გვიჩვენებს, თუ რა სერიოზული ყურადღების ღირსია ამჟამად ჯგუფური აგიტაციის ფართედ გაშლა მუშათა მასებში. ჩვენში კი აგიტაციის ეს ფორმა ჯერაც ვერ არის სავსებით გამოყენებული.

ადგილებზე მომუშავე ამხანაგებმა, მუშურ ცენტრებში მიღებულ გამოცდილებათა გამოყენებით, ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ ამ საქმის სათანადო სიმაღლეზე დაყენებას ჩვენს წარმოებებში.

ს. მინდაძე.

სახელმწიფო დაზღვევის საქმე სოფლად

(საკ. კ. პ. (ბ) ამ.-კავკასიის საოლქო კომიტეტის დადგენილება)

საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტმა მოისმინა საბჭოთა კავშირის სახელმწიფო დაზღვევის მთავარ სამმართველოს კომისიის მოხსენება ა.-კავკასიაში სახელმწიფო დაზღვევის გამოკვლევის შედეგების შესახებ და, ერთგვარ მიღწევებთან ერთად, აღნიშნა შემდეგი მთავარი დეფექტები:

1) დაზღვევის გამოსაღები სუსტად გროვდება, — ამა წლის 1 მაისამდე აღებულ იქნა 67 პროცენტი მთელს ფედერაციაში, რაც აიხსნება იმით, რომ დაზღვევის საქმისადმი საკმაო ყურადღებას არ იჩენენ ქვედა პარტიული და საბჭოთა ორგანოები და ამ ორგანოებთან კონტაქტი არ არსებობდა დაზღვევის აპარატის მუშაობაში.

2) დაზღვევის გამოსაღებთა საშეღავათო ფონდი დროზე არ გაანაწილეს ადგილობრივმა აღმასკომებმა და გაამრუდეს კლასობრივი ხაზი საშეღავათო ფონდის განაწილების დროს (ბორჩალოს მაზრაში და სხვ.).

3) სასოფლო - სამეურნეო დაზღვევის მეტის-მეტად დიდი ზარალი, ბუნებრივი ხასიათის მოვლენების გარდა (ეპიზოოტია და ადგილობრივი წარმოშობის სხვა ავადმყოფობანი, ადგილმდებარეობის რელიეფი, რაც ხიფათს შეამთხვევს ხოლმე ცხოველებს და სხვ.), აიხსნება ორგანიზაციული დეფექტებითაც. ეს დეფექტებია: ა) სააგენტო პუნქტებისა და ამ პუნქტების მუშაკების რიცხვის ნაკლებობა; ბ) დამზღვევ აგენტთა შემადგენლობის ცვალებადობა ადგილებზე; გ) სუსტი კონტროლი სახელმწიფო დაზღვევის რესპუბლიკანური ცენტრების მხრით; დ) ზარალის ლიკვიდაციისათვის საჭირო სახსართა უქონლობა, რაც ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას (ფიქტიური აქტების შედგენა და სხვ.), ე) სუსტი სავეტერინარო ქსელი, მეტადრე მოსაზღვრე რაიონებში.

ა.-კავკასიაში სახელმწიფო დაზღვევის საქმის გასაუმჯობესებლად და აღნიშნული დეფექტების თავიდან ასაცილებლად საკავშირო კომპარტიის (ბ) ა.-კავკასიის საოლქო კომიტეტი საჭიროდ სცნობს:

1. იმ მიზნით, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, აგრეთვე სოფლის საზოგადოებრიობამ მეტი ყურადღება მიაქციონ სახელმწიფო დაზღვევის საკითხებს: ა) პრესის საშუალებით ჩატარებულ იქნას ფართო განმარტებითი კამპანია სახელმწიფო დაზღვევის მნიშვნელობის შესახებ; ბ) წინადადება მიეცეთ რესპუბლიკების ცენტრ. კომიტეტებს, რომ სახელმწიფო დაზღვევის იდეათა ფართო აგიტაციისათვის გამოიყენონ პლენუმები, კონფერენციები, საბჭოების ყრილობები და ცენტრ. აღმასრულებელი კომიტეტების სესიები; მოეწყოს სპეციალური თათბირები რესპუბლიკების სახ. კომისართა საბჭოებთან; ამ თათბირებზე მოსმენილ იქნას ანგარიშები ადგილებიდან წინასწარი გამოკვლევის შემდეგ.

2. დაზღვევის გამოსაღებთა გაძლიერებისათვის: ა) წინადადება მიეცეს ა.-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატს, რომ მან ერთი თვის განმავლობაში განახორციელოს ა.-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ პასუხისგებაში იქნან მიცემულნი ის პირნი, რომელნიც გულგრილობას იჩენენ დაზღვევის გამოსაღებთა შეგროვებისადმი, მოიხსნან ისინი თანამდებობიდან და პრესაში გამოქვეყნდეს მათი სია; ბ) დაევალოთ ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს, რომ მათ იძულებითი ზომებით აკრიფონ დაზღვევის გამოსაღებთა ნაშთები მოსახლეობის კულაკური ელემენტებისაგან, აგრეთვე გაუსწორებელი გადამხდელებისაგან.

3. შეუწყნარებლად ჩაითვალოს სახელმწიფო დაზღვევის საშეღავათო ფონდის არადროიანად და არა სრულად გამოყენება, როგორც მიმდინარე წლის, ისე წარსული წლების გამოსაღებთა საქმეში; წინადადება მიეცეთ რესპუბლიკების ცენტრ. კომიტეტებს— ზომები მიიღონ, რათა მთლიანად იქნას გამოყენებული სახელმწიფო დაზღვევის საშეღავათო ფონდი და ყურადღება მიაქციონ იმას, რომ შეღავათები მიეცეთ ნამდვილ ღარიბ გლეხობას და წითელარმიელთა ოჯახებს. დაევალოს ა.-კავკასიის სახ. დაზღვევის გამგეობას — გადასინჯოს სახელმწიფო დაზღვევის საშეღავათო ფონდის განაწილების სისტემა და ტეხნიკა.

4. გადიდდეს აგენტთა ქსელი მოსახლეობასთან დაახლოვების მიზნით; დაზღვევის აგენტურას გაუდიდდეს საგზაო სახსრები, რომლებიც უზრუნველყოფენ ზარალის ნორმალური ლიკვიდაციის შესაძლებლობას; გარდა ამისა, გაუმჯობესდეს აგენტურის მატერიალური მდგომარეობა.

5. წინადადება მიეცეთ რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრ. კომიტეტებს — მიიღონ ზომები, რათა სახელმწიფო დაზღვევის მუშაკთა დანიშვნისა და გადაყენების საკითხების გადაწყვეტა ხდებოდეს სახელმწიფო დაზღვევის ორგანოებთან შეთანხმებით და ყურადღება მიექცეს მათს კვალიფიკაციას.

6. დარაიონებისა და მართვა - გამგეობის საოლქო სისტემის შექმნის გამო, საჭიროდ იქნას მიჩნეული ინსპექტორთა ინსტიტუტის შექმნა იმ მიზნით, რომ ოლქებში სახელმწიფო დაზღვევის აპარატს ხელმძღვანელობა, კონტროლი და ზედამხედველობა გაუწიონ.

7. ყურადღება მიექცეს იმ შეუწყნარებელ მოვლენას, რომ სამოსამართლო ორგანოები ძალიან აჭიანურებენ დაზღვევის ისეთ საქმეებს, რომლებიც ეხებიან საქონლის ზარალის ლიკვიდაციის დროს ჩადენილ ბოროტმოქმედებას.

8. საბჭოთა ორგანოებმა და აგრეთვე ადგილობრივმა პარტორგანოებმა მეტი ხელმძღვანელობა და მეტი მეთვალყურეობა უნდა გაუწიონ დაზღვევის ადგილობრივი ორგანოების მუშაობას.

9. 1929-30 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენის დროს რესპუბლიკების მიწათ-მოქმედების კომისარიატებმა უნდა გაითვალისწინონ ასიგნობათა გაძლიერების შესაძლებლობა ვეტერინარული ქსელის გასაფართოებლად, ვეტერინარული საამბულატორიო დახმარების გასაძლიერებლად და დასათესი საბალახე თესლის შესასყიდად.

10 სახელმწიფო დაზღვევის ორგანოთა მუშაობის საზოგადოებრივი კონტროლი სოფლად დაეკისროს საუბნო დაირების, თემსაბჭოების და სოფლის საბჭოების საფინანსო სექციებს.

ფაშისტური პოლონეთის წინააღმდეგ

პროტესტების ტალღა მთელს საქართველოში

თოხსა და ბარს თოფით შევცვლით პროლეტარულ სახელმწიფოს დასაცავად

ერკეთი (გურია). ერკეთის მშრომელთა კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „საქართველოს მშრომელები ჩაბმული არიან სოციალისტურ საზოგადოების მშენებლობაში. თუ კი ვინმე ხელს შეუშლის მუშათა კლასის დიდ საქმეს, ჩვენ თოხსა და ბარს თოფით შევცვლით პროლეტარულ სახელმწიფოს დასაცავად".

ფოლადის ზღუდეთ აღვიმართებით საბჭოთა კავშირის საზღვრებზე

ფოთი. მრავალრიცხოვან საპროტესტო დემონსტრაციის შემდეგ მუშათა სახლის ეზოში გაიმართა მარგანეცის მტვირთავ მუშების მიტინგი, რომელსაც დაესწრო 400 კაცი; მიტინგი აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთის მთავრობისა და საქართველოს მიწა-წყლიდან განდევნილ მატყუარა მენშევიკების მოქმედების გამო. „ჩვენ — ნათქვამია რეზოლიუციაში — ფოლადის ზღუდეთ აღვიმართებით საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად".

მედგრად დავიცავთ სისხლით შეძენილ თავისუფლების დროშას

ზუგდიდი, 19 ივნისი. ზუგდიდის ხე-ტყის სახერხ ქარხნის მუშა - მოსამსახურეთა კრება, რომელსაც დაესწრო 800 კაცი, სასტიკ გულისწყრომას გამოსთქვამს პოლონეთის მთავრობის მოქმედებისა და მენშევიკების ავანტიურის გამო, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. კრება ფიცსა სდებს მედგრად დაიცვას სისხლით შეძენილი თავისუფლების დროშა.

საგარეჯოს გლეხობის პროტესტი

საგარეჯო. საგარეჯოს მშრომელ გლეხთა მიტინგი სასტიკ პროტესტს უცხადებს პოლონეთის მთავრობას ბოროტი ზრახვების განსახორციელებლად გადადგმულ ნაბიჯების გამო. საქართველოს ტერიტორიიდან განდევნილ მენშევიკების წადილი უკანვე დასაბრუნებლად განუხორციელებელი ოცნებაა.

იარაღით ხელში დავიცავთ საბჭოთა კავშირის საზღვრებს

დუშეთი. მუშა - მოსამსახურეთა და მშრომელი გლეხობის გაერთიანებული მიტინგი, რომელსაც დაესწრო 1.000 კაცი, აღშფოთებას გამოსთქვამს პოლონეთის მთავრობის მოქმედების გამო. მიტინგი სიტყვას იძლევა პირველ დაძახებისთანავე იარაღით ხელში დაიცავს საბჭოთა კავშირის საზღვრებს.

სალამი მუშურ - გლეხურ წითელ არმიას

ზედ. სვირი. მუშა - მოსამსახურეებისა და მშრომელი მოსახლეობის გაერთიანებული კრება მრისხანე პროტესტს უცხადებს პოლონეთის ფაშისტურ მთავრობას მტრული ნაბიჯების გამო და სალამს უძღვნის საბჭოთა კავშირის ერთგულ დარაჯს — მუშურ - გლეხურ წითელ არმიას.

წინანდალი. წინანდალის თემის მშრომელთა მოსახლეობის კრება სასტიკ გულისწყრომას გამოსთქვამს პოლონეთის მთავრობის მოქმედების გამო. კრება აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მშვიდობიანობის პოლიტიკაა, მაგრამ თუ კი მას ძალათ თავს მოახვევენ ომს, მუშათა კლასი მტკიცეთ დაიცავს პროლეტარულ სახელმწიფოს საზღვრებს.

ზიზღი მენშევიკების უტიფარ საქციელს

სალხინო, 19 ივნისი. კურზუს თემის გლეხობის საპროტესტო მიტინგი წყევლა-კრულვით იგონებს მენშევიკების ბატონობას საქართველოში. მიტინგი სასტიკ გულისწყრომას გამოსთქვამს პოლონეთის მთავრობისა და საქართველოდან გადახვეწილ მენშევიკების უტიფარი საქციელის გამო.

მზად ვართ დავიცვათ საბჭოთა ხელისუფლება

სუჯუნა, 19 ივნისი. სუჯუნის თემის გლეხობის საერთო კრება უკმაყოფილებას გამოსთქვამს პოლონეთის ფაშისტურ მთავრობის არა ერთხელ განმეორებულ პროვოკაციულ მოქმედების გამო. კრება აცხადებს, რომ მზად არის საბჭოთა ხელისუფლების დასაცავად.

მოვითხოვთ ბოლო მოეღოს საზიზღარ პროვოკაციას

ხონი, 19 ივნისი. კინჩხის თემის მასიური საპროტესტო მიტინგი, რომელსაც 700 კაცი დაესწრო მოითხოვს ბოლო მოეღოს ბურჟუაზიის აგენტების — მენშევიკების და პოლონეთის ფაშისტურ მთავრობის პროვოკაციულ მოქმედებას.

უფრო მეტად შევამჭიდროვებთ რიგებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნისათვის

ხონი, 19 ივნისი. ცხუნკურის თემის გლეხთა საერთო კრება, რომელსაც მცხოვრებთა 90 პროც. დაესწრო, აცხადებს მზადყოფნას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად, სიტყვას იძლევა, რომ შემჭიდროვებული რიგებით უფრო ენერგიულად იმუშავებს სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ფრონტზე.

სალამი ოქტომბრის მონაპოვართა დარაჯს —წითელარმიას

ხონი, 19 ივნისი. გორდის თემის მშრომელთა საერთო კრება ღრმა აღშფოთებას გამოსთქვამს რა პანების მთავრობის მოქმედების გამო, აცხადებს მზადყოფნას პროლეტარულ სამშობლოს დასაცავად და სალამს უძღვნის ოქტომბრის მონაპოვართა დარაჯს წითელ არმიას.

სასტიკი პასუხი პოლონეთის მთავრობას

ტობანიერი, 19 ივნისი. საპაჟის თემის მცხოვრებთა კრება, რომელსაც 1.100 კაცი დაესწრო, მოითხოვს თეთრგვარდიელების და მსოფლიო ბურჟუაზიის დორბლმორეულ აგენტის პოლონეთის მთავრობისათვის სასტიკ პასუხის გაცემას. კრება აცხადებს, რომ ის მზად იქნება და არის თოფ ქვეშ მთავრობის პირველ დაძახებისთანავე.

დავირაზმოთ შრომის მტრების საწინააღმდეგოდ

ვანი, 19 ივნისი. უხუთის თემის მშრომელ მოსახლეობის საპროტესტო მიტინგი მრისხანე პროტესტს აცხადებს პოლონეთის მთავრობის ფაშისტურ მოქმედების გამო. კრება სიტყვას იძლევა, რომ საჭიროებისთანავე მებრძოლ რიგებად დაირაზმოს შრომის ქვეყნის მტრების წინააღმდეგ.

სასტიკად ვკიცხავთ — პროვოკაციულ მოქმედებას

მარანი, 19 ივნისი. მარნის ქარხნის მუშების კრება, რომელსაც 450 კაცი დაესწრო, სასტიკად გმობს გაიძვერა მენშევიკებისა და პოლონეთის სისხლის მსმელ მთავრობის პროვოკაციულ ნაბიჯებს. კრება მოითხოვს პოლონეთის მთავრობისაგან დადებულ ხელშეკრულებათა შესრულებას.

ბანძა, 19 ივნისი. ბანძის თემის მშრომელთა გაერთიანებული კრება გმობს მოღალატე მენშევიკებისა და პოლონეთის მთავრობისაგან, ბნელ ზრახვათა განსახორციელებლად გადადგმულ ავანტიურულ ნაბიჯებს. კრება აცხადებს: „მზად ვართ, პროლეტარულ სახელმწიფოს დასაცავად".

პარტიაში

დაშლის პირზე მისული ტროცკისტული კონტრ-რევოლუცია ამაოდ ცდილობს გამოაცოცხლოს თავისი მუშაობა

პარტია ნიღაბს ახდის და დაუზოგავად განდევნის ლენინურ რიგებიდან პროვოკატორებს—ფარულ ტროცკისტებს

შორს ჩვენგან ტროცკიზმის უბადრუკი ნაშთები

(„საპონზეთის" ტრესტის მე-2 ქარხანა)

გუშინ, „26 კომუნარის" რაიონში საპონ-ზეთის მეორე ქარხნის კომუჯრედის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი ტროცკისტული ოპოზიციის გამომჟღავნების შესახებ, საკითხთან დაკავშირებით კომუჯრედის წევრ-მუშებს შორის გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

— ტროცკისტული ოპოზიციის ნამსხვრევები კვლავ განაგრძობენ არსებობას და ახორციელებენ თავიანთ ბოროტ ზრახვებს. ისინი ძვრებიან ფაბრიკა-ქარხნებში, ავრცელებენ უსირცხვილო პროვოკაციას კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. ტროცკისტული ოპოზიცია ჩვენს ქარხანაშიაც შემოიჭრა და მოწამლა თავისი შხამით ჩვენი კომუჯრედის ზოგიერთი წევრი. დღეს ჩვენს შორის არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც პარტიის მანდატებით კომუნისტურ პარტიასვე უთხრიან ძირს. — აღშფოთებული აცხადებს მუშა - კომუნისტი ამხ. დალაქიშვილი.

— ჩვენი კომუჯრედი არ არის მთლიანი, აქ ხელს ურევს ტროცკისტული ოპოზიცია. დროა ნიღაბი აიხადონ ამ ვაჟბატონებმა, ან გაათავისუფლონ ჩვენი რიგები ან არა და აღიარონ თავიანთი დანაშაული,— აღნიშნავს მეორე ამხ. ხოხლოვი.

— ჩვენ ვიცით ვინცა სცხებს ჩირქს კომუნისტურ პარტიას, ვიცით ვინ გვიქმნის ქარხანაში უპარტიოთა მოწინააღმდეგე ჯგუფებს, ვიცით ვინ ეწევა აგიტაციას სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების წინააღმდეგ. იქონიეთ სინდისი და გამბედაობა, გამოდით სააშკარაოზე და თქვენი პირით აღიარეთ თქვენი დანაშაული, — გაისმის ხმები ადგილებიდან.

ვეღარ გაუძლო მუშათა ღელვას და წინ წამოდგა „ყოფილი" ოპოზიციონერი ახალგაზრდა მუშა ავეტისოვი.

„მე ჩემთვის ვმუშაობდი ქარხანაში, — ამბობს ავეტისოვი,— მაგრამ არ გვისვენებდნენ ტროცკისტები, მოდიოდნენ და ერთავად ჩამჩიჩინებდნენ, რომ კომუნისტური პარტიის ცეკამ გადაუხვია ლენინურ ხაზს, მუშებს ნაკლები ხელფასი ეძლევა და სხვ. მოჰქონდათ წიგნები, გვიკითხავდნენ და „გვიმტკიცებდნენ", რომ ჩვენ გადავეშვით უფსკრულისაკენ და დღეს თუ ხვალ დალუპვა მოგველის. მე უკვე კარგა ხანია ვაღიარე ჩემი დანაშაული და მივატოვე ტროცკისტული ოპოზიცია".

— ტყუილია, შენ არ მიგიტოვებია ოპოზიცია, კვლავ გინდა შეგვიყვანო შეცდომაში, —გაისმის ხმები ადგილებიდან.

მუშებს მოჰყავთ მთელი რიგი ფაქტები და უმტკიცებენ ავეტისოვს, რომ იგი მათთან არ არის, მაგრამ ავეტისოვი მაინც არა ხდის ფარდას თავის დღევანდელ მუშაობას.

გამოდის მეორე ტროცკისტი კირაკოზოვი: „მხოლოდ ერთხელ მქონდა შემთხვევა, როცა ტროცკისტები მოვიდნენ ნაშუაღამევს ჩემთან, გამაღვიძეს და გამიყვანეს სადგურზე. ეს იყო და ეს"...

— რისთვის გახვედი ან რა გააკეთეთ სადგურზე?— ეკითხება კირაკოზოვს ერთი-ერთი მუშა.

— სადგურზე „ვიღაცები" დაგვხვდნენ, გვითხრეს, რომ ჩვენ მცირე ხელფასი გვეძლევა, შავი პური კუჭს გვიხმობს და რომ ეს ყველაფერი კომუნისტური პარტიის ცეკას შემცდარი ხაზის ბრალია.

კირაკოზოვიც უარყოფს ყველაფერს და „ამტკიცებს", რომ თითქოს ამით ამოიწურა მისი ტროცკისტობა, მაგრამ მუშების შეკითხვებით ის მალე ჩიხში ექცევა. კირაკოზოვს სცვლის გაბაძე, გაბაძეს არუთინოვი. და ეს ვაჟბატონებიც ცდილობენ, როგორმე თავი დააძვრინონ ბრალდებას, მაგრამ ამაოდ.

გამოდის სარქისოვი. ის არწმუნებს დამსწრეთ, რომ მან ტროცკიზმის არაფერი იცის.

— სულ ერთია არც შენი გაქვს ადგილი ჩვენს რიგებში, რადგან ნამდვილმა კომუნისტმა ჩვენი პარტიის ყოველივე მაჯისცემა უნდა იცოდეს. — უპასუხებენ მუშები.

გამოდის ახალგაზრდა მუშა პიატიბრატი. „მე არაფერი ვიცოდი ტროცკისტობისა, —გულწრფელად აღიარებს იგი, —ძალად წამავლეს ხელი და მაკეთებინებდნენ იმას, რაც მე თვითონ არ მესმოდა. მუშებში ვავრცელებდი იმას, რასაც „ხელმძღვანელნი" მავალებდნენ. დღეს უკვე შევიგენი მე ყველაფერი, გავიგე და დავრწმუნდი, რომ ჩემი მოქმედებით ძირს უთხრიდი ნამდვილ ლენინურ პარტიას და ხელს უშლიდი მუშათა კლასს სოციალისტური სახელმწიფოს შენებაში. მე ვითხოვ პატიებას უჯრედისაგან და ფიცს ვდებ, რომ ამიერიდან თქვენთან ერთად ხელი-ხელ ჩაკიდებული ვიბრძოლებ იმ დიდი ამოცანის შესასრულებლად, რომელიც ლენინმა დაგვისახა.

„ჩვენ ვამბობდით, რომ მეორე პარტიის შექმნას არ უწყობდით ხელს, — აცხადებს ყოფილი ტროცკისტი ამხ. სარუხანოვი, — მაგრამ სინამდვილე სხვას ლაპარაკობს. მე ჯერ ვიყავი ტროცკისტების „უჯრედის" მდივანი, შემდეგ „რაიკომის", უკანასკნელად კი ტროცკისტული ცენტრის წევრადაც ვითვლებოდი. აბა მითხარით: ტროცკისტული უჯრედი, რაიკომი, თბილისის კომიტეტი, ცენტრი, — ეს ხომ მეორე პარტიაა, განა ამას გვეუბნებოდა ლენინი?!. მე, აქტიურ ტროცკისტმა, მივედი იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ, ტროცკისტები, ძირს უთხრიდით დაუფიქრებელი მუშაობით პროლეტარიატის დიქტატურას. მე მოუწოდებ ყველა პატიოსან მუშას არ წამოეგოს ტროცკისტების საზიზღარ ანკესზე, მტკიცედ დაიცვას კომუნისტური პარტიის მთლიანობა და დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადოს ყოველგვარ გადახრებს".

დასასრულ, მუშებმა ერთსულოვნად მოითხოვეს გაძევებულ იქნან მათი ოჯახიდან ყველა ის ოპოზიციონერები, რომლებიც, მიუხედავად მრავალჯერ მიცემული გაფრთხილებისა, არ სწყვეტენ კავშირს კონტრ - რევოლიუციონურ ტროცკისტულ ორგანიზაციასთან, გულწრფელად არ სცნობენ თავის დანაშაულს პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე და არ ადგებიან ჭეშმარიტულ ლენინურ გზას.

უჯრედის კრებამ ერთხმად დაადგინა: — გარიცხულ იქნან ლენინის პარტიიდან გაბაძე, კირაკოზოვი, სარქისოვი, ავეტისოვი და არუთინოვი, როგორც გაუსწორებელი ტროცკისტები.

სტოვებენ ტროცკიზმის ბანაკს

(ლენრაიონი)

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის ორგანიზაციის ლენრაიკომში განცხადება-განცხადებაზე გზავნიან ის პირნი, რომლებიც წინად ტროცკისტულ ოპოზიციაში მუშაობდნენ.

მთიერდება ოპოზიციისაგან ჩამოშორება იმ მცირერიცხოვანი მუშებისა, რომლებიც მან გაიყოლია. ტროცკისტების ბანაკში გახრწნა ძლიერდება.

ამის ერთ-ერთი საუკეთესო საბუთს წარმოადგენს ის, რომ ოპოზიციონურ, ტროცკისტულ მუშაობას მკაცრად ჰგმობენ ისინი, ვინც გუშინ ტროცკისტების რიგებში იდგნენ.

ტროცკისტული ოპოზიციის საუკეთესო ნაწილი მას ჩამოშორდა და შორდება.

ტროცკიზმის შეთხელებულ ბანაკში რჩებიან მხოლოდ საბოლოოდ გადაგვარებულნი, რომლებიც უფრო-და-უფრო ეფლობიან კონტრ-რევოლიუციის ჭაობში.

დღეს ჩვენ ვბეჭდავთ კიდევ რამდენიმე განცხადებას იმ მუშებისას, რომლებმაც კავშირი გასწყვიტეს ტროცკისტულ ოპოზიციასთან, შეიგნეს თავისი შეცდომები და სურვილს გამოსთქვამენ, დაუბრუნდნენ პარტიას.

„ტროცკისტების მუშაობა — კონტრ-რევოლიუციონური მუშაობაა"

წინად ტროცკისტულ ოპოზიციაში ვმუშაობდი. ეხლა, როდესაც გულმოდგინე ანალიზი გაუკეთე ტროცკისტების მუშაობას, გამოვიტანე დასკვნა, რომ მათი ფრაქციული მუშაობა არსებითად კონტრ-რევოლიუციონური მუშაობაა. უერთდები პარტიის ყველა გადაწყვეტილებას. მთელი ჩემი ძალღონით ვეცდები გამოვამჟღავნო ტროცკისტების ნამდვილი სახე, რომლებიც მუშათა და გლეხთა ხელისუფლების აშკარა მტრებად გადაიქცნენ.

ა. მოგელაძე (სტალინის სახ. ქარხნის მუშა).

„საბოლოოდ გაიხრწნენ"

ყოველგვარ ურთიერთობას ვსწყვეტ ტროცკისტულ ოპოზიციასთან და მთლიანად უერთდები მე-15 პარტყრილობის ყველა გადაწყვეტილებას, ამასთანავე აღვნიშნავ, რომ ტროცკისტები საბოლოოდ გაიხრწნენ და წვრილ-ბურჟუაზიულ იდეოლოგიისაკენ დაექანენ. ოპოზიციისაგან ჩამოშორებულთა ამოცანას შეადგენს მოსპონ ის გაბრუება, რომლისგანაც დღევანდლამდე ვერ განთავისუფლებულან ზოგიერთები და სინათლეზე გამოიტანონ ტროცკიზმის გულის ნადები.

ნიკ. ჩიგოგიძე (საქონლის სადგურის მუშა).

„ტროცკიზმი კონტრ-რევოლიუციის იარაღია"

ტროცკისტული ოპოზიციის მუშაობა კონტრ - რევოლიუციონური ბანაკის იარაღად გადაიქცა; ამიტომ მე შეგნებულად ვწყვეტ ყოველგვარ კავშირს ოპოზიციასთან და მოუწოდებ ყველა პატიოსან, ნამდვილ მუშას ჩამოშორდეს ფრაქციულ მუშაობას და დაადგეს საკავშირო კომპარტიის (ბ) განმტკიცების გზას.

ალ. ლუხუმიშვილი (მანქანათა შემკეთებელი ქარხნის მუშა).

ასეთივე განცხადებანი წარუდგინეს რაიკომს ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის მუშებმა ამხ. იოსებ ფხალაძემ და ფურცელაძემ; საქონლის სადგურის მუშებმა: აკაკი მიქავამ, გრიგოლ კობიძემ, უჯმაჯურიძემ, კესოვმა, იაკობ ჭკუასელმა, გრიგოლ ლორიამ, ალ. სოხაძემ და გრიგოლ ტყეშელევმა.

გამოვასწოროთ წმენდაში შემჩნეული ნაკლოვანებანი

(შემმოწმებელ კომისიების წევრთა თათბირზე)

გუშინ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში შემმოწმებელ კომისიების წევრთა შორის მოხდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა თბილისის პარტორგანიზაციაში წარმოებულ წმენდის შესახებ.

ილაპარაკეს ამხ. მორჩილაძემ, გოლდბაუმმა, კიკნაძემ, შახსუვაროვმა, ტერ-ვართანოვმა, ფურცხალავამ, ბოლქვაძემ, გობერკორინმა, მაზავრიმა, ენუქიძემ, გიორგაძემ, სალუქვაძემ, ფულიამ, სუხიშვილმა.

ყველა ამხანაგები აღნიშნავდნენ ძირითად ნაკლს, რომელმაც თავი იჩინა წმენდის დროს.

უკანასკნელ ხანებში ტროცკისტულ ოპოზიციის მუშაობას ემჩნევა გამოცოცხლება. ბაზარზე არსებულ მცირეოდენ სამეურნეო დაბრკოლებებთან დაკავშირებით და აგრეთვე პარტიის წმენდის გამო, ოპოზიცია ცდილობს ისარგებლოს მომენტით პარტიასთან საბრძოლველად. ცოცხალი მიცვალებულები ოპოზიციის ბანაკიდან ჯერ კიდევ არ ყრიან იარაღს და ცდილობენ ხელი შეგვიშალონ ჩვენს წინაშე მდგომ უმნიშვნელოვანეს ამოცანების გადაწყვეტაში.

შემმოწმებელი კომისიები ვალდებულნი არიან გამოარკვიონ თვითეული კომუნისტის პოლიტიკური ფიზიონომია.

სწორი მიდგომის საშუალებით შემმოწმებელმა კომისიებმა უნდა გამოამჟღავნონ მერყევი და ფარული ოპოზიციონერები.

შემმოწმებელ კომისიებს არ ჰქონდათ საშუალება დაწვრილებით გაცნობოდნენ უჯრედებს, რომ გამოერკვიათ როგორც თვით უჯრედის მთლიანად, ისე მისი თვითეული ცალკე წევრის იდეოლოგიური მდგომარეობა.

საკონტროლო კომისია ისე ცოტა დროს იძლევა თვითეული უჯრედის გასაწმენდად, რომ მეტად ძნელია ამ დროის განმავლობაში უჯრედის კარგად გადასინჯვა.

წმენდისათვის მოსამზადებელი მუშაობა სუსტად ჩატარდა. როგორც რაიკომები, ისე თვით უჯრედები არასერიოზულად შეხვდნენ მზადებას. შესამოწმებელი კომუნისტების მასები უხალისოდ აძლევენ შეკითხვებს. არაა იმდენად საყურადღებო შესამოწმებელის ბიოგრაფია „ადამიდან" დაწყებული, არ არის საჭირო „მოგონებათა საღამოები". საჭიროა იმის გაგება, თუ როგორ მუშაობს შესამოწმებელი თავის დარგში, ებრძვის თუ არა ბიუროკრატიზმს, ეხმარება თუ არა პარტიას უმნიშვნელოვანეს ამოცანების განხორციელებაში და სხვ.

პრესა წმენდის საკითხებს უნდა მიუდგეს [illegible] კრიტიკით, დაეხმაროს შემმოწმებელ კომისიებს, მიუთითოს შეცდომებზე და არ დაკმაყოფილდეს მშრალი შენიშვნებით და ფართე ავტობიოგრაფიული მასალებით.

ზოგი შემმოწმებელი კომისია კარგად არ სარგებლობს საქართველოს ცენტრალური საკონტროლო კომისიის დირექტივებით. ცალკე შემთხვევებში კომისიების თავმჯდომარეები არ იძლეოდნენ კამათის საშუალებას ბიუროს საანგარიშო მოხსენების გარშემო. იყო შემთხვევა, როდესაც კენჭი ეყარა საკითხს შემოწმებულის პარტიაში დატოვების შესახებ. ზოგჯერ ადგილი აქვს დაუშვებელ მოვლენებს, როგორიცაა უჯრედის წევრთა შეთანხმება ერთმანეთში, რომ არაფერი სთქვან ერთმანეთის წინააღმდეგ. დაუშვებელია ისიც, რომ კომუნისტებს, რომელთაც მიღებული ჰქონდა სასტიკი შენიშვნები, წმენდის დროს არ მისცეს არც ერთი შეკითხვა, არც ერთი შენიშვნა და მასთან ერთად მხურვალე ტაშისცემითაც კი გააცილეს.

უნდა ვერიდოთ ორჭოფულ შეკითხვებს, მაგრამ ამავე დროს საჭიროა და შეიძლება ზოგიერთ შესამოწმებელს მიეცეს შეკითხვები ჩვენი პარტიის მიმდინარე პოლიტიკიდან.

რაიკომები არა სერიოზულად მოეკიდნენ დახასიათებათა შედგენის საქმეს. დახასიათებები ისე მოკლეა, რომ იქიდან არაფრის გაგება არ შეიძლება უჯრედის ნამდვილი მდგომარეობის შესახებ.

კამათის დასასრულს ამხ. გ. სტურუამ თათბირს გაუკეთა დასკვნა და განაცხადა, რომ წმენდის პირველმა დღეებმა ჩვენ მოგვცა მთელი რიგი მასალა, რომელიც უნდა გადაეცეს დასამუშავებლად ცენტრალურ საკონტროლო კომისიას იმ მიზნით, რომ პარტიის წმენდის შემდეგ მიმდინარეობაში თავიდან იქნეს აცილებული შემჩნეული ნაკლოვანებანი.

ვ. ქ.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკასა და ც. საკ. კომისიის წევრთა შემოწმება

(კახეთი)

ა.-წლის 16 ივნისს ჩატარდა საქ. კომპარტიის ცეკას და ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრთა შემოწმება კახეთში.

უჯრედის ღია კრებას დაესწრო 250 მუშა ადგილობრივი ტრანსპორტიდან, ამდენივე მშრომელი გლეხი და მოჯამაგირე.

„მოსე სიმონისძე ვარამაშვილი" — დაიძახა გამწმენდი კომისიის თავმჯდომარემ ამხ. ა. დოლიძემ. დაძახებისთანავე აუდიტორიიდან გამოვიდა და ნელის ნაბიჯით კომისიის წინაშე წარსდგა საქ. კომპარტიის ცეკას წევრი და კახეთის სამაზრო კომიტეტის მდივანი ამხ. ვარამაშვილი.

— დავიბადე სოფ. ანაგაში, მამა ჩემი იყო ღარიბი გლეხი, დედა „პატარა რევაზის" (ცნობილი თავადი კახეთში) ნაყმევი. რევოლიუციონურ მოძრაობაში ჩავები 1906—7 წლებში. 1907 წელს მონაწილეობა მივიღე ბოლშევიკური წრეების კონფერენციაში, რომელიც გაიმართა თბილისში მეტეხის ციხის პირდაპირ, ვირიცხებოდი ბოლშევიკების იმ ჯგუფში, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხ. სტალინი, პარტიის წევრი ვარ 1907 წლიდან. 1919 წელს ვხელმძღვანელობდი შეიარაღებულ აჯანყებას კახეთში. — ვარამაშვილის უკანასკნელი სიტყვები ხანგრძლივი და ერთსულოვანი ტაშით იფარება. ოვაციები გრძელდება 10 წუთის განმავლობაში.

„დავით აფციაური" — გამოუძახა შემმოწმებელ კომისიის თავმჯდომარემ — კომისიის წინაშე წარსდგა კახეთის მაზრაღმასკომის თავმჯდომარე და საქ. ც. ს. კომისიის წევრი ამხ. აფციაური.

— „პარტიის წევრი ვარ 1917 წლიდან. არალეგალობის დროს ვხელმძღვანელობდი შეიარაღებულ აჯანყებას და მთელ არალეგალურ პარტიულ მუშაობას ყოფილ თელავის მაზრაში.

— იყავი თუ არა ოდესმე ოპოზიციაში? — ეკითხება აუდიტორიიდან ერთ - ერთი მუშა ამხ. აფციაურს.

— 1923 წელს ზოგიერთ საკითხებში თანაუგრძნობდი საქართველოს კომუნისტ-უკლონისტების ჯგუფს, მაგრამ დავრწმუნდი რა უკლონისტების მავნე და დეზორგანიზატორულ გადახრაში, დავგმე საბოლოოდ მათი შეხედულებები და 1923 წლიდან დღემდე თავდადებულად ვიბრძვი პარტიის ლენინური ხაზის დასაცავად.

დასასრულ შემოწმებულ იქნა ც. ს. კ. წევრი ამხ. დ. ლაგაზიძე. ყველა დასახელებული ამხანაგები შემოწმებაში გატარდნენ წინადადებების და გაფრთხილების მიუცემლად.

აღნიშნულმა შემოწმებამ საბოლოოდ დაადასტურა, რომ პარტიის წმენდას და, განსაკუთრებით, ხელმძღვანელ კადრების შემოწმებას, აქვს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა. ძველი ბოლშევიკების შემოწმებას გატაცებით უსმენდნენ ახალგაზრდა პარტიულები და კომკავშირელები; პარტიის ახალ წევრებს აღფრთოვანებდა და რევოლიუციონური ენტუზიაზმით ანთებდა ძველი ხელმძღვანელი კომუნისტების გმირული მომენტებით აღსავსე ბიოგრაფია.

ა. ჭ—უა.

პარტიულ კონფერენციებზე

ქუთაისი

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

დამთავრდა ქუთაისის სამაზრო პარტიული კონფერენცია. უკანასკნელ სხდომაზე კონფერენციამ განიხილა ამხ. ა. კეკელიას მოხსენება საქართველოს კომპარტიის მუშაობის შესახებ საკ. კ. პ. (ბ) ცეკას მიერ მიღებული რეზოლიუციის შესრულების შესახებ.

დადგენილებებში კონფერენციამ აღნიშნა მუშების, მოჯამაგირეების და აგრეთვე გლეხობის ღარიბ და საშუალო ფენების აქტივობის საგრძნობი ზრდა, რაც გამომჟღავნდა სხვადასხვა პოლიტიკური კამპანიების ჩატარების დროს.

სოფლის სამეურნეო დარგში ფართოვდება ტეხნიკურ კულტურების სათესი სივრცე, გაიზარდა ხორბლეულის საერთო პროდუქცია, გაუმჯობესდა სას.-სამ. მანქანების მოწოდების საქმე, გაძლიერდა აგრიკულტურულ ღონისძიებათა გამოყენება.

მრეწველობაში შესამჩნევად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება.

ამასთანავე კონფერენციამ აღნიშნა დეფექტები ახალ სამრეწველო მშენებლობის დარგში, სას.-სამეურნეო კოოპერაციის სისუსტე და სხვ.

დასასრულ კონფერენციამ აირჩია დელეგატები საქ. კ. პ. (ბ) ყრილობაზე გასაგზავნად, არჩეულთა შორის არიან: ამხ. ფ. მახარაძე, მ. კახიანი, ვ. სტურუა, ჟულელი, დარახველიძე, კეკელია, მეტონიძე, ლევამიჩავა და სხვ.

ქუთაისის სამაზრო კომიტეტის ახალი მდივანი

კონფერენციის დასრულებისთანავე მოწვეულ იქნა სამაზრო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც, ამხ. ა. კეკელიას სასწავლებლად გამგზავრების გამო, სამაზრო კომიტეტის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ვ. დარახველიძე.

ნ. მესხი.

სენაკი

სენაკის მე-11 სამაზრო პარტკონფერენციამ თავისი მუშაობა დაასრულა 17 ივნისს.

პირველ სხდომაზე, რომელსაც ქალაქის პარტორგანიზაციის და კომკავშირის აქტივიც ესწრებოდა, კონფერენციამ მოისმინა ცეკას წარმომადგენლის ამხ. ბაგრატ მაჩაძის ვრცელი მოხსენება საკავშირო კომპარ. (ბ) აპრილის პლენუმის და მე-16 საკავშირო პარტკონფერენციის შედეგებზე.

კონფერენცია სავსებით და მთლიანად შეუერთდა მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენს შემდგომ წარმატებით წინსვლას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის გზით სოციალიზმისაკენ. კონფერენციის მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია: „...კონფერენცია სთვლის რა მემარჯვენე გადახრას მთავარ საფრთხედ მიმდინარე პერიოდში, მოუწოდებს მაზრის ორგანიზაციას დაუნდობელი ბრძოლა აწარმოოს ამ წვრილ-ბურჟუაზიულ მერყეობისა და შემარიგებლობასთან როგორც იდეოლოგიურად, ისე ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში, ამავე დროს სისტემატიური და შეუსუსტებელი ბრძოლა უნდა გაგრძელდეს ტროცკისტულ კონტრ-რევოლიუციის ნამსხვრევების წინააღმდეგ, რომლებიც ერთგვარი გამოცოცხლების ნიშნებს იჩენენ და გამხრწნელ მუშაობას აწარმოებენ.

კონფერენცია აცხადებს, რომ სენაკის მაზრის ორგანიზაცია გაორკეცებულად იმუშავებს პარტიის წინაშე მდგომ ამოცანების ურყევად გასატარებლად".

16 ივნისს საღამოს სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. ვ. ჩაკვეტაძის მოხსენება, საქართველოს ორგანიზაციის მუშაობის გამო საკავშირო ცეკას მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა გატარების შედეგებზე სენაკის მაზრაში.

მომხსენებელმა აღნიშნა მიღწევები: სოფლის მეურნეობის განვითარებისა და კოლექტივიზაციისათვის მიღებული ღონისძიებანი (კოლმეურნეობა და ტეხნიკურ კულტურათა რიცხვის ზრდა, კონტრაქტაცია, თესვის კამპანია), მშრომელი მოსახლეობის ფართედ ჩაბმა საბჭოთა არჩევნებში, ღარიბთა და მოჯამაგირეთა კოოპერაციაში შეკავშირებას საქმის გაუმჯობესება, კრიტიკისა და შინაპარტიული დემოკრატიის გაშლა, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება და დაუნდობელი ბრძოლის წარმოება გადახრებთან და სხ.

ამასთანავე მომხსენებელმა აღნიშნა მთელი რიგი ნაკლი მუშაობის სხვადასხვა დარგში და დასახა ამოცანები მომავალ მუშაობისათვის, ადგილობრივი პირობების მიხედვით.

კამათში გამოსული ამხანაგები ეთანხმებოდნენ მომხსენებლის მიერ წამოყენებულ ამოცანებს, მხოლოდ ასაბუთებდნენ და აღრმავებდნენ მას. მთელი სიმძიმის ცენტრის სამეურნეო საკითხებზე გადატანასთან ერთად დიდი ყურადღება მიექცა გადახრებთან ბრძოლის საკითხებს, ორატორები ამჟღავნებდნენ ზოგიერთ ამხანაგების შეცდომებს, რომლებიც ფიქრობდნენ თითქოს მემარჯვენე გადახრას სოფლად არ ჰქონდა ადგილი, მათ მოჰყავდათ მთელი რიგი კონკრეტული ფაქტები იმის შესახებ, თუ როგორ ამახინჯებდნენ ზოგიერთი ორგანოები და ხელმძღვანელი ამხანაგები პარტიის ხაზს კრედიტების განაწილების, გადასახადების გაწერის, მოსახლეობის ფენებად დაყოფის, ღარიბების, ღარიბთა ჯგუფების და მოჯამაგირეთა როლის შეფასების საქმეში. სწორედ ამიტომ კონფერენციამ მიღებულ რეზოლიუციაში მთავარ ამოცანად დაუსახა მაზრის ორგანიზაციას მემარჯვენეობის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლასთან ერთად, დაუნდობლად გამოამჟღავნოს მემარჯვენე გადახრის ყოველგვარი კონკრეტული გამოხატულება.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა სამკომის მიერ აღებული ხაზი და დღემდე ჩატარებული მუშაობა ჩასთვალა დამაკმაყოფილებლად, ამასთანავე მან დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ამოცანები მომავალი მუშაობისათვის. კონფერენციამ საჭიროდ ჩასთვალა მაზრის სამეურნეო განვითარების 5-წლიანი გეგმის საფუძვლიანი დამუშავება. ამ გეგმაში სათანადოთ არ ყოფილა გათვალისწინებული მაზრის მთელი შესაძლებლობანი, ტეხნიკური კულტურები, მეურნეობის რეკონსტრუქციის ტემპი, ფაბრიკა-ქარხნების აშენება და სხვ.

უკანასკნელ სხდომაზე არჩეულ იქნა დელეგატები სრ. საქართველოს მე-6 პარტყრილობაზე დასასწრებლად და შეტანილ იქნა ზოგიერთი ცვლილება პლენუმის შემადგენლობაში.

კონფერენციის დახურვის შემდეგ იქვე გაიხსნა სამკომის პლენუმი, რომელმაც მდივნად ერთხმად დაამტკიცა ამხ. ვ. ჩაკვეტაძე.

მ. ბარამია.

მისალმება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას

ქუთაისის მაზრის მეთორმეტე პარტკონფერენცია მხურვალედ ესალმება საქართველოს კომპარტიის კოლექტიურ ბელადს — ცენტრალურ კომიტეტს. კონფერენცია არწმუნებს ცეკას, რომ ქუთაისის ორგანიზაცია ლენინის მოძღვრების საფუძველზე ყოველგვარ ზომებს მიიღებს პარტიის გენერალურ ხაზის გასატარებლად. კონფერენცია ღრმად დარწმუნებულია, რომ ლენინურ ცეკას ხელმძღვანელობით გადალახულ იქნება ყოველგვარი დაბრკოლებანი, რომელიც წინ ელობება სოციალისტურ მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

კონფერენციის პრეზიდიუმი.

ასეთივე შინაარსის მისასალმებელი დეპეშებია მიღებული აგრეთვე სენაკის, ზუგდიდის და შორაპნის სამაზრო პარტკონფერენციებიდან.

ა. ლ. კ. კ. საკავშირო კონფერენცია

ამხ. კუზმინის სიტყვა

მოსკოვი, 20 ივნისი. საკავშირო ლენინურ კომკავშირის მე-6 კონფერენციაზე ამხ. რუძუტაკის და კოსარევის მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში გამოვიდა სამხ. უმაღლეს სასწ. სამმართველოს უფროსი ამხ. კუზმინი

„ქვეყნის თავდაცვისათვის — განაცხადა მან, — სამხედრო კადრების მომზადებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ ჩვენ უნდა დავეწიოთ და გავუსწროთ კაპიტალისტურ ქვეყნებს. კომკავშირის ზოგიერთ ორგანიზაციაში შემჩნეულია „კაზიონური" დამოკიდებულება სამხედრო სკოლების შევსებისადმი. კომკავშირელი ხშირად უხალისოდ მიდის ოცეულის და ასეულის უფროსად და ამჯობინებს რომელიმე ტეხნიკუმში ან უმაღლეს სასწავლებელში შესვლას. კომკავშირელი უფრო უნდა დაუახლოვდეს სამხედრო კადრების მომზადების საქმეს და არ უნდა დაუშვას წითელ არმიაში და სამხედრო სკოლებში ჩვენი კლასობრივი მტრები".

ამხ. ხალათოვის მისალმება

ამხ. ხალათოვი კონფერენციას მიესალმა სახელგამის სახელით.

„კომკავშირი — სთქვა მან, — უნდა გახდეს წიგნის მთავარი გამავრცელებელი მასებში. „კომსომოლსკაია პრავდა"-ს ინიციატივით ჩვენ დიდი რაოდენობით გამოვეცით ლენინის ბროშურა სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. შემიძლია განვაცხადო თქვენს წინაშე, რომ ამჟამად ეს ბროშურა გავრცელებულია 4 მილ. ეკზემპლიარის რაოდენობით".

დასასრულ ამხ. ხალათოვმა გამოსთქვა რწმენა, რომ კომკავშირი, რომელმაც ასეთი ენერგიით დაიწყო კულტურული ლაშქრობა წერა - კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ, არა ნაკლები ენერგიით იმუშავებს წიგნის გასავრცელებლად მასებში.

უთავბოლო მუშაობა საბინაო ამხანაგობებში

ბინათკავშირი სუსტ ხელმძღვანელობას უწევს საბინაო ამხანაგობებს

მეტი ყურადღება საბინაო კოოპერაციას

საბჭოთა ხელისუფლება საბინაო მშენებლობის დარგში გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს. აშენებულია და ამჟამადაც შენდება მუშათა სახლები, მაგრამ მუშათა კლასის ყოფა-ცხოვრების უმნიშვნელოვანეს საკითხად დღითი-დღე საბინაო საკითხი იქცევა და მისი უფრო სწორედ და ძირითად გადაწყვეტა შესაძლებელია არა მარტო სახელმწიფოებრივი ღონისძიებებით და დახმარებით, არამედ თვით მოსახლეობის ფართო მასების თვითმოქმედებით და ამ საქმიანობაში მისი უშუალო მონაწილეობით.

მოსახლეობის ფართო მასების ჩასაბმელად ამ დარგში და თვითმოქმედების გამოჩენის საუკეთესო ფორმა, ეს არის საბინაო კოოპერაცია. უკანასკნელს დიდი წარსული არა აქვს, მაგრამ მოკლე დროის განმავლობაში მიღებულმა შედეგებმა, პრაქტიკულმა გამოცდილებამ, მისი არსებობის უნარიანობის და მიზანშეწონილობის ნიშნები დაგვანახვა. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ კოოპერაციის ამ ახალგაზრდა ფორმას ჯეროვანი ყურადღება ვერ ექცევა.

საბინაო კოოპერაცია მოვალეა შეინახოს არსებული საბინაო ფონდი და აწარმოოს ახალი საბინაო მშენებლობა. მოსახლეობის კოოპერატიულად შეკავშირება კი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი გაერთიანებიდან გამომდინარე სასარგებლო შედეგებს დაინახავს და გამოიყენებს. რას მოელის საბინაო ამხანაგობათა სახლებში მობინადრე მოსახლეობა ამ სახის კოოპერაციისაგან? საბინაო პირობების გაუმჯობესებას, ბინის სივიწროვის შენელებას,—არსებულ ფართობის სამართლიანად და რაციონალურად გამოყენება-მოხმარებას, მის მოვლა-პატრონობაში უშუალო მონაწილეობის მიღების შესაძლებლობას და სხვ.

გადავავლოთ თვალი და ამხანაგობების მუშაობაში ბევრ კარგ შედეგებთან ერთად ბევრ მახინჯ და არანორმალურ მოვლენებს დავინახავთ, რომელნიც ჩრდილავენ მიღწევებს.

თბილისის საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა მომეტებულ ნაწილს ახასიათებს შემდეგი ნაკლოვანებანი: გამგეობათა კანცელარიზმით გატაცება და კაბინეტმოყვარეობა, კომფრაქციების სუსტი მუშაობა, გაბერილი ტეხნიკური აპარატი და მისი შემადგენლობის დაბალი კვალიფიკაცია, უგეგმო მუშაობა და უსისტემობა, რემონტების მიზანშეუწონლად წარმოება, შენობის მოვლა-პატრონობის „ზერელობა", უყაირათობა და წვრილ ხარჯებზე მომჭირნეობის უქონლობა, ბინების არა რაციონალურად გამოყენება და განთავისუფლებულ ფართობის ნაცნობებზე განაწილება, ბინის ქირების დიდი დავალიანება და ამ საქმეში უდისციპლინობა, ამხანაგობის წევრებად მობინადრეთა სუსტი მიზიდვა, საპაიო დავალიანების ქრონიკულობა, რწმუნებულთა ინსტიტუტის ქაღალდზე არსებობა, და მათი უმოქმედობა, მასებისაგან მოწყვეტა და თავის თავისთვის საქმიანობა, კულტმუშაობის სისუსტე და სხვ.

მუნიციპალიზაციაქმნილი სახლები გადაცემული აქვს განსაზღვრულ პრინციპებზე ჩამოყალიბებულ მობინადრეთა ორგანიზაციას და არა სამეულებს, ხუთეულებს და თითებზე ჩამოსათვლელ პირთა ჯგუფებს. გამგეობები მოწყვეტილი არიან გაერთიანებაში შემავალ ბინების მოსახლეობას. გამგეობების არჩევნები ხდება ფართო მასების მონაწილეობის გარეშე, რასაც შედეგად მოსდევს მათ შემადგენლობაში საეჭვო კოოპერატორ-კომბინატორების გაძრომა და მოკალათება. ამხანაგობათა კუთვნილ სახლებში მობინადრე კომუნისტი წევრები აქტიურ მონაწილეობას თავს არიდებენ და ამ ორგანიზაციაში მუშაობას რაღაც დამამცირებლად და წვრილმან საქმიანობათ სთვლიან.

ამხანაგობათა გამგეობანი შეპყრობილნი არიან კანცელარიზმით და მეტ დროს ქაღალდებში აბანდებენ. ჩვენ ვებრძვით ბიუროკრატიზმს, უთავბოლობას, ჩინოვნიკურ ყოყოჩობას, სახელმწიფო აპარატში ვამცირებთ შტატებს, ვატარებთ მომჭირნეობის რეჟიმს, ვიბრძვით გეგმიანობისათვის და ყველა ეს სიმახინჯენი ფეხს იკიდებენ ამ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში.

როგორ მიმდინარეობს ქონების მოვლა-პატრონობა. ყველა ამ პატრონებს ახასიათებს ქონების გარედან გაპუდრვა-გალამაზება და შიგნიდან მდგომარეობის მიმართ კი ზერელე ჩიჩქნა-მიკოწიწება. წვრილ რემონტებს, გამოუცდელ კომენდანტების წყალობით მიაქვს ბიუჯეტის მნიშვნელოვანი სახსრები და თავისი ნაკლოვანებებით სარემონტო ტეხნიკის ელემენტარულ მოთხოვნილებებსაც ვერ აკმაყოფილებს.

ადგილობრივი სარევიზიო კომისიები თავის სიმაღლეზე ვერა სდგანან და ზოგან თუ სავსებით ძილს მისცემიან, ზოგან კი მათი რევიზია სალაროს შემოწმებას არ სცილდება. რაც შეეხება საპაიო თანხების მნიშვნელობას, იგი თითქმის ყველა ამხანაგობებში შეუთვისებელია და შემდეგ ამისა ამ თანხის ჯამები საზოგადო კრებების ოქმებში მარხიან და მათ განაღდება-აკრეფაზე გამგეობები თავს არ იწუხებენ.

ბინის ქირების გადახდაში ხომ რაღაც ჩვეულებად გადაქცეული უდისციპლინობა სუფევს. ამ უდისციპლინობასთან ბრძოლის მაგიერ ზოგი ამხანაგობანი მას ნიადაგსაც კი უმზადებენ. გაერთიანებულია ამხანაგობა „შრომა"-ს № 22-ის პრაქტიკაში ჰქონდა რამდენიმე მაგალითის ადგილი, რომ გადახდის უნარის მქონე მობინადრეს ჩამოსწერა გამგეობამ საბინაო ქირის დავალიანება. აქვს სხვა წვრილმან გადახრებსაც ადგილი, მაგ. ბინის ქირების გარდა მობინადრეს სტვირთავენ ზედნართი და უკანონო გადასახადებით, რომელიც დაფარული უნდა იყოს სახლთმფლობელობის ხარჯებიდან. სახელდობრ ამხანაგობა № 22 „შრომა"-ს გამგეობა ქუჩების რწყვაზე დახარჯულ წყლის ფასს ახდევინებს მობინადრეებს, აგრეთვე ეზოების განათების ხარჯებს და სხ. ამგვარს. წვრილმანია ყველა ეს, მაგრამ ამას მსხვილი ზიანი მოაქვს კოოპერატიულ საქმიანობისათვის. ტეხნიკურ თანამშრომლების მომზადებაზე არავინ ფიქრობს. ბევრს ისეთი წარმოდგენა აქვს, თითქოს თუ ვინმე სადმე სამუშაოდ არ გამოდგა, თავი უნდა უკრან საბინაო კოოპერაციაში.

უნდა გამოვაცოცხლოთ საბინაო-საიჯარო ამხანაგობათა მუშაობა, გავაძლიეროთ მასზე ხელმძღვანელობა, ჩავაბათ მათში ფართო მასები და უკანასკნელის შემოქმედებით შევქმნათ მაგარი კოლექტიური საბინაო მეურნეობა. ცოცხალ სიტყვას და პრაქტიკულ ხელმძღვანელობას მეტი ეფექტის მოცემა შეუძლია, ვიდრე ბეჭდვითი ცირკულიარებს.

ვანო ხეთაგური.

საჭიროა გეგმიანი მუშაობა

საბინაო კოოპ. ამხანაგობას დიდ ყურადღებას აქცევენ როგორც ჩვენი უმაღლესი ორგანოები, ისე მშრომელთა ფართო მასებიც. ეს აიხსნება იმით, რომ საბინაო კრიზისი უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად გამწვავდა. ამ კრიზისის ნაწილობრივად შენელება კი შეიძლება მხოლოდ სწორი და გეგმიანი საბინაო მშენებლობით, რომელსაც უმთავრესად უნდა აწარმოებდეს საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ როგორც ამ ამხანაგობების გამგეობები, ისე ბინათ კავშირიც ვერ აწარმოებენ სათანადო მუშაობას, შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი ამხანაგობების მუშაობა სრულიადაც არ შეეფერება საბინაო მშენებლობას. ამხანაგობებს არა აქვთ გამომუშავებული საერთო სამუშაო გეგმა და ინსტრუქციები, რომლებსაც შეეძლებათ ამხანაგობებში საქმის სწორად დაყენება, ხელმძღვანელობა და სხვ.

ამხანაგობების გამგეობების დიდ უმრავლესობაში არ მიმდინარეობს სწორი და მიზანშეწონილი მუშაობა და ყველაფერი ეს ქმნის ანარქიულ მდგომარეობას, რომლის მიზეზითაც ბრკოლდება როგორც ბინების მდგომარეობის გაუმჯობესება, ისე ამ ფრიად საჭირო ორგანიზაციებისაკენ ფართო მასების მიზიდვა.

მე-46 ამხანაგობის გამგეობის მუშაობა ხასიათდება აღნიშნულ ნაკლოვანებებით. გასული წლის განმავლობაში გამგეობაში ადგილი ჰქონდა კინკლაობას, ამ მიზეზით ამხანაგობამ დიდი ზარალი ნახა სხვადასხვა ორმაგი ხარჯების გაღებით. დღევანდელი დამოკიდებულებაც საბ. კავშირისა და გამგეობას შორის არანორმალურია. დღეს რომ ერთ განკარგულებას გასცემს საბ. კავშირი, ხვალ მის საწინააღმდეგოს გზავნის და სხვ.

ამ დეფექტების გამოსასწორებლად აუცილებლად საჭიროა სათანადო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული იქნეს საბინაო ამხანაგობების მუშაობის შემოწმება და ამხანაგობების საქმის სწორად დასაყენებლად და ანგარიშწარმოების გასაუმჯობესებლად შემუშავებული იქნეს საერთო გეგმები.

ფაქტელი.

გაუწიეთ კონტროლი

მე-54-ე საბინაო საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა დაარსდა 1928 წლის ნოემბერში. ამხანაგობას ეკუთვნის 45 სახლი, რომლის საერთო სივრცე აღწევს 24.000 კუბ. მეტრს. ისე, რომ სიდიდის მხრივ, ეს გაერთიანება ყველა სხვა გაერთიანებებზე დიდათ ითვლება მთელს ქალაქში, მაგრამ მუშაობის მხრივ კი ჩამორჩენილია. გამგეობის სხდომების დრო არ არის განსაზღვრული. სხდომას იწვევენ მაშინ, როდესაც გამგეობის თავმჯდომარეს სცალია და როცა მას მოეპრიანება. ეს მდგომარეობა დიდ უკმაყოფილებას იწვევს როგორც გამგეობის ბეჯით წევრებში, ისე მობინადრეებშიაც, რადგან ბევრი განცხადებები და საკითხებია გასარჩევი და თავის დროზე ვერავინ პასუხს ვერ ღებულობს.

სარევიზიო კომისიის მუშაობა უგეგმოა: ორი თვის განმავლობაში კანტორის მუშაობას 10-ჯერ გაუკეთეს რევიზია. (ათივე აქტი გადაგზავნილია საქართველოს ბინად-კავშირში) ამნაირად სარევიზიო კომისია ხელოვნურად ჰქმნის საქმეების არევ-დარევას და თანამშრომლების გაცდენას.

სახლების მოვლა-პატრონობას არავითარი ყურადღება არ ექცევა: სახლების უშუალო პატრონობა დაკისრებული აქვს სახლების გამგეს, ი. ხატისკაცს და მის თანაშემწეს— ი. გელეიშვილს, მაგრამ არც ერთი და არც მეორე საქმეზე თავს არ იცხელებს. გამგეობის დადგენილებით ამხანაგობის ხარჯზე ორივეს ეძლევა თვეში ტრამვაის ოთხ-ოთხი აბონიმენტი; ამიტომ, გათენდება თუ არა, ერთმანეთს ეჯიბრებიან ტრამვაით მოგზაურობაში. კანტორაში კი ვერც ერთ მათგანს ვერ ნახავთ თავის დროზე.

მთელი დღეების განმავლობაში მდგმურების განუწყვეტელი ლოდინია კანტორაში, ეძებენ სახლების გამგეებს: სახლები ინგრევა, ეზოები სავსეა ნაგავით, წყალი არა არის ეზოებში, ფეხისადგილი გაფუჭებულია, სინათლე არ არის და სხვა.

ბინის ქირის აკრეფასაც სრულებით არ ექცევა ყურადღება. კაპიტალური შეკეთების სეზონი უკვე დაწყებულია და გამგეობას კი ხელზე კაპეიკი არა აქვს. მდგმურებიდან კი ასაღებია 9.000 მანეთამდე. ეს ფული, რომ გამგეობას თავის სალაროში ჰქონდეს, სახლების შეკეთება შესაძლებელი იქნებოდა.

ასევე უნდა ითქვას კომენდანტების გაბერილ ჯამაგირზე: განაკვეთის მიხედვით, ჩვენს გაერთიანებაში, სახლების გამგე უნდა ღებულობდეს თვეში 130 მანეთს, და ნამდვილად კი მას დაუნიშნა გამგეობამ თვეში 150 მანეთი, ხოლო თანაშემწეს—120 მანეთი.

საჭიროა საქართველოს ბინათკავშირმა და თვით აღმასკომმაც უშუალო კონტროლი გაუწიონ ყველა გაერთიანებებს და განსაკუთრებით კი მე-54-ე ამხანაგობას.

დინჯი.

როგორ მუშაობდნენ

ქუთაისის რკინის-გზის საალმშენებლო კოოპერაციაში

ქუთაისის საბინაო საალმშენებლო კოოპერაცია დაარსდა 1925 წელს. კოოპერაციაში პირველ ხანებში შედიოდა 54 წევრი, მაგრამ 1927 წელს კოოპერატივიდან თავის სურვილით გავიდა 31 წევრი. დარჩა 23 წევრი. ამჟამად კი ამხანაგობაში გაერთიანებულია 23 წევრი. თავიდანვე ამ ამხანაგობის გამგეობის თავმჯდომარედ იყო არჩეული ვლ. მაჭავარიანი, ხოლო მდივნად ს. ვაჩიბერიძე. პირველმა გამგეობამ 1925 წლიდან გადარჩევამდე ააშენა 3 სახლი თითო ორბინიანი, ამათში ორი სახლი დაჯდა დაახლოებით 42 ათასი მანეთი ე. ი. თითეული 21.000 მანეთად. ხოლო მესამე—12 ათას მანეთამდე.

აღსანიშნავია, რომ წევრების გასვლა ამ კოოპერაციიდან უმთავრესად გამოიწვია სახლების ძვირმა მშენებლობამ და უგეგმო მუშაობამ, რომელსაც აწარმოებდა ძველი გამგეობა მაჭავარიანის და ვაჩიბერიძის ხელმძღვანელობით. ამას კიდევ დაემატა ის, რომ მშენებლობის დროს მაჭავარიანმა მუშაობის მეთვალყურედ მოიწვია მისი ცოლის ძმა, რომელსაც ყოველთვიურად ეძლეოდა 60 მანეთი, ხოლო საქმით კი არაფერს აკეთებდა. ამას გარდა არა ერთხელ იყო შემჩნეული, რომ იყიდებოდა ძვირად მასალა და ისიც კერძო პირებისაგან. რაც, რა თქმა უნდა, მითქმა-მოთქმას ქმნიდა წევრთა შორის. შემჩნეული იყო აგრეთვე ავანსების გაცემაც. ასე მაგ. ხსენებულ მაჭავარიანს და ვაჩიბერიძეს გაუციათ 100 მანეთი ავანსი ვინმე შენგელიასათვის, ეს თანხა ჯერაც არ არის დაბრუნებული. გაცემულ იქნა აგრეთვე წინასწარ 2.000 მანეთი ავანსი ციხის მუშებზე, რომელნიც მუშაობდნენ საალმშენებლო მუშაობაზე. მათი მუშაობა კი შეფასებულ იქნა 1000 მ. ზედმეტი გაცემული ფული ჯერაც არ არის დაბრუნებული. გამგეობის მდივანი ვაჩიბერიძე ზაფხულზე წასულა კურორტზე, სადაც დარჩენილა 2 თვე, აქაც თურმე მას შეთავსებით მიცემული გასამრჯელო. ამას გარდა სახლების აშენებისას გამგეობის თავმჯდომარემ და მდივანმა აირჩიეს მათთვის ერთ-ერთი საუკეთესო სახლი და ჩასახლდნენ შიგ იმ დროს, როდესაც თვითეული სახლის ღირებულების 8 პროც. დაახლოებით 800 მანეთამდე არ ჰქონდათ შეტანილი. ისინი თითო 150—150 მანეთით შევიდნენ შიგ და ამჟამადაც მთელი მათი შეტანილი თანხა არ აღემატება 300—300 მანეთს. 1927 წ. დამლევს მოხდა ამ ამხანაგობის გამგეობის საერთო კრება, სადაც გადარჩეულნი იქნენ ხსენებული პირები.

ამჟამად ეს ამხანაგობა შეერთებულია ქალაქის საალმშენებლო კოოპერაციასთან, სადაც დარწმუნებული ვართ მუშაობა შესაფერის დონეზე დადგება.

რაც შეეხება ძველ წარსულ მუშაობას იმედია სათანადო ორგანო გადასინჯავს მას და შესაფერის დასკვნას გამოიტანს.

მახათი.

სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია

დილომის ველზე ხვნა იწარმოებს ელექტრონის გუთნებით

შესდგა სახკომსაბჭოსთან არსებულ სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის ჩამტარებელი სპეციალური კომისიის სხდომა, რომელზედაც დასმული იყო საკითხი ახლად მორწყულ დილომის ველზე სამეურნეო სამუშაოების მოწყობისა და თვით სოფ. დილომის ელექტროფიკაციის შესახებ.

სხდომაზე საინფორმაციო მოხსენება გააკეთა ინჟ. **პოლუდინმა**, რომელმაც განაცხადა, რომ დილომის ველის მორწყვის შემდეგ მიზანშეწონილი იქნება იქ დაწყებული სასოფლო - სამეურნეო სამუშაოები შესრულდეს იაფი ელექტრო - ენერგიის საშუალებით. დილომის ველის ელექტროფიკაციის გარდა, მომხსენებლის წინადადებით უნდა მოხდეს თვით სოფ. დილომის ელექტროფიკაციაც, ე. ი. გარდა გასანათებელი ენერგიისა, სოფელს უნდა მიეცეს ელექტრო - ენერგია იმისათვის, რომ ელექტრონის საშუალებით შესრულდეს ყველა ე. წ. სტაციონარული სასოფლო - სამეურნეო სამუშაოები (ლეწვა, ფქვა და სხ.).

აღნიშნული საკითხის შესახებ გამოვიდა აგრეთვე **პროფ. ამირეჯიბი**, რომელმაც განაცხადა: ზაჰესის სიახლოვის გამო დილომის ველზე და თვით სოფ. დილომში სტაციონარულ სამეურნეო სამუშაოთა ელექტროფიკაცია არ წარმოადგენს არავითარ სიძნელეს. ადვილია აგრეთვე დილომის ველზე ხვნის და სხვა სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების ელექტროფიკაციაც.

ხვნის ელექტროფიკაციისათვის არსებობს ორი საშუალება: ერთი რთულია და მეორე უფრო მარტივი. პირველ შემთხვევაში ხვნა სწარმოებს ელექტრონით მომუშავე ტრაქტორების საშუალებით. დილომის ველზე კი უფრო მიზანშეწონილი იქნება ხვნა ვაწარმოოთ ე. წ. მოძრავი გუთნებით, რომლებსაც ექნებათ პატარა მისაბმელი მოტორები და ელექტრო ენერგიის მიმწოდებელი ელასტიური მავთულის მურგვი. ამნაირათ მოწყობილ ელექტრო გუთანს და ტრაქტორს მუშაობა შეუძლია არა მარტო ვაკე ადგილებზე, არამედ მთიან ადგილებშიაც. ასეთ ტრაქტორზე მუშაობა შეუძლია ყოველ გლეხს და საამისოთ მას არ დასჭირდება განსაკუთრებული კვალიფიკაცია. დილომის ველზე, სადაც სახნავი მიწის მოედანი უდრის დაახლოებით 250—300 დესეტინას, ელექტრონის გუთნები უფრო მისაღები იქნება. ამ გუთნების ელექტრომოწყობილობათა გამოყენება შესაძლებელი გახდება ყანების ფარცხვის, მკის და სხვა ოპერაციების დროსაც.

აგრონომი **ავალიშვილი** ეხება საერთოდ ელექტრონის გუთნების და ტრაქტორების მუშაობას და საჭიროდ სცნობს დილომის ველზე ამუშავებულ იქნეს მსუბუქი მოძრავი გუთნები.

ინჟ. **ბ. ჭიჭინაძე** აღნიშნავს, რომ დილომის ველი, როგორც თავისი ნიადაგით, ისე რელიეფით წარმოადგენს საქართველოსთვის დამახასიათებელ რაიონს და როდესაც აქ მოხდება სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია, საჭირო იქნება მიღებული გამოცდილების გამოყენება რესპუბლიკის დანარჩენი რაიონების ელექტროფიკაციის დროს. ამიტომ, დილომის ველზე ელექტრონით ხვნის წარმოებისას, საცდელათ უნდა იქნას ნასინჯი როგორც რთული, ისე მარტივი სახნავი მოწყობილობანი.

ინჟ. **ჭიჭინაძის** განცხადებით უახლოეს წლებში საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში აგებული იქნება ახალი ჰიდრო-ელექტრო სადგურები, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი გახდება მთელი რიგი სასოფლო - სამეურნეო რაიონების ელექტროფიკაცია.

კომისიამ მიიღო დადგენილება, რომ ელექტრო - ხვნა შემოღებული იქნას დილომის სარწყავი ველის 1-ლ და მე-2 ზონაში. ამასთანავე საჭიროთაა აღიარებული დაწყებულ იქნას მუშაობა სოფ. დილომის საელექტროფიკაციოთ. დილომის ველზე სამეურნეო სამუშაოებისათვის საჭირო ელექტრო - ენერგიის მისაწოდებელი ქსელის გაყვანა - მოწყობის პროექტი დამუშავებული იქნება სათანადო ცნობების შეგროვების შემდეგ მიმდინარე წლის განმავლობაში.

როგორ ჩატარდა გაზაფხულის თესვის კამპანია ამიერ-კავკასიაში

ნათესების მდგომარეობა ამჟამად ამიერ-კავკასიაში დამაკმაყოფილებელია. ტეხნიკური კულტურების თესვის გეგმა შესრულებულია გადაჭარბებით. უმეტეს კულტურების კონტრაქტაციის გეგმაც აგრეთვე შესრულებულია გადაჭარბებით. კონტრაქტაციის მთლიანად გაშლას ხელს უშლის დამატებითი კრედიტების უქონლობა. წყლის მეურნეობის სამუშაოები უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე მოსალოდნელი იყო აზერბეიჯანში, სარწყავი სისტემის გაუმჯობესების შემდეგ, ბამბის ნათესების სივრცე გადიდებული იქნება 100 პროც.-ით. წყალსაქაჩავების რემონტი დამთავრებულია და ამუშავებულია ორი ახალი წყალსაქაჩავი.

სასოფლო - სამეურნეო მანქანების მიწოდების გეგმა ამიერ - კავკასიაში შესრულებულია თითქმის მთლიანად. აზერბეიჯანში სულ გაწმენდილი იქნა 1.000 ტონა ხორბალი, მთელი სათესლე ხორბლის 24 პროც., საქართველოში — 7,6 პროც.

სპეციალური კომისია არკვევს ზარალს და იმ ადგილების ხელახლა დათესვის შესაძლებლობას, რომლებიც დაზარალდა მიურსალინის და სიდლიარის ჯებირების გარღვევის გამო.

კალიასთან ბრძოლა აზერბეიჯანში სწარმოებს 28.000 ჰექტარზე, სპარსეთში—17.000 ჰექტარზე. კალიასთან საბრძოლველად ბიუჯეტში გათვალისწინებული 292.000 მანეთი გადაეცა ადგილებს.

საქართველოში გამოკვლეული იქნა გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების საქმე, რამაც გამოარკვია შემდეგი დეფექტები: კრედიტების ძირითადმა ნაწილმა დაგვიანებით მიაღწია მთესველებამდე. გლეხთა მეურნეობების მომარაგების გეგმა შესრულებულია ტრიერების დარგში 34 პროც.-ით და ტრაქტორების დარგში — 80 პროც.-ით. სათესლე მასალა დარიგებული იქნა 4.580 ტონის რაოდენობით, რაც არ არის საკმარისი. 2.029.000 მანეთიდან, რომელიც გადადებული იყო თესვის კამპანიისათვის, 175.000 მანეთი გამოუყენებელია. ეს — დიდი დეფექტია, რადგან მთელი კრედიტი ვერ ფარავდა მთლიანად ფაქტიურ საჭიროებას. თესლის მოწამვლის გეგმა შესრულებულია 44 პროც.-ით კონტრაქტაცია ჩატარებული იქნა 12 მაზრაში 18.752 ჰექტარზე, რაც შეადგენს ნათესების მთელი სივრცის 3,16 პროცენტს.

მიწადმოწყობა და მიწით სარგებლობა

ა.-კ. მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა მიწადმოწყობისა და მიწათსარგებლობის გამოკვლევას ამიერ-კავკასიაში. გამოკვლევა მიზნათ ისახავს მიწადმოწყობის მაქსიმალურ რაციონალიზაციას და მიწით სარგებლობის მოწესრიგებას საკავშირო ცაკის მეოთხე სესიის დირექტივებთან შეთანხმებით. ამ მიზნით გამორკვეული იქნება მიწის ფონდი და მიწით სარგებლობის ხასიათი. ყოველმხრივ შესწავლილი იქნება მიწადმოწყობა. აღნიშნულ გამოკვლევაში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებთან ერთად ჩაბმულნი იქნებიან რესპუბლიკანური მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატები, საგეგმო კომისიები, პრესა, მიწა-ტყის მუშაკთა კავშირები და კოლმეურნეობათა ცენტრი. გამოკვლევა დამთავრებული უნდა იქნეს ორი თვის განმავლობაში.

ქართული წიგნის 300 წლის თავისათვის

საქართველოს მბეჭდავთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ და ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრეს საქ. სახკომსაბჭოს წინაშე, რომელშიაც ისინი ქართული სტამბის 300 წლის თავის დღესასწაულის მოსამზადებლად და მის ღირსეულად ჩასატარებლად საჭიროდ სცნობენ დაარსებული იქნეს საიუბილეო კომიტეტი, რომელშიაც უნდა შევიდნენ სათანადო სპეციალობის მეცნიერები, ს. პ. კ. ს. კულტგანყოფილების, მბეჭდავთა კავშირის განათლების მუშაკთა კავშირის, ბეჭდვითი საქმის კომიტეტის, პარტიის ცენტრ. კომიტეტის აგიტპროპის, თბილისის კომიტეტის აგიტპროპის, სახელმწიფო უნივერსიტეტის, წიგნის პალატის, პოლიგრაფტრესტის, სახელგამის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

კომიტეტმა ახლავე უნდა გამოჰყოს რამდენიმე სპეციალისტი, რომელთაც დაევალება შეაგროვოს ყოველგვარი ცნობები ქართული წიგნის ბეჭდვის დაწყებისა და მის განვითარების შესახებ, რაიც კი დაცულია რომის, ბუქარესტის, ვენეციის, სტამბოლის და დასავლეთ ევროპის სხვა ადგილების არქივებში, აგრეთვე რუსეთსა და საქართველოში.

ამ მასალების მიხედვით უნდა დამზადდეს და გამოიცეს ვრცელი საიუბილეო კრებული, რომელშიაც მოთავსდება ქართული სტამბის სრული ისტორია, სურათები, სხვა დასხვა დროს გამოცემულ წიგნთა თავფურცლები და სხვა; უნდა დამზადდეს და ცალკე გამოიცეს აგრეთვე 300 წლის განმავლობაში დასტამბულ ქართულ წიგნთა სრული კატალოგი, ქართული პერიოდიკის სრული ბიბლიოგრაფია, უნდა მოეწყოს სათანადო გამოფენა და სხვა.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

რაიონული სტატისტიკოსები

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ ყურადღება მიაქცია სტატისტიკოსების არანორმალურ მდგომარეობას ამიერ-კავკ. რესპუბლიკებში. მთელ რიგ რაიონებში რაიონულ სტატისტიკოსების თანამდებობა ფაქტიურად გაუქმებულია. მრავალ სტატისტიკოსს ავალებენ არა სტატისტიკურ ხასიათის სამუშაოს და ხშირად იყენებენ სულ სხვა დანიშნულების სამუშაოებზედაც.

აღნიშნულია აგრეთვე, რომ რაიონულ სტატისტიკოსების შერჩევა ადგილობრივ ორგანოების მიერ ყოველთვის არ არის რაციონალური.

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ წინადადება მისცა რესპუბლიკანურ სახკომსაბჭოებს მიიღონ ზომები შენიშნულ დეფექტების აღმოსაფხვრელად და ცხოვრებაში გაატარონ ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს დადგენილება რაიონულ სტატისტიკოსების მდგომარეობის მოწესრიგების შესახებ.

ახალი გემების შეკვეთა

მდინარე რიონზე ნაოსნობის გასაძლიერებლად

ამიერ - კავკასიის ნავთსადგურების სამმართველოში მიღებული ცნობებით, მდ. რიონზე ნაოსნობა თანდათან იზრდება და ვითარდება. ნაოსნობის სამმართველოს ამჟამად არა აქვს შესაძლებლობა აუვიდეს ამ მხრივ არსებულ მთელ მოთხოვნილებას და გააძლიეროს როგორც მგზავრების, ისე ტვირთების გადაზიდვა, ვინაიდან საამისოდ არ მოეპოვება საჭირო ტონაჟი.

ამჟამად მდ. რიონის სანაოსნო ხაზზე მუშაობს მხოლოდ ერთი გემი „შალვა ელიავა". დანარჩენი გემები, რომლებიც გასულ წელს მუშაობდენ, ამჟამად რემონტში არიან.

უახლოეს წლებში, ნავთსადგურების სამმართველოს განზრახვა აქვს გააფართოოს მდ. რიონზე მიმოსვლის ხაზი და შეიძინოს ახალი გემები, რომ შესაძლებელი გახდეს, როგორც მგზავრების გადაყვანის, ისე ტვირთების გადატანის გაფართოება. გადაწყვეტილია შეუკვეთონ ორი ახალი გემი, რომლებიც მომავალი წლის გაზაფხულზე უნდა გავიდენ ხაზზე სამუშაოდ ნავიგაციის გახსნისთანავე. თვითეული გემის ძალოვნება იქნება 200 ცხენის ძალის.

ამჟამად ნავთსადგურების სამმართველო ამუშავებს ცნობებს იმის შესახებ, თუ სად უნდა შეუკვეთონ ეს გემები და ან რა დაჯდება მათი შეძენა.

გურიის ჰიდრო-ელსადგური

წინასწარი გამოკვლევები დაიწყება ივლისიდან

ივლისის პირველი რიცხვებიდან გადაწყვეტილია დაწყებულ იქნეს გურიაში მდ. ბახვის წყალზე ჰიდრო-ელსადგურის ასაგებათ საჭირო წინასწარი გამოკვლევები. გამოკვლევის ჩატარება დაჯდება დაახლოებით 400 მანეთი.

გამოკვლევების მიზანია—სადგურის ასაგები ადგილის ამორჩევა, სადგურის ძალოვნების საბოლოო გამორკვევა და ე.-წ. საბოლოო გამოკვლევებისათვის შესაფერი ნიადაგის გამზადება. წინასწარი გამოკვლევების შემდეგ დაიწყება სადგურის ტეხნიკური პროექტის შედგენა, რისთვისაც გათვალისწინებულია — 11.000 მანეთის დახარჯვა.

სადგურის ძალოვნება ნავარაუდევია 1000 ცხენის ძალიდან 1.500 ცხენის ძალამდე. სადგურმა ენერგია უნდა მიაწოდოს ქალ. ოზურგეთს, სოფ. ბახვს, ასკანის თემის ნაწილს, ოზურგეთის აბრეშუმის ძაფსახვევ ფაბრიკას, საზოგადოება „საქართველოს ჩაის" ქარხნებს და ოზურგეთის სხვადასხვა წარმოებებს.

წინასწარი გამოკვლევებისათვის საჭირო ხარჯების გაღება გადაწყვეტილია დაეკისროს ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს, ხოლო ტეხნიკური პროექტის შესამუშავებლად თანხა — 11.000 მანეთი თანაბრათ უნდა გაიღონ ოზურგეთის აღმასკომმა, აბრეშუმის ტრესტმა და საზოგადოება „საქართველოს ჩაიმ".

გამოკვლევების ჩასატარებლათ უკვე გამოყოფილია შესაფერ სპეციალისტთა პარტია.

ნათესების მდგომარეობა

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობით პურეულის ნათესების მდგომარეობა მთელ საქართველოში 15 ივნისისათვის შეფასებული იყო საშუალოთ 3 ნიშნით. შემოდგომის ნათესი ხორბლის მდგომარეობა—3,7; გაზაფხულის ნათესი ხორბალი 3,5, შემოდგომის ნათესი ქერი—3,9, გაზაფხულის ნათესი ქერი—3,5, სიმინდის მდგომარეობა—2,5 შემოდგომის ნათესი ჭვავი—3,4, ბამბა—3, თამბაქო—1,6, ვენახები—3,5, ხილის ბაღები—2,8 და სთიბები—3.

სენაკის და ქუთაისის მაზრებში იყო დიდი გვალვა. ივნისის პირველი ნახევრის დამლევისათვის მოვიდა წვიმა, რამაც კარგი გავლენა მოახდინა ნათესებზე. აფხაზეთში იყო დიდი გვალვა, დაიღუპა ნათესების საგრძნობი ნაწილი. ზარალი ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

რა ხდება ადგილებზე

დახმარება წითელ ჯარს

ზუგდიდი, 20 ივნისი. (საკ. კორესპ.) შავი ზღვის რკინის გზის რაიონის ხაზზე მომუშავე მუშა - მოსამსახურეებმა მეორედ ჩაატარეს კვირეული წითელი არმიის დასახმარებლად. კვირის მუშაობისათვის მუშებს ხვდა 1.107 მანეთი, რომელი თანხაც გადაეგზავნა ლაგერში მყოფ ქართულ დივიზიას.

ა. კოდუა.

მასწავლებლების გადამზადება

ზუგდიდი, 20 ივნისი. (საკ. კორესპ.) სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილებამ მოაწყო მოსამზადებელი და გადასამზადებელი კურსები. კურსებს გაივლის 100 მასწავლებელი.

ა. კოდუა.

ბრძოლა ფასების დაკლებისათვის

ქუთაისი, 19 ივნისი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული ქუთაისში შეუდგა საქონლის და პროდუქტების ფასების გამოკვლევას კოოპერატიულ და კერძო სავაჭროებში და ქუთაისის ბაზარზე.

გამოკვლევაში მონაწილეობას იღებენ კავშირის ორგანიზაციები, მსუბუქი კავალერიისა და პროფკავშირთა წევრები. (ადს).

დეპეშების მიტანა ველოსიპედებით

ქუთაისი, 19 ივნისი. ქუთაისის საოლქო ფოსტა - ტელეგრაფის კანტორამ ქუთაისში შემოიღო დეპეშების მიტანა ველოსიპედებით.

ფოსტის გახსნა უწერაში

ქუთაისი, 19 ივნისი. 1 ივლისს უწერაში (რაჭის მაზრა) გაიხსნება ფოსტა - ტელეგრაფის სააგენტო. სააგენტო იმოქმედებს მთელი ზაფხულის განმავლობაში, საკურორტო სეზონის დამთავრებამდე

ხონსა და უწერას შუა „ზაკავტოპრომტორგ"-მა მოაწყო ავტომობილების მიმოსვლა

თესვის კამპანიის შედეგები

ქუთაისი, 19 ივნისი. გაზაფხულის თესვის კამპანიაში, გეგმის თანახმად, ქუთაისის მაზრაში უნდა დათესილიყო 73.000 ჰექტარი სიმინდი, 300 ჰექტარი პური და 3.000 ჰექტარი —დანარჩენი მარცვლეული. გვალვამ მთელი მაისის განმავლობაში ხელი შეუშალა გეგმის სრულად განხორციელებას.

მაზრაში დაითესა გეგმით გათვალისწინებული სივრცის მხოლოდ 70 პროცენტი. შემოდგომის ნათესი მოსავლის აკრეფა დაიწყება ივლისში, სიმინდის მოსავლის აკრეფა—ოქტომბერ-ნოემბერში. (ადს).

კავის მაგივრად გუთანი

მესტია, 19 ივნისი. გუთნების გამოცდამ გლეხურ მეურნეობებში კარგი შედეგები გამოიღო. გლეხობა დარწმუნდა, რომ გუთანი ბევრად უფრო სასარგებლოა, ვიდრე ადგილობრივი კავი. გლეხობამ გადასწყვიტა კავის მაგივრად შეიძინოს გუთანი. უკვე მიღებულია შეკვეთა 45 გუთანზე. (ადს).

სარეწაო კოოპერაციის რწმუნებულთა პირველი ყრილობა

მე-9 სხდომა

მეცხრე სხდომაზე 19 ივნისს საღამოს ყრილობამ მოისმინა ამხ. **ლაფანაშვილის** და ამხ. **თენეიშვილის** საინფორმაციო მოხსენებები სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალაროების შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სარეწაო კოოპერაციის დამხმარე სალარო დაარსდა 1928 წლის ოქტომბერში. მიმდინარე წლის აპრილამდე სალარო მოქმედებდა მხოლოდ თბილისის ფარგლებში, აპრილიდან კი მისი მოქმედება გავრცელებულ იქნა მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე. ურთიერთ დამხმარე სალაროში ჯერ-ჯერობით გაერთიანებულია 3.667 შინამრეწველ-ხელოსანი, რაც შეადგენს სარეწაო კოოპერაციაში და სარეწაო-საკრედიტო ამხანაგობაში გაერთიანებულ შინამრეწველ ხელოსანთა მთელი რაოდენობის (9.441 კაცი) მხოლოდ 30 პროცენტს. განვლილ პერიოდში ურთიერთ დამხმარე სალაროს მთელი შემოსავალი უდრის 124.344 მანეთს. ამავე ხნის განმავლობაში სალაროს თავის წევრთათვის აღმოუჩენია სხვადასხვა გვარი დახმარება, რაზედაც დაუხარჯავს—სულ 43.880 მან. სალაროს საორგანიზაციო ხარჯებს 1 აპრილამდე უდრის — 22.299 მანეთს.

დასავლეთ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის ურთიერთ დამხმარე სალარო დაარსებული იქნა ა.-წ. პირველ იანვარს. თებერვლის დამლევამდე სალარო აწარმოებდა მხოლოდ ორგანიზაციულ მუშაობას და მისი საქმიანობა დაიწყო მხოლოდ მარტში. ამჟამად სალაროში ირიცხება 2.610 წევრი. აქედან ქუთაისის მცხოვრ. 1.500 კაცი. 1-ლ ივნისამდე სალაროს შემოსავალი უდრის 14.979 მანეთს. სალაროს აპარატის შენახვა თვიურად ჯდება 1965 მანეთი. თავის წევრთათვის დახმარების აღმოჩენის საქმეზე სალაროს სამი თვის განმავლობაში დახარჯული აქვს 8.280 მანეთი.

მიმდინარე ზაფხულის პერიოდში დასავლეთ საქართველოს სარეწაო კოოპერაციის დამხმარე სალარო კურორტებზე აგზავნის 420 წევრს, რაზედაც დაიხარჯება 2.727 მანეთი.

მომხსენებლები საჭიროდ სცნობენ, რომ ახლო მომავალში მოხდეს ამ ორი სალაროს (აღმოსავლეთის და დასავლეთის) შეერთება და შემუშავებული იქნას მთლიანი სალაროს ისეთი სტრუქტურა, რომელიც უფრო შეესაბამება სარეწაო კოოპერაციის წევრთა მოთხოვნილებებს.

მეათე სხდომა

ყრილობის მეათე სხდომაზე მოსმენილ იქნა სრულიად საკავშირო კოოპერატიული ბანკის თბილისის განყოფილების წარმომადგენელ ამხ. **ბახტაძის** საინფორმაციო მოხსენება კოოპერატიული ბანკის და სარეწაო კოოპერაციის ურთიერთობის შესახებ. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ სარეწაო კოოპერაცია ჯერ-ჯერობით არა საკმაოდ არის ჩაბმული კოოპერატიულ ბანკში, რისი მიზეზიც ნაწილობრივ სარეწაო კოოპ. კავშირის საფინანსო მეურნეობის მოუგვარებლობაა.

მომხსენებელი საჭიროდ სთვლის, რომ ეს მდგომარეობა გამოსწორებულ იქნას დაჩქარებით და ბანკს საშუალება მიეცეს უფრო მეტი ფინანსიური დახმარება აღმოუჩინოს სარეწაო კოოპერაციას კრედიტების სახით.

მოხსენების გარშემო მიღებულ იქნა რეზოლუცია. შემდეგ ყრილობამ განიხილა და დაამტკიცა სარეწაო კოოპერაციის წესდება.

დასასრულ ყრილობამ მოისმინა სამანდატო კომისიის მოხსენება ყრილობის წევრთა შესახებ.

არჩევნები

გუშინ საღამოს ყრილობის უკანასკნელ სხდომაზე განხილული და დამტკიცებული იქნა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლუცია და პრაქტიკული წინადადებები. შემდეგ ყრილობამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა საკ. კომპარტიის და საქ. კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტებს, საკავშირო და საქართველოს მთავრობებს და სარეწაო კოოპერაციის საკავშირო საბჭოს.

დასასრულ მოხდა არჩევნები.

გამგეობაში არჩეულ იქნა 7 კაცი: ამხ. **ნ. აივაზოვი** (თავმჯდომარეთ), **ა. მაისურაძე, პ. კაკაბიძე, ნ. პიკულოვი, ა. კობაძე, ვ. ძნელაძე** და **ფ. ქართველიშვილი** (ქალი).

სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქნა სამი კაცი: **პ. ქუთათელაძე ქ. შავლაძე** და **ლ. აპრიამოვი.**

საბჭოში არჩეული იქნენ ამხ. გ. ყურულაშვილი, ა. კალანდაძე, ლაფანაშვილი, თარხანოვი და სხვები, სულ 60 კაცი.

არჩევნების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

მიმდინარე წლის შემოდგომაზე წითელ ჯარის რიგებში გაწვეული იქნებიან 1907 წელში დაბადებული ახალგაზრდები.

ამასთანავე წითელ ჯარში გაიწვევიან წინა წლებში დაბადებული ის ახალგაზრდები, რომლებსაც რაიმე მიზეზის გამო გაუდიდდათ ჯარში გაწვევის ვადა.

იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა ჯარში გაწვევისათვის, ჩვენი გაზეთის თანამშრომელს საქართველოს ტერიტორიალურ სამმართველოში აცნობეს შემდეგი:

საქართველოს ტერიტორიალური სამმართველო უკვე დიდი ხანია, რაც შეუდგა სამზადისს ახალგაზრდობის გაწვევისათვის წითელ ჯარში.

სამხედრო კომისარიატებს ადგილებზე დაეგზავნათ ცირკულიარები და მითითებები გაწვევის ირგვლივ.

ადგილებიდან მიღებული ცნობების თანახმად, უკვე დამთავრებულია განცხადებების მიღება იმ გასაწვევ ახალგაზრდებისაგან, რომლებსაც აქვთ უფლება ისარგებლონ შეღავათით ოჯახურ-ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით.

ამ განცხადებებს იხილავენ მუდმივი გამწვევი კომისიები, რომლებიც შეამოწმებენ დოკუმენტების სისწორეს და მიანიჭებენ შეღავათებს ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობას.

მუდმივმა გამწვევმა კომისიებმა ეს მუშაობა უნდა დაამთავრონ 1-ლი ივლისისათვის.

იმ გასაწვევ ახალგაზრდებს, რომლებთაც აქვთ უფლება შეღავათის მიღებაზე და რაიმე მიზეზის გამო არ მიეცემათ შეღავათი, უნდა განასაჩივრონ კომისიის დადგენილება 1-ლ სექტემბრამდე, ამ რიცხვის შემდეგ არავითარი განცხადება შეღავათების მიცემის შესახებ არ იქნება განხილული.

1-ლ აგვისტოსათვის უნდა დამთავრდეს ამ გასაწვევ ახალგაზრდობის რიცხვის გამორკვევა, რომლებიც სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასასვლელად გადაირიცხებიან ზურგის ნაწილებში.

15 აგვისტოდან სამხედრო კომისარიატები შეუდგებიან შეღავათების მინიჭებას სოფლის პირველი საფეხურის, შვიდწლედების და გლეხთა ახალგაზრდობის სკოლების მასწავლებლებისათვის. თანახმად კანონისა სამხედრო სავალდებულო სამსახურის შესახებ, ხსენებულ სკოლების მასწავლებლები, სანამ ისინი მასწავლებლობენ სოფლად, არ გაიწვევიან წითელ ჯარის რიგებში.

მეცნიერება და ტეხნიკა

საპლანეტთაშორისო მიმოსვლის საკითხი

ადამიანი დიდი ხანია ოცნებობდა კოსმიური სივრცის დაძლევაზე. ჯერ კიდევ 2.000 წლის წინად სწერდა მთვარეზე მოგზაურობის შესახებ ლუკიანი თავის „მენიპაში". თანამედროვე ადამიანმა შესძლო ჩვენი პლანეტის — დედამიწის ატმოსფეროს ქვედა ფენების დაძლევა საოცარი სიდიდის საჰაერო გემების — დირიჟაბლების და ჰაეროპლანების საშუალებით, მაგრამ მან დღევანდლამდე პრაქტიკულად ვერ განახორციელა მოძრაობა არა თუ კოსმიურ სივრცეში, არამედ ატმოსფეროს ზედა ფენებშიაც კი. ამის მთავარი მიზეზი დედამიწის მიმზიდველობაა, რომლის დაძლევა ადამიანმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო.

დედამიწის მიმზიდველობისგან განთავისუფლება, რაც აუცილებელი პირობაა სამყაროში მოგზაურობისთვის ადამიანის აზროვნებას შეუძლია წარმოიდგინოს მხოლოდ შემდეგი სამი გზით:

1) ისეთი საშუალების ან ნივთიერების გამონახვით, რომლითაც დაცული იქნება მიმზიდველობისგან მასში მოთავსებული საგნები, 2) მიწის მიმზიდველობითი სიძლიერის შესუსტებით და 3) დედამიწის მიმზიდველობის თანამედროვე სიძლიერის დაძლევით.

დღევანდელი მეცნიერული აზრი სრულიად უარყოფს ისეთი ნივთიერების გამონახვის შესაძლებლობას, რომელშიც მოთავსებული ფიზიკური სხეულები განთავისუფლდებოდნენ დედამიწის მიმზიდველობისგან.

მეცნიერულის თვალსაზრისით ასეთი ნივთიერების პოვნა სრულიად შეუძლებელია. ასეთივე უსუსურია და მაშასადამე უიმედო სამყაროში მოგზაურობის განხორციელება დედამიწის მიმზიდველობის შესუსტების გზით.

თანამედროვე მექანიკა არკვევს, რომ მიმზიდველობის სიძლიერე ჩვენი პლანეტის ზედა პირზე დამოკიდებულია არა მარტო მისი მასისაგან, არამედ იმ მანძილისგანაც, რომლითაც დაშორებულია ესა თუ ის ადგილი მიწის ცენტრიდან, ე. ი. მიწის რადიუსის ოდენობისგან. რომ დედამიწის ბირთვი იმდენად გაგვეფართოებია, რომ მისი მოცულობის გაზრდით რადიუსის სიგრძე გაორმაგებულიყო, მაშინ ჩვენი პლანეტის მიმზიდველობა ოთხჯერ შემცირდებოდა და მაშასადამე ოთხჯერ უფრო ადვილი იქნებოდა დედამიწის მიმზიდველობის დაძლევა. მეცნიერებამ იცის ისეთი გეოლოგიური ეპოქა დედამიწის ცხოვრებაში, როცა მისი რადიუსი ¼-ით მეტი იყო, ვიდრე ახლა არის და რადგანაც ცენტრისგან დაშორებით სიმძიმის დაწოლა მანძილის კვადრატთან პროპორციულად კლებულობს, აღნიშნულ ეპოქაში მიმზიდველობა ედრებოდა $(4/5)^2=16/25$ ანუ დაახლოვებით $2/3$-ს, დღევანდლისას. აქედან ცხადია, რომ იმ შორეულ წარსულში გაცილებით უფრო ხელსაყრელი პირობები იყო სამყაროში მოგზაურობისთვის, რადგან დღევანდელ სამ ფუთიანი ადამიანი და საზოგადოთ ყოველივე სხეული მაშინ მხოლოდ ორ ფუთს იწონიდა.

ციალკოვსკი

საპლანეტთაშორისო მაშხალა-დირიჟაბლის პროექტის ავტორი

თეორიული მექანიკის თანახმად, მეორე ხერხიც არსებობს დედამიწის მიმზიდველობის შესამცირებლად, რომელიც მდგომარეობს მიწის თავის ღერძის გარშემო სრბოლის სისწრაფის გადიდებაში. ცნობილია, რომ ეკვატორზე ცენტრმსრბოლავი ძალის გავლენით *) ყოველი სხეული მსუბუქდება 1/290-დით. ასე მაგ. გემი, რომელიც არხანგელსკში 20.000 ტონას იწონის, ეკვატორთან 80 ტონით მსუბუქდება. აქედან ნათელია, რომ თუ დედამიწა 17-ჯერ უფრო სწრაფად იმოძრავებს თავისი ღერძის გარშემო, მაშინ ეკვატორზე ცენტრ მსრბოლავი ძალა გადიდდება $(17)^2$ ანუ თითქოს 290-ჯერ და მაშასადამე სიმძიმე შემცირდება ამდენჯერვე ანუ ეკვატორზე ყოველივე სხეული სრულიად განთავისუფლდება სიმძიმისგან. რასაკვირველია, ასეთ პირობებში არა თუ ადვილი იქნებოდა გაქცევა დედამიწის ტყვეობიდან ადამიანის, არამედ ეს იქნებოდა სრულიად ბუნებრივი მოვლენა. მაშასადამე, რომ შესაძლებელი გახდეს დედამიწის მიმზიდველობის შესუსტება, ამისთვის საჭიროა ან დედამიწის ბირთვის მოცულობის რამდენჯერმე გადიდება ან მისი ღერძის გარშემო სრბოლის სისწრაფის მომატება, მაგრამ არც ერთი და არც მეორე დღევანდელ მეცნიერებას შესაძლებლად არ მიაჩნია და ამის გამო მიმზიდველობის შესუსტების გზით სამყაროს დაპყრობა უიმედო ოცნებათ უნდა ჩაითვალოს.

აქედან ნათელია, რომ მეცნიერებამ მხოლოდ მიმზიდველობის სიძლიერის დაძლევის გზით უნდა ეძიოს პლანეტთაშორისო სივრცეში მოგზაურობის განხორციელება.

ამისთვის კი საჭიროა სამოგზაურო აპარატს მიენიჭოს ისეთი სისწრაფე, რომელიც დასძლევს დედამიწის მიმზიდველობას. ასეთი აპარატის სისწრაფე უნდა აღწევდეს 11 კილომეტრს წუთში გასატყორცნად მის მსოფლიო სივრცეში, ხოლო 17 კილომეტრი წუთში, პლანეტათა სისტემაში სამოგზაუროდ, მაგრამ 17 კილომეტრის სისწრაფე წუთში არც ისე ადვილი საქმეა — და აი სწორედ აქ სწყდება, თეორეტიულად, კოსმიური სივრცის დაპყრობის პრობლემა.

მეცნიერულ ნიადაგზე აღნიშნული საკითხის დასმა და მისი თეორეტიულად გადაჭრა უსათუოდ რუს მეცნიერს **ციოლკოვსკის** ეკუთვნის, თუმცა სულ პირველად პლანეტთაშორისო მოგზაურობაზე და მისთვის საჭირო აპარატზე აზრი გამოსთქვა რუსმა რევოლიუციონერ - გამომგონებელმა **კიბალჩიჩმა** სულ რამოდენიმე ხნით ადრე, ვიდრე მას მეფის ჯალათები სიკვდილით დასჯიდენ 1881 წ. ამებთან დაკავშირებით: ციოლკოვსკის ნააზრევისგან დამოუკიდებლად იმავე დასკვნამდე მივიდა გერმანელი **პროფესორი ობერტი, გომანი** და სხვები. საერთო პრინციპი მდგომარეობს ე. წ. „უკუქცევაში". ალბათ თვითეულს გამოუცდია თოფის გასროლის შემდეგ თოფის „უკუქცევა" ტყვიის მიმართულებიდან. სწორედ ამ პრინციპზეა აგებული პატარა მაშხალების გასროლა. მაშხალა სივრცეში მისრიალებს იმიტომ, რომ წამლის აფეთქება მის უკანა ნაწილში იწვევს მის მოძრაობას აფეთქების საწინააღმდეგო მიმართულებით. კოსმიურ სივრცეში მოგზაურობისთვის თეორეთიკოსების აზრით სწორად ასეთივე მაშხალით უნდა ვისარგებლოთ, მხოლოდ, რასაკვირველია, მაშხალა გაცილებით უფრო დიდი უნდა იქნას. ამჟამად ამგვარი მაშხალა-დირიჟაბლის აგების საკითხი თეორეტიულად გადაჭრილად ითვლება; გადაჭრილად უნდა ჩაითვალოს ამ კოსმიური გემისთვის წუთში 17 კილომეტრის სისწრაფის მინიჭების საკითხიც და სხვა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული კოსმიურ სისწრაფით მოძრაობასთან. ცხადია პრაქტიკული განხორციელებისას აღნიშნულ თეორეტიულ ნააზრევში ბევრი ცვლილებების შეტანა დასჭირდება ადამიანს, ალბათ ბევრს მსხვერპლსაც გაიღებს მეცნიერება, მაგრამ ეს მეორე ხარისხოვან საკითხებათ უნდა ჩაითვალოს. შეიძლება ითქვას, რომ არც ისე შორეული მომავლის საქმეა ზემოთქმულის პრაქტიკულად განხორციელება, თუ 26 წლის წინად ადამიანმა თავის პრიმიტიულ ჰაეროპლანზე მხოლოდ 6 წამი დაჰყო ჰაერში, დღეს იგი ათეული საათების განმავლობაში ფრინავს მიწაზე დაუშვებლად.

პლანეტთაშორისო მიმოსვლის პრაქტიკულად განხორციელებამდე, პროფ. ობერტი საჭიროდ სცნობს ავტომატიური მაშხალის გაგზავნას ჩვენი ატმოსფეროს ზედა ფენებში. მაშხალაზე მიმაგრებული უნდა იქნას სპეციალური ავტომატიური იარაღები, რომლებიც თვით ჩასწერენ სხვადასხვა მეტეოროლოგიურ ცნობებს. ასეთ მაშხალას ასაფეთქებელი მასალის გამოლევის შემდეგ ჩამოშორდება აღნიშნული ავტომატიური იარაღები, რომლებიც მოუტანენ ადამიანს უტყუარ ცნობებს ატმოსფეროს ზედა ფენების შესახებ. ასეთი სახის ცდები პროფ. ობერტის აზრით აუცილებელია წინასწარ სანამ ადამიანი გაგზავნიდეს მგზავრებს კოსმიურ სივრცეში. მაგრამ სამწუხაროდ ასეთი აპარატი არც ისე იაფი ღირებულებისაა: ის დაახლოვებით 10.000 მანეთად უნდა შეფასდეს.

ცხადია მაშხალების ასეთი სიძვირე ხელს უშლის სათანადო ცდების ჩატარებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ცნობილი მეცნიერი მაქს ვალიე ამ იდეას ეკონომიური თვალსაზრისით მიუდგა. მან მშვენივრად დასახა ის შედეგები, რომელიც მიღწეული იქნება კოსმიური სისწრაფის მაშხალით. მაქს ვალიეს აზრით ევროპიდან ამერიკამდე ასეთი მაშხალის გადატყორცნას. მხოლოდ ერთი საათი დასჭირდება. მისივე გამოანგარიშებით, 25.000 მანეთიანი ღირებულების მაშხალა გადასტყორცნის 5.000 ბარათს ე. ი. თვითეული „რაკეტოგრამის" გადატანა უფრო იაფი დაჯდება, ვიდრე კაბლოგრამმა.

შ. გ—ძე.

---

*) აქ მეორე ფაქტორიც არის — როგორიცაა დედამიწის გამობურთულობა ეკვატორთან.

მოლაპარაკე კინო შეერთებულ შტატებში

მოლაპარაკე კინომ თვალსაჩინო ადგილი დაიპყრო შეერთებულ შტატებში. დიდ კინოთეატრების უმრავლესობაში უმთავრესად მოლაპარაკე კინო-ფილმებს უჩვენებენ. ამის გამო საგრძნობლად გაიზარდა უმუშევარ მუსიკოსების რიცხვი.

მოლაპარაკე კინომ დაიპყრო ორი ათასამდე კინო-თეატრი. 25 დიდი კინო-ფირმის საწარმოო გეგმა ითვალისწინებს 1929—30 წელში 504 მოლაპარაკე და 403 ჩვეულებრივი ფილმის გამოშვებას, ამ უკანასკნელ 403 ფილმიდან კი 360 მოლაპარაკე კინო-ფილმის „მუნჯი" დუბლიკატი იქნება

მოლაპარაკე ფილმები შეერთებულ შტატებში მრავლად გამოუშვეს შარშან, მაგრამ საზოგადოება მათ მაინც ცივად შეხვდა. ეს ნაწილობრივ მათი პირვანდელი ტეხნიკური ნაკლოვანებებით აიხსნება, ნაწილობრივ კი — სიახლით. პირველ მოლაპარაკე ფილმებში არ იყო სრული სინხრონიზაცია (თანხმობა) მოქმედებასა და ხმებს შორის. ასე მაგალითად, მსახიობის რეპლიკა ისმოდა მაშინ, როცა მსახიობი უკვე აღარ იყო ეკრანზე. მაგრამ უკანასკნელ ხანებში ამ მხრივ მიღწეულია მნიშვნელოვანი შედეგები და შეუთანხმებლობა მოქმედებასა და ხმას შორის თითქმის სავსებით მოისპო.

მოლაპარაკე კინო-ფილმების უმრავლესობა წარმოადგენს ჩვეულებრივ კინოსა და მუსიკალური კომედიის შეთავსებას. მოლაპარაკე კინო ოპერეტის ყველაზე საშიში კონკურენტია, რადგან უკანასკნელის მსახიობთა უმრავლესობა სცენას ეკრანზე სცვლის. ოპერეტის მსახიობთათვის დიდ ცდუნებას წარმოადგენს აგრეთვე დიდი ჰონორარი, რომელსაც კინომრეწველები აძლევენ მოლაპარაკე კინოს მსახიობებს. ერთგვარ წარმოდგენას მოლაპარაკე კინოს მსახიობების ჰონორარის შესახებ იძლევა შემდეგი მაგალითი: ჯაზბანდის პოპულიარულ დირიჟორს პოლ უიტმანს აღუთქვეს 200.000 დოლარი ავანსად და 40 პროცენტი იმ სურათების მოგებიდან, რომელშიც იგი იქნება გადაღებული.

მოლაპარაკე კინო-სურათების პოპულიარობის ზრდამ გამოიწვია უცხოეთიდან კინო-სურათების შემოტანის შემცირება.

ა. ნ.

გიდროპლანი „ამფიზია"

ახალგაზრდა ლენინგრადელმა კონსტრუქტორმა ამხ. შავროვმა დაასრულა მსუბუქ გიდროპლანის „ამფიზია"-ს აგება. ახალი გიდროპლანის უპირატესობა ის გარემოება წარმოადგენს, რომ მას შეუძლია აფრენა როგორც წყალის ზედა პირიდან, ისე მიწიდან.

მიუხედავათ იმისა, რომ გიდროპლანზე დადგმულია მხოლოდ 180 ძალიანი მოტორი, „ამფიზია"-ს შეუძლია 3 კაცის აყვანა და 150 კილომეტრის სისწრაფის განვითარება საათში. უკვე დაწყებულია გიდროპლანის გამოცდა. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალ გამოგონებას და თუ გამოცდა წარმატებით დასრულდა, „ამფიზია" დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი ავიაციის განვითარებას.

ახალი საერთაშორისო ენა

კემბრიჯის უნივერსიტეტის (ინგლისი) ფილოლოგიურმა ფაკულტეტმა შეიმუშავა ახალი საერთაშორისო ენა. წინააღმდეგ ამჟამად არსებულ ხელოვნური საერთაშორისო ენებისა (ესპერანტო, ვოლაპიუკი და სხვ), ახალი ენა აშენებულია არა მკვდარ ფილოლოგიურ მასალიდან, არამედ ცოცხალ ენიდან—ინგლისურიდან, ახალი ენის ლექსიკონი 1.000 სიტყვას შეიცავს და მის შესასწავლად საშუალო ნიჭის მქონე ადამიანისათვის ორი კვირაა საკმაო.

ხელოვნური ტყავის დამზადება

საკავშირო ტყავის მრეწველობის სინდიკატი 10 ივნისისათვის მოსკოვში იწვევს ფეხსაცმელებს დამმზადებელ ორგანიზაციების საკავშირო ყრილობას.

დღის წესრიგში, სხვათაშორის, დასმულია ტყავის მრეწველობაში სუროგატების გამოყენების საკითხი.

ამ საკითხის დასმა უკრაინის ტყავის მრეწველობის ტრესტის საუტილიზაციო ქარხანაში მოახდინეს ტყავის ნარჩენებიდან ხელოვნური ტყავის დამზადების ცდები, რომლებმაც დადებითი შედეგები გამოიღო. უკრაინის ტყავის მრეწველობის ტრესტმა დიდი თანხები გადადვა ხელოვნური ტყავის დამზადების საქმეზე და განზრახული აქვს ხელოვნური ტყავის პროდუქცია აიყვანოს 2.500 ტონამდე. ხელოვნური ტყავი სამჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ბუნებრივი.

უხმო აეროპლანები

კომერციული ავიაციის გრანდიოზული ზრდა ინჟენერებისა და კონსტრუქტორების წინაშე აყენებს უხმო აეროპლანის შექმნის პრობლემას. აეროპლანის ხმაურობა წარმოადგენს საჰაერო მიმოსვლის ერთ-ერთ, შეიძლება ითქვას—ერთად-ერთ უხერხულობას. განსაკუთრებით ითქმის ეს შორეული რეისების შესახებ, რომლის შემდეგ მგზავრები გარეტიანებელი არიან მოტორების გამაყრუებელი გუგუნით. არანაკლებ ინტერესს წარმოადგენს ხმაურობის დახშობა სამხედრო ავიაციისათვისაც, ვინაიდან მოტორის გუგუნი შესაძლებლად ხდის მტრის აეროპლანების მოახლოების გაგებას. ამჟამად უხმო აეროპლანების პრობლემაზე მუშაობს რამდენიმე ამერიკელი ინჟენ. პირველივე ნაბიჯებზე ისინი დიდ დაბრკოლებებს წააწყდენ. გამოირკვა, რომ ხმაურობის წყაროს წარმოადგენს არა მარტო მოტორი, არამედ პროპელერიც, უკანასკნელის ტრიალი წარმოშობს ძლიერ თანაბარ ხმაურობას, ჰაერში მათრახის მოქნევით გამოწვეული შხუილის მსგავსს. თუ მოტორის ხმაურობის ჩახშობა ადვილი საქმეა, პროპელერის ხმაურობასთან ბრძოლა თითქმის შეუძლებელია, ამ ხმაურობასთან ბრძოლის ერთად-ერთი საშუალებაა პროპელერის დაფარვა რეზინის თხელი ფენით, რომელიც რამდენიმედ შეარბილებს ხმაურობას. ასეთ მოწყობილობას ამჟამად პრაქტიკულად სცდიან. ხმაურობის შესუსტების მეორე საშუალებას წარმოადგენს ისეთი კაბინის მოწყობა მგზავრებისა და მფრინავებისათვის, რომელშიც ხმაურობა ვერ გაატანს.

1933 წ. საერთაშორისო გამოფენა

1933 წ. ჩიკაგოში (შეერთებული შტატები) განზრახულია ვაჭრობისა და მრეწველობის საერთაშორისო გამოფენის მოწყობა. თავისი სიდიდითა და ექსპონატების სიმრავლით ეს გამოფენა რაღაც არაჩვეულებრივი იქნება. გამოფენა მოეწყობა ჩიკაგოს მიდამოებში და მიჩიგანის ტბის კუნძულებზე. სამშენებლო პროექტებიდან, რომლებიც გამოფენის კომიტეტმა მიიღო, საინტერესოა გამოჩენილ ამერიკელ არქიტექტორების ჯგუფის მიერ წამოყენებული პროექტი, რომლის თანახმად გამოფენის ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს „მომავალი ქალაქის კუთხე". ამ ქალაქის არქიტექტურაში გამოხატულებას ჰპოვებს საამშენებლო აზროვნების ყველა უახლოესი მიმართულებები. იქ იქნება სახლები მინიდან და ბეტონიდან, კოშკები ფოლადიდან და სხ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქუჩებში მოძრაობის პრობლემას. ამ მიზნით გაყვანილი იქნება მრავალსართულიანი ქუჩები ცალკე საავტომობილო და სარკინიგზო მიმოსვლელისათვის და ფეხით სასიარულოდ და აგრეთვე მოძრავი ფილაქანი.

ბრძოლა ქალაქების ჰაერის დაბინძურებასთან

უკანასკნელ ხანებში ინგლისში წარმოიშვა საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მთავრობისგან მოითხოვს სასწრაფო ზომების მიღებას ქალაქების ჰაერის დაბინძურების წინააღმდეგ. ამ მოძრაობის ინიციატორები მიუთითებენ, რომ ქვანახშირის მოხმარების ზრდის გამო ჰაერის დაბინძურება სერიოზულ საფრთხეს უქადის სახალხო ჯანმრთელობას და დიდ ზიანს აყენებს ქვეყნის სახალხო მეურნეობას. საფაბრიკო მილების კვამლი შეიცავს სამ მავნე ელემენტს: მჭვარტს, ნახშირბადის ჟანგს და გოგირდოვან გაზს. თუ ორი პირველი ელემენტის მავნე გავლენა სხვადასხვა ღონისძიებებით შეიძლება ნოლამდე იქნას დაყვანილი, გოგირდოვანი გაზი ქვანახშირის წვის აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს. ინგლისი ყოველწლიურად სწვავს 150 მილიონ ტონამდე ქვანახშირს. გოგირდის რაოდენობა ქვანახშირში საშუალოდ შეადგენს ორ პროცენტს, რაც შეადგენს (წლიურად 3 მილიონ ტონა გოგირდს ან 9 მილიონ ტონა გოგირდის სიმჟავეს. ყოველწლიური ზარალი ჰაერის დაბინძურებიდან გოგირდის სიმჟავით ინგლისში შეადგენს 100 მილიონ მანეთს.

მიმოსვლა ატლანტის ოკეანეზე

ცნობილი ამერიკული არმსტროგის კომპანია, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს „ჯენერალ ელექტრიკ"-თან, აცხადებს, რომ 1930 წლიდან ხსნის რეგულიარულ საჰაერო მიმოსვლას ევროპა-ამერიკას შორის. ფრენის უშიშროების გულისათვის კომპანიამ ხელი აიღო შორ მანძილზე მფრინავ აეროპლანების გამოყენებაზე. კომპანიის ინჟენერებმა სხვა გზა აირჩიეს რეგულიარული მიმოსვლის მოსაწყობად. ატლანტის ოკეანეში, ერთმანეთისაგან თანაბარ მანძილზე მოეწყობა მფრინავი აეროდრომები—სადგურები აეროპლანების დასაშვებათ, საწვავი მასალის მარაგის შესავსებათ, მგზავრების დასასვენებლად და სხ. „მცურავი აეროდრომები" წარმოადგენენ განსაკუთრებული კონსტრუქციის უზარმაზარ გემებს, რომლებიც ლუზებით იქნებიან დამაგრებული ადგილზე. ორი ასეთი „მცურავი აეროდრომი" შენდება და უკვე მიმდინარე წელს იქნება მოწყობილი ამერიკასა და ბერმუდის კუნძულებს შუა, თითეული აეროდრომი დაიტევს რამდენიმე ათეულ აეროპლანს.



მცურავი აეროდრომის პროექტი

ქრონიკა

მისალმება საქ. სახკომსაბჭოს

საქ. სახკომსაბჭომ ცხინვალიდან, წითელი ჯვრის მე-5 საოლქო კონფერენციის პრეზიდიუმიდან მიიღო შემდეგი მისასალმებელი დეპეშა: სამხრეთ - ოსეთის წითელი ჯვრის მე-5 საოლქო კონფერენცია გიძღვნით მხურვალე სალამს და აღგითქვამთ, რომ მიიღებს ყოველგვარ ზომებს საბჭოთა კავშირის მშრომელთა თავდაცვის უნარიანობის ასამაღლებლად.

ამერიკელთა დელეგაცია

თბილისში ჩამოვიდა ამერიკელთა დელეგაცია პროფ. ალლენის მეთაურობით. ალლენი აღმოსავლეთში კულტმუშაობის ინსტიტუტის დირექტორია. დელეგაციის ჩამოსვლის მიზანია ამიერ - კავკასიაში და კერძოდ საქართველოში გაეცნოს სასოფლო - მეურნეობის მდგომარეობას და სათანადო დაწესებულებებს მისცეს შესაფერი რჩევა - დარიგება აგრო - კულტურულ ცოდნის დარგში.

დელეგაციამ პროფ. შ. ნუცუბიძის ხელმძღვანელობით გუშინ დაათვალიერა სახ. უნივერსიტეტის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტი და სხვა ორგანიზაციები.

გუშინვე დელეგაცია შეუდგა თბილისის მიდამოებში არსებულ სასოფლო -მეურნეობის სხვადასხვა დაწესებულებების დათვალიერებას და მათი მუშაობის შესწავლას.

სპარსეთის გენერალური კონსულის გამგზავრება მოსკოვში

19 ივნისს სპარსეთის გენერალური კონსული თბილისში ფენდრესკი სამსახურის საქმეების გამო მოსკოვში გაემგზავრა. სადგურზე ფენდრესკი გააცილეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახ. კომისარიატის რწმუნებულმა ამიერ - კავკასიაში ამხ. კარკლინმა, რწმუნებულის მოადგილემ ამხ. კვიტაშვილმა, თურქეთის გენერალურმა კონსულმა ნაზიმ-ბეიმ და სხვ. სპარსეთის გენერალური კონსულის მოვალეობის შესრულება ფენდრესკის მივლინებაში ყოფნის დროს დაეკისრა გენერალურ საკონსულოს მდივანს აბუტორაბ-ხან ნაბავის. (ადს).

რადიოფიკაცია

ფ.-ტელეგრაფის კომისარიატთან არსებული რადიო - ცენტრი შეუდგა თბილისის რადიოფიკაციას. პირველ რიგში რადიოფიკაცია ჩატარდება ლენინის უბანში.

თბილისის აღმასკომში

◆ გადამდებ ხენების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ჯანმრთელობის განყოფილებას დაევალა მოახდინოს მექისეების ჯანმრთელობის შემოწმება.

◆ თბ. აგარაკები. თბ. აღმასკომმა დაადგინა დაწესებული იქნას თბ. მაზრის აგარაკების სანიტარული ზონა და მიმდინარე წლიდან დაიწყოს მათი კეთილმოწყობა.

◆ საფუთო გადასახადი თბ. აღმასკომის დადგენილებით მთლიანად მოხმარდება მაზრაში საგზაო მშენებლობას.

◆ კოჯორში წყალსადენის გასაყვანად გადაიდო 80.000 მანეთი.

მიწად - მოქ. კომისარიატში

◆ კონტრაქტაციაქმნილ სასოფლო მეურნეობებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მიწსახკომმა გორის მაზრაში გაგზავნა 3 აგროტეხნიკი.

◆ საცდელ - საჩვენებელი დაწესებულებები. მიწსახკომმა დაადგინა გააფართოოს საცდელ - საჩვენებელი დაწესებულებების ქსელი და მოაწყოს ახალი აგრო - კაბინეტები.

მთიელთა საზ-ბაში

◆ ექსკურსია. 1 ივლისს მთიელთა საზოგადოება აწყობს დიდ ექსკურსიას ფშავ-ხევსურეთში და მის მახლობელ ადგილებში.

◆ ახალი სამკითხველოები. მთიელთა საზ-ბამ გადასწყვიტა წელს მთიან ადგილებში გახსნას 7 ახალი სამკითხველო.

სხვადასხვა

— გეგმიან სასოფლო - მეურნეობის შესახებ ამიერ - კავკასიაში, გამოვიდა სპეციალური წიგნი.

— საქ. ისტორიის და ეთნოგრაფიის საზ-ბის კრებაზე, დღეს, საღ. 7-ს. საქ. მუზეუმის შენობაში, ს. ჯანაშია წაიკითხავს საანგარიშო მოხსენებას სამეცნიერო მოგზაურობის შესახებ ჩერქეზეთში. კრება საჯაროა.

— სამეცნიერო სხდომა. დღეს, საღამოს 8 საათზე პროფსნეულებათა ინსტიტუტში შესდგება მორიგი სამეცნიერო სხდომა, რომელზედაც ექიმი ი. ტოროშელიძე და ს. ფარჯვა გააკეთებენ მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ქვების საკითხი მეთამბაქოეთა შორის“.

ღონისძიებები ყვავილის გავრცელების წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანებში ქალაქში ხმები გავრცელდა ყვავილის ეპიდემიის შესახებ, რის გამო მცხოვრებთა შორის ადგილი აქვს შიშს.

ამის გამო, ჩვენი გაზეთის თანამშრომელი შეეკითხა ჯანმრთელობის განყოფილებას, თუ რამდენათ შეესაბამება სიმართლეს აღნიშნული ხმები, ან მოსალოდნელია თუ არა ყვავილის ეპიდემია.

ჯანმრთელობის განყოფილების ცნობით, ყვავილის გავრცელების შესახებ გამოწვეული შიში უსაფუძვლოა.

ამჟამად საქართველოს არც ერთ კუთხეში და კერძოდ თბილისში ყვავილის ეპიდემია არ არის.

გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე თბილისში სულ აღრიცხულია ყვავილით დაავადების 7 შემთხვევა, რაც გაცილებით მცირეა გასულ წლებთან შედარებით. საქართველოში საერთოდ წელიწადში ყვავილით დაავადების შემთხვევები არ აღემატება 60—70 შემთხვევას, გასული წლის ოქტომბრიდან დღემდე, გარდა თბილისისა, ყვავილით დაავადმყოფების შემთხვევა რესპუბლიკის სხვა ადგილებში არ ყოფილა.

ყვავილი ამჟამად მძვინვარებს სპარსეთსა და ინგლისში.

ვინაიდან ამ ქვეყნებიდან ყვავილი შეიძლება გავრცელებული იქნას საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში, ამიტომ რესპუბლიკის მასშტაბით მიღებულია სათანადო წინასწარი ზომები.

თბილისის ჯანმრთელობის განყოფილება უკვე შეუდგა წინასწარი ღონისძიებების ჩატარებას — ყველა საბავშო კონსულტაციებში და ამბულატორიებში სწარმოებს ყვავილის საწინააღმდეგო აცრა დაზღვეულთათვის, აგრეთვე დანარჩენ მოქალაქეთათვის გამოყოფილია ასაცრელი ცალკე პუნქტები.

აცრის მასიურათ ჩატარების მიზნით, ჯანმრთელობის განყოფილებამ გამოყო ამცრელ ექიმთა რაზმები, რომელნიც აცრას აწარმოებენ მსხვილ წარმოება - დაწესებულებებში.

ყვავილის მოსალოდნელ ეპიდემიის თავიდან აცილების მიზნით ყველა მოქალაქე ვალდებულია აიცრას და აუცრას თავიანთ ოჯახის წევრებს.

ყვავილის საწინაღმდეგოთ უნდა აიცრას როგორც ჯერ სრულებით აუცრელებმა, ისე იმათ, რომლებმაც პირველად აიცრეს 6—7 წლის წინად.

გარდა ამისა თვით მოსახლეობამ უნდა ადევნოს თვალყური, რათა ვინმემ ყვავილით დაავადებული სახლში არ გააჩეროს და დაუყოვნებლივ მოათავსოს სათანადო ბარაკში, სადაც ავადმყოფის სიცოცხლე გაცილებით უზრუნველყოფილი იქნება, ვიდრე კერძო ბინაში. ამ მიზნით აგრეთვე თავიდან ავიცდენთ ყვავილის გავრცელების საშიშროებას.

რკინის გზებზე

მძიმე მატარებლების მოძრაობის შემოღება

როგორც მკითხველებმა იციან, გზათა სახალხო კომისარიატის კომისიამ მაისში სურამის საუღელტეხილო უბანზე (ხაშური-ზესტაფონი) ჩაატარა დიდი სიმძიმის შემცველ საქონლის მატარებლების ოთხი ორთქლმავლით წაყვანის ცდები.

ცდების დამთავრების შემდეგ, ცდების შედეგების შესახებ კომისიამ მოხსენება გაუკეთა ამიერ-კავკ. რკინის გზის გამგეობას.

ცდებმა კარგი შედეგები გამოიღო.

გზის გამგეობამ ამ მოხსენების თანახმად დაადგინა ზესტაფონიდან - ხაშურამდე (აღმართზე) დააწესოს 650—680 ტონის სიმძიმის მატარებლების მოძრაობა. ეს მატარებლები აღმართზე ავლენ სამი ორთქლმავალით.

ხაშურის უბანი გზის გამგეობის მიერ ცნობილია საცდელ უბნად. იქ ახლო მომავალში წარმოებული იქნება ახალი ცდები მძიმე მატარებლების ამოძრავების შესაძლებლობის გამოსარკვევად.

ამ მიზნისათვის წევის და მოძრაობის დარგებს მიცემული აქვთ წინადადება თანდათანობით ადიდონ მატარებლების შემადგენლობა, მათი სამი ორთქლმავლით წაყვანით, ხოლო თუ შემდგომში საჭირო გახდა შემადგენლობების კიდევ უფრო გადიდება, უნდა დაუმატონ მეოთხე ორთქლმავალი. ამ შემთხვევაში მატარებლების სიმძიმე აყვანილი უნდა იქნას 900 ტონამდე.

გამგეობამ ამასთანავე საჭიროდ სცნო, რათა ხაშურის უბანზე განსაკუთრებით იმუშაონ მძლავრი სერიის („ე“) ორთქლმავლებმა, რისთვისაც გზათა კომისარიატის წინაშე დასმულია საკითხი ორთქლმავლების პარკის განახლება-გაძლიერების შესახებ.

განზრახულია გზის დასავლეთ უბანზე წევის დარგის უბნების გადიდება, ზესტაფონში ორთქლმავლების დეპოს გაუქმებით. საუღელტეხილო უბანზე მომუშავე მემანქანეებისათვის გათვალისწინებულია ახალი სახის ჯილდოს დაწესება, რომელსაც საფუძვლად დაედება მატარებლების ცხრილის მიხედვით ტარება და მათი დანიშნულების ადგილზე უშიშრად ჩაყვანა. ამ სახის ჯილდოს შემოღების შემდეგ, აქამდე არსებული ჯილდო საწვავ მასალის მომჭირნეობით ხარჯვისათვის გაუქმდება.

მძიმე მატარებლების მოძრაობის შემოღებისას, დაღმართზე შემადგენლობაში ავტომატიური მუხრუჭების რაოდენობა უცვლელი რჩება; ხელის მუხრუჭების რიცხვი კი მცირდება.

გზათა კომისარიატის წინაშე დასმულია საკითხი საუღელტეხილო უბანზე ლიანდაგის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო თანხების გამოსანახათ.

გზის მოძრაობის და წევის დარგებს დავალებული აქვთ სპეციალური ინსტრუქციის გამომუშავება, რომელიც უზრუნველჰყოფს საუღელტეხილო უბანზე მუშაობის ახალ ფორმას.

ამხ. პოლუიანის ჩამოსვლა

ამ დღეებში თბილისში მოელიან გზათა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრს ამხ. პოლუიანს.

გამოწვევას გვერდს უხვევენ

სამტრედიის და თბილისის საუბნო კომიტეტებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს განჯის და ბაქოს საუბნო კომიტეტები.

საკმაო დრომ განვლო მას შემდეგ, რაც ამის შესახებ ეცნობათ გამოწვეულებს, მაგრამ აქამდე არავითარ პასუხს არ იძლევიან.

დამატებითი მატარებელი

ბაქოდან როსტოვამდე დანიშნულია და უკვე მოძრაობს დამატებითი სახალხო მატარებელი № 65.

გაფლანგვა

სადგურ ბალაჯარის ბილეთების სალაროში რევიზიამ აღმოაჩინა 2.071 მანეთის დანაკლისი. როგორც გამოირკვა ეს თანხა გაუფლანგავს მოლარე-ქალს მანსუროვას.

გამფლანგველი დაპატიმრებულია და სწარმოებს საქმის გამოძიება.

ხელოვნება

მოსკოვის რევოლუციის თეატრის გასტროლები

„როცა მამლები ჰყივიან“ — იურინის

დადგმა — ტერეშკოვიჩის მხატ. რასპოპოვი.

ევროპის მუშათა კლასი ყოველწლიურად გზავნის თავის წარმომადგენლებს საბჭოთა კავშირში. მათ მიზანს შეადგენს ყოველი ნახული და გაგონილი სიმართლით უამბონ თავის გამომგზავნელებს.

თუ როგორ პირობებში უხდებათ დელეგატებს თავისი დავალების შესრულება სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ეს ჩვენში ძალიან ცოტამ იცის. იურინის პიესა „როცა მამლები ჰყივიან“ ამ თემის ირგვლივაა გაშლილი.

გერმანიის მუშათა დელეგაცია, აღტაცებული საბჭოთა კავშირის აღმშენებლობით, უკან დაბრუნებისთანავე ცდილობს სთქვას მართალი სიტყვა ჩვენს შესახებ. ეს არ მოსწონს მენშევიკებს, რომელსაც ჩუმი კავშირი აქვთ კაპიტალისტებთან და იღებენ ყოველივე ზომას დელეგაციის თვითეული წევრის დასაშინებლად. დაშინება არ მოქმედობს ლანდეცკიზე (ზუბოვი). იგი ღრმად არის დარწმუნებული საბჭოთა კავშირში ნახულის და გაგონილის სიმართლეში. მუშათა საერთო კრებაზე ის ამბობს ამ სიმართლეს. მცირე ყოყმანის შემდეგ დელეგაციის სხვა წევრებიც ფარდას ხდიან „ლიდერების“ ოინებს და სრულ სიმართლეს უამბობენ კრებას. ლიდერები ჩუმად გაიპარებიან. თავმჯდომარის ადგილს იჭერს ლანდეცკი. ჩინელი ურჩანგი (ლუკიანოვი) აკეთებს მოხსენებას და არწმუნებს კრებას, რომ ევროპის მუშათა კლასისათვის შორს აღარ არის ის დრო, როცა მამლები დაიწყებენ ყივილს (განთიადი).

პიესის მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით ავტორის ყურადღება გადატანილია შემთანხმებელთა ბუნების გამორკვევისაკენ. იგი აყალიბებს მენშევიკთა ტიპების მთელ გალერეას. მიმართავს ისეთ ხერხებს, როგორიც არის ბურჟუაზიული ყოფისაკენ მიდრეკილება, ორპირობა, შემთანხმებლობა და გამცემლობა.

პიესის გავლენა მაყურებელზე ბევრად დიდი იქნებოდა, რომ შიშველი აგიტკა, პრიმიტიულად აგებული დრამატიული კვანძი და მასალის ნატურალისტური დამუშავება არ უკარგავდეს სიმახვილეს.

ეს ნაკლოვანებანი, როგორც სჩანს, დიდათ უშლიან ხელს დამდგმელს პიესის გასცენიერებაში.

რაც ლიტერატურულად არ არის მოცემული, იმას კინო ეკრანის საშუალებით განიცდის მაყურებელი.

უარყოფითი ტიპების გადმოცემაში (პროფ. ჰალბე, მენშევიკურ ცეკას მდივანი და სხ.) დიდი ყურადღება აქვს მიქცეული გარეგნულ ეფექტებს; დამდგმელი ცდილობს ამ ეფექტების საშუალებით გამოიტანოს სააშკარაოზე შემთანხმებელთა სოციალური ბუნება. ამისათვის მიმართავს გროტესკს. ამ მხრივ სპექტაკლის კომპოზიცია სტილისტიურათ გამართლებულია, მაგრამ მაყურებელი ვერ განიცდის სცენას საჭირო დამაჯერებლობით. რეალობის ადგილი დათმობილი აქვს შარჟს და სცენის გავლენა უფრო სანახაობითია. პიესისადმი ინტერესს უმთავრესად აქტიორების კარგი თამაში იწვევს.

თუმცა როლების გაგებაში ზოგი რამ სადავოდ მიგვაჩნია, მაგრამ „ჩარლსტონის“ სცენა უფრო სადავო გვგონია. ვფიქრობთ, პიესის მთლიან კომპოზიციას არ დაარღვევს მისი შემოკლება, მით უფრო, რომ რაც სცენაზეა, იგივე ეკრანზე მეორდება.

ა. ზ.

ბ. ალექსი — მესხიშვილის გასტროლები

ბაქოს მუშათა თეატრის საზამთრო სეზონის დამთავრების შემდეგ თეატრის მსახიობთა ძირითადმა კადრმა შეადგინა კოლექტივი, რომელმაც საგასტროლოდ მოიწვია ცნობილი მსახიობი ქალი ბარბალე ალექსი — მესხიშვილი. კოლექტივმა ბაქოში გამართა 30 წარმოდგენა, რომელიც დიდი მხატვრული და მატერიალური წარმატებით ჩატარდა.

ამჟამად კოლექტივი ბ. ალექსი—მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენებს მართავს ერევანში, 26 ივნისიდან კი გასტროლები იწყება თბილისში, რუსთაველის თეატრში, სადაც ბ. ალექსი — მესხიშვილის უკანასკნელი გასტროლები გაიმართა 1926 წელში.

რეპერტუარში შეტანილია „განაჩენი“, „მარკიტანკა სიგარეტ“, „ცელქი გოგო“, „სამოთხე და ჯოჯოხეთი“, „პარიზელი ბიჭი“, „ვარიეტე“. დასში შედიან ბაქოს მუშათა თეატრის საუკეთესო ძალები: ბელსკი, სტეპინი, პოპოვი, ლენინი, ჩარსკი, ოსიპოვი, დენისოვი, ოლიგინი და სხვები. სამხატვრო ნაწილს ხელმძღვანელობს აზერბეიჯანის ს. ს. რ. დამსახურებული არტისტი ა. ა. ივანოვი.

თბილისში გასტროლები გაიხსნება პიესით „მარკიტანკა სიგარეტ“.

სააბონემენტო სისტემა სახელმწიფო თეატრებში

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ საჭიროდ სცნო მიზნობრივი წარმოდგენების რიცხვი მომავალ სეზონში შემცირებული იქნეს მინიმუმამდე. ვინაიდან წარმოდგენების შესყიდვა კავშირებს მძიმე ტვირთად აწვება და მიზანსაც ვერ აღწევს.

მიზნობრივი წარმოდგენების შესყიდვის ნაცვლად გადიდებული უნდა იქნეს აბონემენტების რიცხვი და ამთავითვე უნდა დაიწყოს მათი გავრცელება. აბონემენტების გამოშვება, კულტგანყოფილების აზრით, შემდეგი წესით უნდა მოხდეს: ერთი აბონემენტი გამოშვებული უნდა იქნეს ყველა წარმოდგენებზე (10 წარმოდგენა), ხოლო მეორეში უნდა შევიდეს ყველა წარმოდგენების 50 პროც.; იმ მუშებისათვის, რომლებიც აბონემენტის შეძენას ვერ მოახერხებენ, შემოღებული უნდა იქნეს მუშათა ზოლი, საიდანაც მუშები მიიღებენ ბილეთს 50 პროც. ფასდაკლებით. საჭიროა ამ მიზნით დაარსდეს სპეციალური სახელმწიფო სალარო, სადაც თავმოყრილი იქნება ყველა სახელმწიფო თეატრების ბილეთები მუშათა ზოლისათვის.

აბონემენტების გამოშვებისას რეპერტუარის საკითხი შეთანხმებული იქნება ყველა თეატრებთან ცალ-ცალკე.

სასამართლო

ექიმის ფიზიკურად შეურაცყოფა

(საჩვენებელი პროცესი)

გუშინ, საღამოს პლეხანოვის სახელობის კლუბში (ლენინის უბანი) დაიწყო რკინის გზ. ყოფილ კონდუქტორის, გიორგი პეტრეს ძე კიკნაძის საჯარო-საჩვენებელი გასამართლება.

კიკნაძეს რკინისგზელები დიდი ხანია იცნობენ, როგორც ზარმაცს და წარმოების ინტერესების გარეშე მდგომ მუშას. სამუშაო დღის გაცდენა, სისტემატიურად დაგვიანება სამსახურში,—ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო კიკნაძისათვის. ამისათვის ის მრავალჯერ გაუფრთხილებია ადმინისტრაციას და ადგილკომს. კიკნაძე არცხვენდა პატიოსანი რკინის გზელის სახელს.

უკანასკნელად კიკნაძემ ჩაიდინა ისეთი ხულიგნობა, რომელმაც აღშფოთება გამოიწვია მუშა რკინისგზელებს შორის.

საბრალმდებლო დასკვნა შემდეგს მოგვითხრობს ამის შესახებ.

ა.-წ. 23 მარტს რკინის გზის საავადმყოფოს ქირურგიულ განყოფილებაში ექიმ ნიკოლოზ ჯაფარიძესთან გამოცხადდა კიკნაძე, როგორც „ავადმყოფი“.

კიკნაძეს წინა დღე გაცდენილი ჰქონდა სამსახურში. მას უნდოდა იმის დამამტკიცებელ საბუთის ხელში ჩაგდება, რომ ის ავადმყოფობის გამო ვერ გამოცხადდა სამსახურში.

გასინჯვის შემდეგ კიკნაძე მიმართავს ექიმს წინადადებით, რომ ყოველ მიზეზს გარეშე უნდა დაუდასტუროს გუშინდელი ავადმყოფობა.

— მე ამის უფლება არ მაქვს,—უპასუხებს ექიმი. ეს ექიმების კომისიამ უნდა დაადასტუროს, მოითმინეთ რამდენიმე საათი, შესდგება კომისიის სხდომა და თუ ის დაადასტურებს, მე არაფერი მექნება საწინააღმდეგო.

კიკნაძე მიდის ოთახიდან, მაგრამ 5 წუთის შემდეგ ისევ შეაღებს იმ ოთახის კარებს, სადაც ექიმი ჯაფარიძე ავადმყოფებს სინჯავს.

— მაშ, არ მაძლევთ მოწმობას?

ექიმი კიკნაძეს ხელმეორედ თავაზიანად უხსნის, რომ ამის უფლება მას არ აქვს და კვლავ კომისიაზე მიუთითებს.

უეცრად კიკნაძე ეცემა ყელში ექიმს და სახეში არტყამს სილას. ექიმი ცდილობს თავის განთავისუფლებას. ჩხუბის დროს გადაბრუნდება მაგიდა, რომელსაც ქვეშ მოჰყვება ექიმი. წაქცეულ ექიმს კიკნაძე აწვება ზევიდან.

ავადმყოფები ასტეხენ ყვირილს, ეშველებიან ექიმს და ძლივს-ძლივობით ანთავისუფლებენ მას გახელებულ ხულიგანის ხელიდან.

აი ასეთი „გმირობა“ ჩაიდინა მუშების სახელის შემარცხვენელმა კიკნაძემ. ამიტომ მოითხოვეს მუშებმა მისი გასამართლება საჯაროთ, საჩვენებელი პროცესით.

კიკნაძე უკვე გრძნობს, რომ მან დიდი დანაშაული ჩაიდინა. აუდიტორიას, რომელიც მისი ამხანაგებისაგან შესდგება, ის მიმართავს მონანიებით და სასამართლოს სთხოვს პატიებას.

— მაკმარეთ ის 2 ნახევარი თვე, რომელიც ციხეში დავჰყავი,—ასეთია კიკნაძის თხოვნა.

მოწმეები ეხებიან ექიმის ფიზიკურად შეურაცყოფის ფაქტს და ასწერენ თუ რა პირობებში მოხდა ასეთი ხულიგნობა.

პროკურორი ამხ. გოგოშვილი მოითხოვს ბრალდებულის დასჯას წარდგენილი მუხლის მიხედვით.

საზოგადოებრივი ბრალმდებლები პროფ. ასათიანი, ექ. მუავანაძე ხაზს უსვამენ კიკნაძის მიერ ჩადენილ დანაშაულის ანტისაზოგადოებრივ ხასიათს.

მუშების სახელით გამოსული საზოგადოებრივი ბრალმდებელი ამხ. არჯევანიძე ლაპარაკობს, რომ მართალია მძიმე და აღმაშფოთებელი დანაშაული ჩაიდინა კიკნაძემ, მაგრამ მისი გამოსწორება შეიძლება.

დამცველი მ. ღვამიჩავაც ადასტურებს, რომ კიკნაძემ მძიმე დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს კიკნაძის შეუგნებლობა და მსუბუქი სასჯელი გამოუტანოს მას.

მხარეთა კამათის დამთავრების შემდეგ სასამართლო გადის განაჩენის გამოსატანად.

განაჩენი

ღამის 10 საათზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი.

კიკნაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 1 წლით და 6 თვით. სასამართლომ მხედველობაში მიიღო შემდეგი გარემოებანი: ა) კიკნაძე პირველად არის პასუხისგებაში, ბ) არის შეუგნებელი, გ) ჰყავს წვრილი ცოლშვილი, დ) გულწრფელად აღიარებს დანაშაულს. ყოველივე ამის გამო კიკნაძეს სასჯელი შეეცვალა პირობით 5 წლის ვადით.

გერ.

ჭადრაკი

გ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) დ. ჟლენტი (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ა. კეზელი (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი სამ სვლაში

გარდაიცვალა დიდი გროსმეისტერი და „ულტრა-მოდერნისტულ“ სკოლის დამაარსებელი—წარმომადგენელი, რიხარდ რეტი. მოგვყავს მისი ერთერთი პარტია ეივესთან.

პარტია № 24 (ორი მხედრის დებიუტი)

თეთრები: მ. ეივე— შავები: რ. რეტი.

1. e4, e5 2. მf3, მc6 3. კc4, მf6 4. d4, e:d 5. 0-0, მ:e4 6. ეe1, d5 7. კ:d5, ლ:d5 8. მc3, ლa5 9, მ:d4? (ფიგურის შეწირვით თეთრებს შეტევის შესაძლებლობა ეძლევათ, მაგრამ ეს შეწირვა არ არის სწორი, რაც რეტიმ ამ პარტიაში დაამტკიცა 9.., მ:d4 10. ლ:d4, f5 11. კg , ლc5 12, ლd8+, მფf7 13. მ:e4, f:e 14. ეad1 (თუ 14. ე:e4 მაშინ კf5) 14.., კd6! (ხარისხის ლამაზი შეწირვა, ლაზიერის თამაშიდგან მოშორების მიზნით) 15. ლ:h8, ლ:g5 16. f4, ლh4! 17. ე:e4 (თითქოს თეთრებს უკეთესი მდგომარეობა აქვთ, მუქარაა ლe8+, და თუ შავები ითამაშებენ კe7, მაშინ ეd8, მაგრამ ეს ყველაფერი ფუჭია, სვლაზე ტექსტში შავები უპასუხებენ საუცხოვო ფინალით) 17.., კh3! 18. ლ:a8, კc5+ 19. მფh1, კ:g2+! 20. მფ:g2, ლg4+ თეთრები დანებდნენ. ეს პარტია, ჩატარებული საუცხოვო კომბინაციით, ერთი საუკეთესოთაგანია რეტის მიერ გათამაშებულ პარტიებ შორის.

ფიზკულტურა და სპორტი

როგორ იქნება ჩატარებული ფიზკულტურის ორკვირეული

ფიზკულტურის სრულიად საკავშირო ორკვირეული ჩატარებული იქნება 27 ივლისიდან 11 აგვისტომდე. ორკვირეულის მიზანია ფიზკულტურის მასიურ ფორმების განვითარების პროპაგანდა, და აგრეთვე მოზრდილ მუშების და მუშა - ახალგაზრდობის ფართო ფენების ჩაბმა ფიზკულტურულ მოძრაობაში.

ორკვირეულის ჩატარება დაკავშირებულია მსოფლიო ომის გამოცხადების 15 წლის თავთან. ორკვირეულის განმავლობაში ფიზკულტუროსნების დაკავშირების წევრთა ფართო მასას უნდა განემარტოს სამხედრო საშიშროება და ფიზკულტუროსნების ინტერნაციონალური აღზრდის მნიშვნელობა.

ორკვირეულის განმავლობაში მთელს საბჭოთა კავშირში ყველა პროფორგანიზაციები ჩატარებენ მასიურ გამოსვლებს, დემონსტრაციებს, ფიზკულტუროსნების აღლუმს, მასიურ შეჯიბრებებს ფიზკულტურის ცალკე დარგებში და სხვა. ეს ორკვირეული ამავე დროს მზადება იქნება პროფკავშირების ფიზკულტურის საკავშირო დღესასწაულისათვის, რომელიც უნდა გაიმართოს 1930 წელში.

თბილისში 27 ივლისს, ორკვირეულის დაწყების დღეს, მოეწყობა რბენა ქალაქში პლაკატებით და ლოზუნგებით, კარნავალი და დემონსტრაცია.

28 ივლისს ეწყობა ფიზკულტუროსნების და წარმოება - დაწესებულებების მუშამოსამსახურეთა ექსკურსიები ქალაქ გარეთ მასიური თამაშობებით, გართობით, სამხატვრო წრეების გამოსვლით და სხვა.

შემდეგ დღეებში გაიმართება საზეიმო სხდომები წარმოებებში და კლუბებში და საჩვენებელი შეჯიბრებები ფიზკულტურის საუკეთესო წრეებს შორის. შეჯიბრებები გაიმართება ფეხბურთში, კალათბურთში, ლაუნ-ტენისში, მსუბუქ მძლეოსნობაში, ცურვაში და სხვა დარგებში.

იმ მიზნით, რომ ფიზკულტუროსნებს საშუალება მიეცეს რაც შეიძლება უკეთესად მოემზადონ ორკვირეულისათვის, 1-ლი ივლისიდან პროფკავშირების ხაზით შეწყდება ყოველგვარი შეჯიბრებები ფიზკულტურის ყველა დარგებში.

შემთხვევები

ნაღმის გასკდომა

პარკოვის ქუჩაზე ბავშებს თამაშობის დროს გაუსკდათ ნაღმი, რის გამო დაშავდნენ ობოლი გულ - აშოევი და ლომელაური, რომლებიც გადაიგზავნენ საავადმყოფოში.

მოკვლის განზრახვა

მოქ. მარიამ ვახტანგის ასულ სიხარულიძემ (მცხ. რუსთაველის პრ. № 21) მოკვლის განზრახვით თავის ყოფილ ქმარს ვასილ პლატონისძე მესხს ორჯერ ესროლა რევოლვერი, მაგრამ მესხს ტყვია ორივეჯერ აცდა. მარიამ სიხარულიძე დაპატიმრებულია.

მაწონით მოწამვლა

ნაყიდი მაწონით მოიწამლა პეტროს კარაპეტიანცი (მცხ. გოჯიჰარის ქ. № 20), რომელიც გადაიგზავნა 1-ლ საავადმყოფოში.

შეპყრობა

შეიპყრეს მცირეწლოვანი ბოკარ ისაკისძე მარკუევი, რომელმაც ნიკოლოზ კორდინაშვილს ჯიბიდან ამოაცალა 130 მანეთი. — მოქ. არტემ ჯინჭარაძის ბინის (ვერის დაღმართი № 7) გაქურდვისათვის დააპატიმრეს გრიგოლ მიხეილისძე ივანიშვილი (უბინაო).

ქურდობა

გაქურდეს გიორგი გამბაროვის სადურგლო სახელოსნო (კამოს ქ. № 28). — ღიათ დატოვებულ ფანჯრიდან გაქურდეს ალექსი გუცკინის ბინა. წაიღეს 130 მ. ნივთები.— გაქურდეს თბ. აღმასკომის სასწავლო ხელსაწყოების ინსტიტუტი; (ავჭალის ქ. № 10), საიდანაც მოიპარეს 150 მ. ნივთები.

ჯიბგირობა

თავისუფლების მოედანზე აკაკი ივაშკაძეს ამოაცალეს საფულე. — კარლ მარქსის მოედანზე იოსებ დურგლიშვილს ამოართვეს სხვადასხვა საბუთები და ფული. — იბრაგიმ მუსტაფა - ოღლის ცენტრ. ბაზარში ამოართვეს 100 მანეთი. — ფიზკულტურის სტადიონზე ვარჯიშობის დროს მარიამ ლარენს მოპარეს ტანისამოსი, ღირებული 60 მანეთად.

სურამის ფოსტის კანტორის გაქურდვა

გუშინწინ, ვილაც ბოროტ - მოქმედებმა გაქურდეს ქ. სურამის ფოსტის კანტორა. წაიღეს ფულად 300 მანეთი და ფოსტის მარკები, რომელთა ღირებულება გამოურკვეველია.

უეცარი სიკვდილი

18 ივნისს ღამით თბილისიდან მიმავალ მატარებელში, ხაშურის სადგურზე, გული გაუსკდა და გარდაიცვალა 12 წლის ბავში დიმიტრი ილიანესძე გომართელი, მცხოვრები შორაპნის მაზრის სოფ. არგვეთაში.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 21 ივნისი

დღეს თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ პროგრამას:

საღამოს 6 საათიდან—პიონერისა და მოსწავლის საათი, სომხურ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გაზეთი „ენიკენდი“ რადიოთი, თურქულ ენაზე; დროს შემოწმება და ამინდის ბიულეტენი; რადიო-გაზეთი „კომსომოლსკაია პრავდა“-ს ტრანსლიაცია მოსკოვიდან; გაზეთი „კრასნი ვოინ“-ი რადიოთი (წითელარმიელთა გაზეთი), რუსულ ენაზე; რადიოს მეგობართა საათი (ტეხნიკური კონსულტაცია); კონცერტი სტუდიიდან; უკანასკნელი ამბები; მორზეს ანბანი ქართულ ენაზე.

შრომის ბირჟაში

დღეს, 21 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: თინათინ ახვლედიანი—მიქაბერიძე, ცეხოვაია, ნიკოლოზ ოქრუაშვილი, ალექსანდრე გულამოვა, ანგელინა დილლა, ნადია რუდნიცკაია, პეტრე ტიმოფეევი, ოლღა ყიფიანი, თამარ სერებრიაკოვა, პორფილე გაბუნია, ბაგრინსკაია, ლიზა რაზმაძე, ანტონინა რინლიკ, როზალია შარბაჩევა, ლიუდმილა პისემსკაია, ტატიანა თუხაჩევსკაია, გიორგი ავაქოვი, ერვანდ ოგანეზოვი, აზგარ ლაზარიანი, ალექსანდრა კარალოვა, გრიგოლ იაკობაშვილი, იოსებ ხეჩუკოვი, ისაკ აგაჯანოვი, ბარბალე ეგიევა, ეკატერინე მელნიკოვა, თამრო თომაევა.

არაკვალიფიციურ მუშათა სექციიდან: ავეტის მედოიანც, ა. ტატულოვი, ისმაილ კაზაევი, გიორგი ვართანოვი, სერგო კროჩევი, ელენე ლეკაშვილი, სურენ არაქელოვი, დავით თოფურია, ანტონ გელითაშვილი, მუშხენ მურადოვი, გრიგოლ ჩიქობავა, მარიამ საფარიანცი, მატრონე პატაპოვა, ალექსანდრე მსხალაძე, კონსტანტინე ტერ-გრიგორიანცი, პეტრე ჯიქია, ელისაბედ გიორგობიანი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: გრიგოლ კარახანოვი, იოსებ გასპარიანცი, ალექსანდრე ადლერ, ილია კაცობაშვილი, ივანე მალოლეტკინი, ოგანეს ჯანლატიანი, გიორგი გიორგაძე, კონსტანტინე გულიევი, იაკობ გოგისვანიძე, სიმონ აკოპოვი, ვლადიმერ გელოვანი, დავით სულხანიშვილი, პავლე ნოვიკოვი, ტანტანიკ, შუსტერი, ალექსანდრე კუჩუკი, საველი ნაბოკინი. სანტეერ გერმანი, ლეონიდ ჩუპინი, სერგო ვარდაკოვი, ბორის მარტინი, ალექსანდრე დოროხოვი, ლუბა კაპარავა, ლაზარე მარტინოვი.

მშენებელ მუშაკთა სექციიდან: გიორგი მაზნიაშვილი, ილია ვენიამინოვი, დავიდიანცი, ისაკ-ოღლი, შოთა ბაქრაძე, ოგანეს აგამიროვი, სურენ ოგანეზოვი, მიკირტიჩ ჩახახჩიანც, გიორგი მიქაძე, ესტატე ნაცვლიშვილი, დავით ყანჩელი.

ძიდსექციიდან: პეტრე მშვიდობაძე. სექციას სჭირდება ერთი ფარმაცევტი ჯანსახკომის აფთიაქში სამუშაოთ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების შეფარდების თაობაზე გამოცემული ინსტრუქციის მოქმედების ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილების მოსახლეობაზე გავრცელების შესახებ

ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. მარტის 4-ს დადგენილების თანახმად (ა.-კ. ს.ფ.ს.რ. კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-რი, მუხ. 81) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა.-კ. ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1928 წ. სექტემბრის 5-ს დამტკიცებული (საქართველოს სსრ კან. კრ. 1928 წ. მე-6 №-რი, მუხ. 46) „სოფლის მოსახლეობის საგზაო შრომის ბეგარის დებულების“ შეფარდების შესახებ გამოცემული ინსტრუქციის მოქმედება გავრცელებულ იქნეს საქართველოს სსრ ყველა ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებული ადგილის მოსახლეობაზე, ქ. ქ. თბილისისა, ქუთაისისა, ფოთისა, ჭიათურისა, ბორჯომისა, ახალციხისა, სიღნაღისა, თელავისა, სოხუმისა, გუდაუთისა, ოჩემჩირისა და ბათომის მოსახლეობის გამოკლებით.

2. აღნიშნული ინსტრუქციით გათვალისწინებული სათემო აღმასრულებელი კომიტეტების უფლება - მოვალეობანი ამ ინსტრუქციის ქალაქებში განხორციელების მხრით დაეკისროს იმ ადგილების საქალაქო საბჭოებს, სადაც ეს საბჭოები მოწყობილია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. სტურუა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგ.: შ. მათიკაშვილი.

1929 წ; მაისის 25.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

სახარეწაო კოოპერაციის წევრ-შინამრეწველთა უფლებრივი მდგომარეობის შესახებ

თანახმად სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. მაისის 21-ს დადგენილების (სსრკ. კან. კრ. 1928 წ. 30 №-რი, მუხლი 267)26 მუხლისა — 1928 წ. ნოემბრის 28-ს დადგენილების რედაქციით (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-2 №-რი, მუხ. 9) — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სახარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალ წარმოებითი არტელების წევრნი, რომელნიც საერთო სახელოსნოებში მუშაობენ, კომუნალური მომსახურეობისათვის სასყიდლის გადახდისა და შვილების სწავლების შეღავათების მხრით გათანაბრებულ იქნენ დაქირავებულ მუშებთან.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. მაისის 21.
ტფილისი-სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სენაკის მაზრის კურორტ „ლებარდე“-ს სამთო-სანიტარული ზონის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს სენაკის მაზრის კურორტ „ლებარდე“-ს სამთო სანიტარული ზონა საერთო სივრცით 1.280 ჰექტარი, შემდეგი საზღვრებით: ჩრდილოეთით — „ლებარდეს სუკი“ 2.716 მეტრიანი მაღლობის მწვერვალიდან 2.270,82 მეტრის განფენილობით „დვირის თავის“ 2.665,95 მეტრიანი მაღლობის მწვერვალამდე, აღმოსავლეთით — „ჩამვონის სუკი“ — „დვირის თავიდან“ მდინარე დვირის სათავემდე, სამხრეთით — მდინარე დვირის სათავიდან მე-2 კვარტალის (საკვარტალო ბოძი) საზღვრებამდე და დასავლეთით — მე-2 და მე-3 კვარტალების საზღვრის გაყოლებით 2.716 მეტრიანი მაღლობის მწვერვალამდე.

2. აღნიშნულ ზოლში მდებარე ტყე ცნობილ იქნეს დაცვითი ტყედ და მიენდოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს შეიმუშაოს, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, ხსენებული ტყის მეურნეობის გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე: ფ. მახარაძე.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი პ. მეგრელიშვილი.

1929 წ. მაისის 21.
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკა სასწრაფოდ იწვევს ამხ. დიმიტრი მთვარელიძეს და სერგო მდივანს.

—:—

დღეს, პარასკევს, 27 ივნისს, დილის 10 საათზე, საქართველოს კომპ. ცეკას ქალთა განყოფილება იწვევს თათბირს. ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა. შავერდოვა (ამიერ-კავკ. საოლქო კომიტეტის ქალთა განყ.), ანდრიაძე (თბ. კომიტეტის ქალთა განყ.), მგელაძე (ქალაქის რაიკომი), კარასევა და შველიძე (ლენრაიკომი), მატინიანი („26“ კომუნართა სახ. რაიკომი), ეილიკაშვილი (ცეკას აგიტპროპბეჯ. განყოფილება) შიუკაშვილი (ქალ. კომ.), ჩარკვიანი (მედსანშ. კავშირი), თალაკვაძე (ფეიქართა კავშირი), ქართველიშვილი (ჯანმრთელობის კომისარიატი), ჭყონია, პითოევი, ბელოზეროვი (ცეკას ნაც. უმც. შორის მომ.).

—:—

ვ. ი. ლენინის სახელობის ს.ს.პ.ი.-ს სამთოქიმიურ ფაკულტეტთან არსებულ ა.ლ.კ.კ. უჯრედის კრება შესდგება დღეს, დღის 3 საათზე. წევრ-კანდიდატების დასწრება აუცილებელია.

პარასკევს, 21 ივნისს, საღამოს 6 საათზე, სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ფ. მახარაძის კაბინეტში შესდგება საზოგადოება „წერა-კითხვა“-ს პრეზიდიუმის სხდომა—ვთხოვთ ყველა ქვემოთჩამოთვლილ ამხანაგებს აუცილებლად დაესწრონ: ფ. მახარაძე, კ. ხომერიკი, პ. ბოკერია, შ. ნუცუბიძე, ვ. მესხი, ვ. სიხარულიძე, დ. დოლიძე, ბუძიაშვილი, ვ. ჯაფარიძე, ა. მიქაძე, ს. კანდელაკი, დავითაია, სოსიანი, კ. ჩხარტიშვილი, ა. ლომაძე, ისრაელიანი, რ. დუმბაძე, ლ. სალუქვაძე, სულიკაშვილი.

—:—

თბ. სახ. უნივერ. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, ცეკასა და ცეკასთან არსებულ მოსამზადებელ კურსების მსმენელთა საყურადღებოთ, რომ უნივერსიტ. მთავარ შენობაში დაიწყო ჯგუფური მეცადინეობა. ის ამხანაგები, რომლებიც იმყოფებიან თბილისში უნდა გატარდეს აღრიცხვაზე მეცადინეობისათვის. მეცადინეობა სწარმოებს საღამოს 5 ს. 8 საათამდე.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ელისაბედ აუწყებს ნაცნობ-მეგობრებს საყვარელი ქმრის
ერისტო სიმონის-ძე ცაგარეიშვილის
გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება შაბათს, 22 ივნისს, სოფ. გორა ჯიხაიში. ნ. 2883

და ნინო, ძმები: გიორგი და მიშა, უკანასკნელი ცოლშვილით აუწყებენ საზოგადოებას დაუვიწყარ ძმის მაზლის და ბიძის
საშა (ალექსანდრე) დიმიტრის-ძე დაფქვიაშვილის
ტრაგიკულად დაღუპვას მცხეთაში. სამოქალაქო პანაშვიდი 21 ივნისს, 7 საათზე, საკუთარ ბინაზე, კალანდაძის ქ. № 6. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. 2303

შაბათს, 22 ივნისს, დღის 2 საათზე
ჟორჟი ქაჯაიას
ხსოვნის აღსანიშნავად მის საფლავზე (ქ. ხაშურში) დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი, რასაც აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ და ნაცნობთ განსვენებულის გულმოკლული მშობლები ავქსენტი და ლიდა და ძმები სერგო და ლეო ქაჯაიები. 6. 2881

მამა სილიბისტრო; დედა ნატა, ძმა შალვა; და რძალი სადიკო მწუხარებით იუწყებიან, რომ 22 ივნისს, ს ქვ. კვალითში მე-3 კურსის სტუდენტ
აკაკი ხუსკივაძის
ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 2309

დამწუხრებულნი მეგობრები პ. ნოდია, გ. ანაკიძე, გ. ტალიკაძე, გრ. თელია, ჯ. ჯანელიძე, ვ. ჯანჩიძე, დ. მელია, ლ. ცაგურია. ი. ხონელიძე, ს. ჯანჯღავა, გ. მენაბდე, ნ. გიგინეიშვილი, ს. რურუა იუწყებიან
პარმენ სოლომონის-ძე ნინუას
გარდაცვალებას დაკრძალვა 22 ივნისს, 5 საათზე მარნის თემში ორპირის სასაფლაოზე. 2309

რუსთაველის თეატრი
ბაქოს მუშათა თეატრის მსახიობთა კოლექტივის
მხოლოდ 5 გასტროლი
ბარბარე ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით
ოთხშაბათი, 26 ივნისი
ვიტალინი
მე ვყიდი მზეს
პიესა 10 სურათად (მარკიტანკა სიგარეტ)
ხუთშაბათს, 27 ივნისს
ს. ლევიტინა
განაჩენი
პიესა 3 მოქმედებად
პარასკევი, 28 ივნისი
გავო და კაიავე
ცელქი გოგონა
კომედია 4 მოქმედებად
შაბათი, 29 ივნისი კროასერ მერიმე
I. სამოთხე და ჯოჯოხეთი
(ესპანელი ქალის სიყვარული) კომედია 1 მოქ.
II ბიარი და ვანდერბუხი „ჟოზეფი პარიზელი ბიჭი“ კომედია 2 მოქმედ.
კვირა, 30 ივნისი
გამოსათხოვარი წარმოდგენა
ვარიეტე (კიკი)
ვ. ალექსი-მესხიშვილის თარგმანი
კომედია 2 მოქმედებად
ყველა აღნიშნულ წარმოდგენაზე ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11-დან 3 ს. და საღამოს 6-დან 9 ს. თეატრის სალაროში ადგილკომების დაკვეთით შეიძლება ტალონების მიღება 50 პროც. შეღავათით

კინო სოლეი
დღეიდან
ახალი კომედია
აურზაური
ბახუშეტიევის მოთხრ. („გენერალ სტრეხის შეცდომა“-ს) მიხედვით
დადგმა რეჟისორ ლევშინის
მთავარ როლში ვოლკოვი

საზაფხულო ბაღი
(ყოფ. არტო პლეხ. 105
ნ. 2880

პარასკევს, 21 ივნისს,
სიმფონიური კონცერტი
ქართველ კომპოზიტორების ნაწარმოებებიდან, ავტორებისა და დირიჟორ ა. გველესიანის ხელმძღვანელობით.
პროგრამაში: არაყიშვილი, ტუსკია, კილაძე, ფალიაშვილი.
სიმფონიური კონცერტის შემდეგ ესტრადაზე—გასტროლები ცნობილი მოსკოვის მსახიობის გ. ი. აფონინის, ლ. კავსაძის, მარ-კიაბეს, ფაინერის, ვოინოვის, დმიტრიევის. კონფერანსიე ი. ვოლსკი. როიალთან ვ. შავერზაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე.

მოითხოვეთ მუშკოოპის, „ზაკტპო“-ს და „ზაკვოენპოს“
ყველა მაღაზიაში
ძმარი ეტიკეტით
მხოლოდ ამ ეტიკეტით



საწარმოო კოოპ. არტელი „ტრუდხიმი“
ნამდვილი ღვინის ძმარი
НАТУРАЛЬН. ВИННЫЙ УКСУС
ПРОМ. КООПЕР. АРТЕЛЬ „ТРУДХИМ“

იძლევა კარგი ხარისხის ძმრის გარანტიას
დამზადებული სარეწაო კოოპერატიული არტელის „ტრუდხიმ“-ის მიერ
საბა-სულხანის ქ. (ყოფ. ფრეილინის), № 13
5—1 ნის 2884

საზაფხულო აპოლო	მხატვრული ფილმი რიაზანელი დედაკაცები
საზაფხულო ეთერი	დიდი ქალაქის სიმფონია (ბერლინი)
საზ ფხულო პალასი	სეზონის საუკეთესო სურათი ორი ჯავშოსანი
მინიონი	სოლნცევა და მინდლინი სურათში გულუბრყვილო მკერავი
აპოლო	ახალი კომედია აურზაური
სოლეი	სეზონის საუკეთესო სურათი ღამის მეეტლე
მალე	ანა სტენი, კტუზოვი სურათში მისი კარიერა

სახკინმრეწვის კინოები

ექიმი
ანა ვასილის ასული
მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა
„სილამაზის ინსტიტუტი“
მასაჟი სახის, კისრის, ხელების და ტანის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ.
ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25

ლოგოპედი
ა. ა. პაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა
ასწორებს
ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს
იღებს: საღამოს, 5—7 საათ კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

დაიკარგა: პურის წიგნაკი 1 სულის ბ № 12 თამარა ჭელიძის სახელზე, ჩ. გ. 2305

დაიკარგა მუშ. კოოპერატივის წიგნაკი № 26126 გიორგი სიმონისძე კილატოვის სახელზე, ჩ. გ. 2308

დაიკარგა: ინვალიდობის ბარათი დარჩო შერეჩოვის სახელზე, ჩ. გ. 2303

დაიკარგა: პურის ბარათი № 5 გაცემული ეკატერინე ხარატიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2885

მათემატიკის
მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ.) და ყველა საგნებში შვიდწლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ (ინდუსტ. ქიმ. და რკინისგზ.) მე-9 და მე-10 ჯგ. შესასვლელ საკონკურსო და განმეორებითი საშემოდგომო გამოცდებისათვის.
შესავალი პლეხანოვის ქ. № 25 ან ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ.
2252 3—3

ექიმი
პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეზხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა.
მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 6. 25—1

ექიმი
პ. ს. ფონ-ირეტელი
პლეხანოვის პროსპ. № 10
სპეციალურად მკურნალობს საშარდე სქესობრივ, ვენერიულ ავადმყოფობას, სიფილისს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სქესობრივი უძლურება, ნერვიული სისუსტე, ტრიპერი, სიფილისი, ბუასილი, სიმსივნე) ავადმყოფების მიღება დილის 8-დან შუადღის 12 საათამდე და საღ. 5-დან 8 საათამდე. ქალების მიღება დღის 11-დან 12 საათამდე. და საღამოს 7-დან 8 საათამდე. 13—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა
ქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა
ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 5—7 საათ გარდა კვირა დღეებისა.
ტელ. №—2573 25—6 124-50

ექიმი
გ. მ. ფხალაძე
სიფილისი, სუსუნატი (მისი გართულებანი) და კანის სნეულებანი.
მიღება: დილის 7—7 ნახ. საათ.
საღამ. 6—7 საათ. ქალები
7—9 საათ. კაცები
მარტის ქ. (ყ. ბოგოსლოვის) № 6, (გადასახვევი ოლღას ქუჩიდან აფთიაქთან). 25—1

ქ. ქუთაისში
ექიმი
დ. ა. ჩეჩელაშვილი
იღებს სპეციალურად ფილტვების ავადმყოფებს
დილის 8—12 საათამდე. ჭავჭავაძის ქუჩა № 4 ცეცხლის მქრობელ რაზმის გვერდით. 25—14

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. საღ. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

ექიმი
მ. ნ. შახნაზაროვი
სპეციალურად
სიფილისი, „914“ შეზხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი
ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვასერის ქ. (ყოფ. კრასნოგორის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩ. კუთხე). 25—1

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს), პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8.

ექიმი ოდონტოლოგი
აპოლონ პავლეს ძე
ურუშაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 8 ნახ. საათიდან 12 საათამდე.
2014—13—1

პროფ. გრ. მ. მუხაძე
თბილისიდან წასულია და დაბრუნდება 20 ივნისს. 13—1

დაიკარგა: პირადობის მოწმობა № რ. 39 ანა რაზმაძის სახელზე, ჩ. გ. 2299

დაიკარგა: მეტრიკული ამონაწერი ელენა ნარიაშვილის სახელზე ჩ. გ. 2298

დაიკარგა: განათლების კავშირის მუშაკთა საწევრო წიგნაკი № 7189 ტარიელ კაშიას სახელზე, ჩ. გ. 2304

დაიკარგა: რკ. გზ. კავშირის საწევრო წიგნაკი № 2556 და სამხედრო საარიცხვო ბარათი № 22 გიორგი ბიჩაჩევის სახელზე, ჩ. გ 2306

დაიკარგა: იარაღის მოწმობა № 7345 გაცემული ზუგდიდის ინფორპუნქტის მიერ ლუკიანე ნიკიფორესძე მაქაცარიას სახელზე, ჩ. გ. 230

დაიკარგა: ლომბარდის ქვითარი № 069090 და უფასო სამკურნალო სარგებლობის მოწმობა გაცემული ა/კ. ფეხოსანთა სკოლიდან № 3 ანიკო იოსელიანის სახელზე, ჩ. გ. 2301

ტირაჟი—39.52
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ყამოს ქუჩა № 63.
მთავლიტი № 904.